საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№008 (12687) 14 იანვარი ოთხშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი



# რეალი კრისტიანო რონალდოს მაინც თავისკენ ექაჩება...


MARCA

CR7 LO GANA TODO: AHORA EL FIFA WORLD PLAYER

LE VOTARON COMPROMISARIOS FALSOS

CALDERÓN ROBÓ LA ASAMBLEA

...სამეფო კლუბის პრეზიდენტს კი

## თაღლითობაში ადანაშაულებენ

>> 6

### გულახდილი დიალოგი ლელოსთან

„რატომ იყვნენ პეკინის ოლიმპიადაზე ისეთი მწვრთნელები, რომელთა შეგირდებს წარმატების არავითარი შანსი არ გააჩნდათ, მედლის პრეტენდენტი სპორტსმენების აღმზრდელები კი შინ დარჩნენ?“

>> 14



## მედლები მხოლოდ ტანჯვით მოდის



## ნიკა მეტრეველი

## ახალგაზრდული ევროლიგის საუკეთესო ცენტრია

>> 13

ლოკომოტივი

# ჩვენი ბედი ორ დღეში გადაწყდება

## პროცესი არ ჩერდება და სტრესიც ნაკლებია


გიორგი კიკნაძე

თბილისის „ლოკომოტივის“ საქმეები ბოლო დროს ალმა-დალმა დადის. წინა სეზონში გუნდი უმაღლესში დასარჩენად იბრძოდა, მეორე წრეში კი გამოცდილი ფეხბურთელები დაიმატა - ლევან ცქიტიშვილი, რატი ალექსიძე და ვიტალი დარასელია. მათი დახმარება დიდად გამოადგა მაშინ „ლოკომოტივს“ და აუტსაიდერობასაც თავი დააღწია.

ამ სეზონისთვის კლუბმა შეინარჩუნა ეს ფეხბურთელები, დაიმატა საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი ლომაია და კიდევ რამდენიმე მოთამაშე. ერთი სიტყვით, „ლოკომოტივის“ ბიუჯეტი გაიზარდა და კლუბის უფროსობამ გუნდს მიზნად ჩემპიონობაც კი დაუსახა. მიმდინარე სეზონი „ლოკომ“ კარგად დაიწყო, რამდენიმე ტური ცხრილის სათავეშიც იყო, მაგრამ ლიდერობა დიდი ხნით ვერ შეინარჩუნა - დაღმასვლა დაეწყო და 2008 წელი მეექვსე ადგილზე ჩაამთავრა.

წლეულს კი ჯერაც გაურკვეველია, რა გეზს აიღებს „ლოკომოტივი“, თუმც ერთი რამ უკვე ცხადია - ბიუჯეტი შეუმცირდება და საკითხავია, ამჯერად თუ შეინარჩუნებს ყველა წამყვან ფეხბურთელს. „ლოკომოტივი“ სპეციფიკური გუნდია - ფეხბურთელებს მარტო ხელფასი აქვთ, პრემია კი საერთოდ არ ეძლევათ. არადა, კლუბს ბევრ უმაღლესლიგელზე უკეთესი ინფრასტრუქტურა აქვს - საგურამოს ბაზა და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი მის განკარგულებაშია.

„ლოკომოტივს“ მწვრთნელთა დუეტი უდგას სათავეში - გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე. ამ დუეტს მანამდე ორ გუნდში უმუშავია - რუსთავის „ოლიმპსა“ და ქუთაისის „ტორპედოში“. სხვათა შორის, 2007 წელს „ოლიმპი“ ჩემპიონი რომ გახდა, პირველ წრეში გუნდს სწორედ კიკნაძე-ზამთარაძე წვრთნიდნენ და მათი ხელმძღვანელობით პირველი წრე „ოლიმპმა“ პირველი ადგილზე ჩაამთავრა.

გიორგი კიკნაძეს მიმდინარე სეზონის პირველ წრესა და „ლოკომოტივის“ მომავალზე ვესაუბრეთ.

**- „ლოკომოტივის“ პრეზიდენტმა ლექსო თოფურიამ გვითხრა, პირველ წრეში გუნდის დაღმასვლას ფეხბურთელთა ტრავმებსა და ზედმეტ თავდაჯერებულობას ვაბრალებო. ეთანხმებით ასეთ შეხედულებას?**

- დიახ, თუმცა წარუმატებლობებს პირველ რიგში ტრავმებს დავაბრალებდი. არის სხვა ფაქტორიც - ჩვენ ინტერტოტოს თასზე ვითამაშეთ. წინა სეზონში მეათე ადგილზე გავედით და ინტერტოტოზე თამაში არ გვეკუთვნოდა, მაგრამ ცხრილში ჩვენ წინ მყოფმა გუნდებმა ამ ტურნირში მონაწილეობაზე უარი თქვეს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის სანქციები რომ არა დაეწესებინათ, ინტერტოტოზე ჩვენ ვითამაშეთ. ეს, ფაქტობრივად, იძულებითი ნაბიჯი იყო.

**- და ამან მნიშვნელოვნად შეგიშალათ ხელი მომდევნო სეზონისთვის მომზადებაში?**

- არა მხოლოდ ამან. „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებმა შუასასეზონო პერიოდში ნორმალურად ვერ დაისვენეს. აგვისტოს მოვლენების დროს გაურკვევლობაში ვიყავით, არ ვიცოდით, როდის დაიწყებოდა სეზონი და ვარჯიშები ვერ შევწყვიტეთ, რის გამოც ფეხბურთელებს დასვენებამ არ მოუწიათ.

**- ტრავმები და ხელისშემშლელი ფაქტორები მოსამზადებელ ეტაპზე - ესენი მართლაც ობიექტური მიზეზებია, მაგრამ ალბათ იყო შეცდომებიც...**

- რა თქმა უნდა, ოღონდ, როცა ერთბაშად 5-6 ფეხბურთელი გამოგაკლდება, ეს ძალიან დიდი დანაკლისია. წამყვან მოთამაშეთა ტრავმიანობის პერიოდში ლამის ყველაფერმა ლომაიასა და ცქიტიშვილის კისერზე გადაიარა.

**- გამოჩნდა, რომ „ლოკომოტივში“ დიდი დისბალანსი იყო, ტრავმირებულთა სრულფასოვანი შეცვლა, ფაქტობრივად, შეუძლებელი აღმოჩნდა. მიგაჩნიათ, რომ შეცდომები დაუშვით გუნდის დაკომპლექტებაში?**

- დისბალანსს ვხედავდით და ამიტომაც დავიმატეთ სხვა, ნაკლებად ცნობილი, ახალგაზრდა ფეხბურთელები - კაიშაური „ვიტ ჯორჯიიდან“ და გრიგალაშვილი „მერანიდან“. მათ დაცვის ხაზში უნდა შეექმნათ კონკურენცია, მაგრამ ორივემ ისეთი ტრავმა მიიღო, გუნდს ველარ დაეხმარნენ. თითქმის იმ ფეხბურთელების ამარა აღმოვჩნდით, ვინც წინა სეზონში გვყავდა.

**- „ლოკომოტივი“ ჯერ მხოლოდ ორმა ფეხბურთელმა დატოვა - გიორგი ლომაიამ და თემურ სარალიძემ. კიდევ ვისი წასვლაა მოსალოდნელი?**

- ჯერ არ ვიცით, ვინ წავა და ვინ მოვა. შესაძლოა, „ლოკომოტივი“ კიდევ რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვოს.

**- ცქიტიშვილი, დარასელია და ალექსიძე - შემცირებული ბიუჯეტის პირობებში მათი „ლოკომოტივში“ დარჩენის შანსი როგორია?**

- თუ ფინანსური საკითხი დადებითად გადაწყდა, რა თქმა უნდა, გვინდა, რომ ეს ფეხბურთელები დავტოვოთ. იყო ლაპარაკი სპონსორის მოძიებაზე, მაგრამ ახლა ყველა ერიდება ქართულ ფეხბურთში ფულის ჩადებას. გვპირდებიან, მაისის მერე ყველაფერი კარგად იქნებაო და ვნახოთ...

**- ზუსტად როდის გაირკვევა „ლოკომოტივში“ ფინანსური საკითხი?**

- ორ დღეში გვეცოდინება ყველაფერი და, შესაბამისად, წამსვლელ-დამრჩენთა ვინაობაც. ორ დღეში გაირკვევა „ლოკომოტივის“ გეზიც.

**- ამასობაში, გადის მოსამზადებელი პერიოდიც. თუ „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება, გუნდის ხელახლა ჩამოყალიბებისთვის მცირე დრო დაგრჩებათ...**

- დრო მართლაც მცირდება... საერთო ჯამში, ცუდი მოსამზადებელი ეტაპი მაინც არ გვექნება. სჯობდა, შეკრებაზე სხვაგან წავსულიყავით, მაგრამ აქაც კარგი პირობები გვაქვს - საგურამოს ბაზაზე მინდორიც არის და ხელოვნურსაფრიანი მოედანიც.

**- სასელექციო დიაპაზონი როგორი აქვს „ლოკომოტივს“ ამ ეტაპზე? უფრო ახალგაზრდა ფეხბურთელებზე ფიქრობთ, თუ აქცენტს გამოცდილებზე აკეთებთ?**

- ძალიან ბევრმა საინტერესო ფეხბურთელმა გამოთქვა „ლოკომოტივში“ თამაშის სურვილი, მათ შორის, გამოცდილებმაც, რომლებიც დიდ გასამრჯელოს არ ითხოვენ.

**- „ლოკომოტივი“ მართლაც გამორჩეული გამოდგა გამოცდილი ფეხბურთელებით, საინტერესო ახალგაზრდების მხრივ კი სხვა გუნდებს მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა მიმდინარე სეზონის პირველ ეტაპზე. რატომ მოხდა ასე?**

- საყრდენი ნახევარმცველი დიაკვნიშვილი და მცველი ბებუა რეგიონული გუნდიდან პირდაპირ უმაღლესში გადმოვიდნენ. ვფიქრობ, ეს უკვე საინტერესო სიახლე იყო, მათ კარგი მონაცემები აქვთ. კარგი ახალგაზრდაა ჩირიკაშვილიც, თუმცა სტაბილურობა დააკლდა. დათო ჩაგელიშვილისაც კარგი მონაცემები აქვს... საერთოდ, ახალგაზრდა ფეხბურთელებმა მეტი უნდა იფიქრონ ფეხბურთზე.

**- ჩირიკაშვილს მეტწილად ფლანგზე ათამაშებდით, რაც, ალბათ, არ არის მისთვის ზედგამოჭრილი პოზიცია...**

- გეთანხმებით, მისი ადგილი ნახევარდაცვის ცენტრშია და მეორე ეტაპიდან მას სწორედ ამ პოზიციაზე გადავიყვანთ.

**- „ოლიმპი“, „ტორპედო“ და „ლოკომოტივი“... კიკნაძე-ზამთარძის დუეტს ალბათ გამოცდილება მოემატა. როგორც მწვრთნელი, ახლა უფრო კომფორტულად გრძნობთ თავს?**

- „ოლიმპსა“ და „ტორპედოში“ მე და ზამთარაძეს უიღბლობა გვდევდა თან. „ტორპედოში“ კარგი ფინანსური პირობები უნდა ყოფილიყო, მაგრამ გუნდი საერთოდ დაიშალა. „ლოკომოტივში“ სტაბილურად იყო ყველაფერი, გარკვეულ წარმატებებსაც მივაღწიეთ, მაგრამ მერე დაიწყო ომი და საერთო ფინანსური კრიზისი... თითქოს, ყველაფერი ძნელად გვეძლევა, მაგრამ პროცესი არ ჩერდება და ეს უკვე საინტერესოა. მომემატა გამოცდილება და ახლა სტრესი შედარებით ნაკლები მაქვს.

**- რამდენიმე შეხვედრის შემდეგ თქვენ და ზამთარაძე მსაჯობით უკმაყოფილონი იყავით. როგორ ფიქრობთ, ქართულ ფეხბურთში კორუფციის დონემ არ იკლო?**

- ვფიქრობ, კორუფციამ იკლო, მაგრამ რაც ხდება, იმაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება. თუ ვინმე არ დაისაჯა, კორუფციას ბოლო არ ექნება.

**- როგორ უნდა გამოაშკარავდეს კორუფციის ფაქტები, თუ მწვრთნელი და ფეხბურთელი საჯაროდ არაფერს იტყვის?**

- ნორმალურ ქვეყნებში მატჩის ჩანაწერს უყურებენ და ამის მიხედვით ადგენენ, თამაში გარიგებული იყო, თუ არა. მტკიცებულებები კი სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა მოიპოვონ... რა თქმა უნდა, ფეხბურთის ფედერაციასთან თანამშრომლობით.

**- ამ სეზონის პირველ ეტაპზე ყველაზე უფრო რომელი გუნდი მოგეწონათ?**

- „ვიტ ჯორჯია“ სწორი მიმართულებით მუშაობს. ცხადია, გამოცდილი ლეგიონერები რომ ჰყავდეს, უფრო ძლიერი გუნდი იქნებოდა და ევროსარბიელზეც გაცილებით უკეთ იასპარეზებდა. კარგი გუნდია „დინამოც“, მაგრამ „ვიტ ჯორჯიას“ უფრო გამართული სტრუქტურა აქვს, ქართულ რეალობას კარგად რომ ესადაგება.

**- ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევდით? ახალგაზრდებიდან და საერთოდ...**

- ახალგაზრდებიდან ძალიან მომეწონა მათე ვაწაძე, აგრეთვე, ირაკლი კიკნაძე... საერთოდ კი, რა თქმა უნდა, ყველას ცქიტიშვილი სჯობდა. ასეთი მაღალი კლასის ფეხბურთელი საქართველოს ჩემპიონატში სხვა არავინაა.

**- რატი ალექსიძემ სეზონი კარგად დაიწყო, მაგრამ პირველი ეტაპის ბოლოს თითქოს ჯანი და მხნეობა მოაკლდა, რაც, ალბათ, ოთხწლიანი უთამაშებლობით იყო გამოწვეული. როგორ ფიქრობთ, ერთი კარგი შეკრებით ის ოპტიმალურ ფორმას დაიბრუნებს?**

- როცა ფეხბურთელს ამდენი დრო გაუცდება და მერე ისევ დაიწყებს თამაშს, ზუსტად არავინ იცის, როდის გადაილლება, მაგრამ ეს აუცილებლად მოხდება. რატის სპეციფიკური პროგრამით ვამზადებდით. ძნელია იმის გადაჭრით თქმა, რომ ის ახლა სრული დატვირთვით გაივლის მოსამზადებელ ეტაპს და კარგ კონდიციაში იქნება. ძალიან მნიშვნელოვანია ის მომენტი, რომ რატიმ თავად შეატყოს, როგორი პროგრამით დასჭირდება მომზადება.

**დავით თავართქილაძე**

დინამო

# ლომია მგელი აღარ არის, სამი წლით დინამოში

უკვე გაცნობეთ, თბილისის „დინამოში“ 24 წლის მარცხენა ნახევარმცველი **შოთა ლომია** ვარჯიშობდა. ამ ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ გვითხრეს, რომ ეს ფეხბურთელი გუნდში აღარ იყო. თუმცა გუშინ საღამოს „დინამოს“ ოფიციალურმა ვებგვერდმა გამოამზეურა ინფორმაცია, რომელშიც ვკითხულობთ: „თბილისის „დინამომ“ ზუგდიდის „მგლების“ 24 წლის მარცხენა ნახევარმცველი შოთა ლომია დაიმატა. ფეხბურთელთან 3-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა“.

„მგლების“ მარცხენა ნახევარმცველმა აზრიანი და შემტევი ფეხბურთით ბევრ სპეციალისტს დაამახსოვრა თავი. სათამაშო სტილით ის **დავით კვირკველიას** ჩამოჰგავს, უყვარს იერიშებში ჩართვა, აქვს მწვავე გადაცემები და შეუძლია, მოედანზე დიდი მოცულობის სამუშაო ჩაატაროს, რაც მოეთხოვება კიდეც ფლანგის ფეხბურთელს. „მგლებამდე“ ლომია მარტვილის გუნდში, პირველ ლიგაში გამოდიოდა.

„ტრანსფერი მოულოდნელი არ იყო, მოლაპარაკებები მიდიოდა... როცა „დინამოს“ ზუგდიდში ვეთამაშეთ, ყველაფერი იქიდან დაიწყო. ერთი კვირა „დინამოში“ ვივარჯიშე, ორმხრივ თამაშშიც მივიღე მონაწილეობა და ეტყობა, რაინერ ცობელსა და გუნდის ხელმძღვანელობას მოვეწონე. ამის შემდეგ უკვე პირობებზე დამელაპარაკნენ და ამ მხრივაც არ ყოფილა პრობლემა“ - გვითხრა ლომიამ.

**მერაბ მამულაშვილი**


შოთა ლომია

სატრანსფერო ისტორიები

# ონიანი ალტახში აღარ მიდის

## ლომაიები ავსტრიასა და უკრაინაში

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „ლოკომოტივის“ მეკარე **გიორგი ლომაიამ** კიევში ავსტრიის ვიზა მიიღო. მალე ის ავსტრიული ბუნდესლიგის აუტსაიდერ „ალტახს“ შეუერთდება. მას კლუბმა სამთვიანი კონტრაქტი შესთავაზა. მისი ძმა კი, **დათო**, ამჟამად ლუგანსკში „ზარიასთან“ ერთად ემზადება.

გიორგი ლომაიასგან განსხვავებით, „ალტახში“ არ ითამაშებს რუსთავის „ოლიმპის“ მცველი **გიორგი ონიანი**, რომლის ავსტრიულ ტრანსფერზე რამდენიმე დღის წინ იყო ლაპარაკი. აი, რას გვეუბნება რუსთაველთა 25 წლის ცენტრალური მცველი:

„საკმაოდ უცნაურ ვითარებაში აღმოვჩნდი. წინადადება ავსტრიელებისგან წამოვიდა, მეც დავინტერესდი და ვიცოდი, რომ ჩასვლა იქნებოდა საჭირო, მაგრამ ბოლო დღეებში „ალტახისგან“ არაფერი ისმის. ამიტომაც ხელი ჩავიქნიე. დავრჩები თუ არა „ოლიმპში“, მალე გაირკვევა“.

**მერაბ მამულაშვილი**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ.*რედაქტორი.); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგრა

ინტერვიუ ვლადიმერ ხაჩიძესთან

# მეორე წრეში თოფის გავარდნას უნდა ველოდოთ

„გაგრამ" უმაღლესი ლიგა გამოაცოცხლა და თავისებური ელფერი შესძინა. ეს - მიუხედავად პირველ წრეში დაკავებული მეცხრე ადგილისა და იმ 15 ქულისა, რაც გუნდს მშვიდი ცხოვრების საშუალებას არ აძლევს. მართალია, ვლადიმერ ხაჩიძე თავისი ბიჭებით ხშირად უკმაყოფილოა, მაგრამ ფაქტია, რომ მან „გაგრა" აათამაშა. ის იმ მამას ჰგავს, შვილს მკაცრად რომ ზრდის და იშვიათად აქებს. ხაჩიძეს პირველი წრის შეფასება ვთხოვეთ. ის მოსამზადებელ ეტაპსა და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრება...



ვლადიმერ ხაჩიძე

**- ბატონო ვლადიმერ, მოსამზადებელი ეტაპი უკვე დაიწყო და საინტერესოა, რა გეგმები აქვს „გაგრას"?**

- 10 იანვარს ფეხბურთელებს შვებულება დაუსრულდათ და თბილისში, ვაკის პარკში დავიწყეთ ვარჯიში, 16 იანვარს კი ანთალიაში მივემგზავრებით და ოთხ საკონტროლო შეხვედრას გავმართავთ. დადგენილია შეხვედრების განრიგიც - 19 იანვარს ლატვიურ „ლიეპაიას" შევხვდებით, 22-ში მახაჩყალის „ანჟის", 25 იანვარს პოლონურ „ზაგლებეს", 30-ში ბოლო შეხვედრა ყაზახურ „კაისართან" დავგეგმეთ. ამ დღეს ვამთავრებთ შეკრებას და საქართველოში ვბრუნდებით.

**- რა ცვლილებებია გუნდში, ვინ წავიდა, ვინ მოვიდა?**

- მოსვლით, არავინ მოსულა. თუმცა, რა თქმა უნდა, ამის სურვილი ნამდვილად გვაქვს. რაც შეეხებათ წამსვლელებს, კაპიტანი მგელაძე და მეტრეველი გავუშვით, სხვა ყველა ადგილზეა. თუმცა მეორე გუნდიდან საკმაო ბევრი გავუშვით.

**- რა არის „გაგრის" მიზანი?**

- ამ წუთშიც და გადმოსვლის შემდეგაც, ჩვენი მიზანი უმაღლესში ადგილის შენარჩუნება იყო. თუმცა ბავშვებმა გამოცდილება შეიძინეს და გაცილებით თავდაჯერებულები გახდნენ, ვიდრე სეზონის დაწყებამდე იყვნენ.

**- ანუ არანაირი ამბიცია არ გაქვთ?**

- კი გვაქვს, მაგრამ ჯერჯერობით ისე მოგვდის, კატა ძეხვს რომ ვერ შეწვდა. მიზანი უმაღლეს ლიგაში დარჩენაა და რაც მთავარია - ხელი შევუწყოთ ბავშვების განვითარებასა და ზრდას. არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენი მოთამაშეების უმრავლესობა მხოლოდ პირველ ლიგაშია ნათამაშები. მართალია, თავიდან რიხით დავიწყეთ და თბილისის „დინამოს" მოვუგეთ, მაგრამ მაშინაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ - ეს არაფერს ნიშნავდა. საკუთარ თავს ვერ გადავახტებოდით. ამ გუნდის ფეხზე დასაყენებლად დრო და მოთმინებაა საჭირო.

**- „გაგრიდან" სულ ორი ფეხბურთელი წავიდა. ანუ, თქვენი სიტყვები რომ მოვიშველიოთ, დაწუნებულები გუნდში რჩებიან?**

- მე ვთქვი, რომ ჩვენი მოთამაშეების 80 პროცენტი უმაღლესი ლიგისთვის მზად არ იყო, თორემ მათთვის ხაზი არ გადამისვამს. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ ვერ ვძლიერდებით. თუმცა ბიჭებმა უკვე გაიგეს უმაღლესი ლიგის გემო, დონე შეაფასეს და იმედია, ეს გამოცდილება მეორე ეტაპზე გამოადგებათ.

**- პირველი ეტაპი 15 ქულითა და ბოლოდან მესამე ადგილით დაასრულეთ. გადასარჩენად უმძიმესი ბრძოლის გადატანა მოგიწევთ...**

- სიმართლე გითხრათ, თავიდანვე, კალენდარს რომ გავეცანი და ვითარება ავწონ-დავწონე, პირველ ეტაპზე 17 ქულა დავგეგმე. გეგმა შესრულებული გვექნებოდა, ცხინვალის „სპარტაკთან" შეხვედრა რომ არ ჩაგვეგდო. იყო კიდევ რამდენიმე მატჩი, რომელშიც ქულები დავკარგეთ. სამწუხაროდ, ამის მიზეზი ჩვენი ბიჭების გამოუცდელობა იყო. მაგრამ გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ჩვენი გუნდი უმაღლესი ლიგისთვის არც ემზადებოდა (ასეთი გადაწყვეტილება სხვა გუნდის მოხსნის გამო მიიღეს - ავტ), აქედან გამომდინარე, 15 ქულაც ნორმალური მაჩვენებელია.

**- მეტი რომ ვერ შეძელით მხოლოდ მოთამაშეთა გამოუცდელობის ბრალია თუ სხვა ფაქტორებიც იყო?**

- რა თქმა უნდა, მხოლოდ ასაკის ბრალია. თუმცა ჩვენ სტიქიურ ფეხბურთს არ ვთამაშობთ. გვინდა, გარკვეული მონახაზით ვიმოქმედოთ და თუ სტიქიურ ფეხბურთზე გადავდივართ, გუნდი მაშინვე ირევა. სამწუხაროა, რომ ქართული გუნდების უმრავლესობა სწორედ სტიქიურად თამაშობს და მხოლოდ ორი გამოცდილი მოთამაშით გადის ფონს. ჩვენ კი ფეხბურთელებს სწორად თამაშს ვასწავლით. თუკი ისინი სწორ ფეხბურთს სტაბილურად ითამაშებენ, მაშინ შედეგიც მოვა. თუმცა აქ სწორი ფეხბურთის თამაშიც ძნელია. ოღრო-ჩოღრო მოედნები ხელს გვიშლის. ამ პრობლემის გადაფარვა ვეტერანებს კლასის ხარჯზე შეუძლიათ, ჩვენებს კი ისეთი გამოცდილება არ გააჩნიათ, ამგვარ მოედნებზე გამართულად რომ ითამაშონ. ლევან ცქიტიშვილის მაგალითი ავიღოთ - სადაც არ უნდა თამაშობდეს, ბურთის მოთვინიერებას ყოველთვის ახერხებს. ამ პრობლემას თუ მოვაგვარებთ, თავს მორიგი ნაკლი იჩენს - სწორი პასის მიცემა ძალიან ბევრმა არ იცის. დააკვირდით, ათ მეტრშიც კი აწეულ გადაცემას აკეთებენ. ეს არ არის მიღებული თანამედროვე ფეხბურთში. მოთამაშე ამას რომ გადააჩვიო, 2-3 თვე მაინც გჭირდება. მწვრთნელის ამოცანა ფეხბურთელების გაზრდა და მათთვის სწორი მიმართულების შერჩევაა, მაგრამ ბავშვობიდან რომ არ უსწავლიათ, ძნელია, ერთდროულად ყველას ასწავლო. ბევრმა დაბალი პასის მიღებაც არ იცის, ტექნიკური ხარვეზები აქვთ. პრობლემაა თეორიული განათლებაც. რასაც ევროპელები ბავშვობაში ასწავლიან, ჩვენთან იმას უმაღლესი ლიგის გუნდის ფეხბურთელებს უხსნიან. მაგალითად, ავილოთ 4-4-2 განლაგება. ამ სქემის რამდენიმე ვარიანტი არსებობს და სრული 9 საათია საჭირო, ეს ყველაფერი ფეხბურთელებს რომ ავუხსნათ. ამას უზარმაზარი დრო და ენერგია სჭირდება. მოსამზადებელ ეტაპზე კიდევ შეიძლება ამისთვის დრო გამონახო, მაგრამ ჩემპიონატის მსვლელობისას, როცა კონკრეტული გუნდის წინააღმდეგ კონკრეტული მიზნის მისაღწევად ემზადები, თითქმის შეუძლებელია, ფეხბურთელებს თეორიულ საკითხებზე ესაუბრო. ამიტომაც ვამბობ, რომ ქართული ფეხბურთი უმძიმეს მდგომარეობაშია. ზოგჯერ მგონია, რომ ჩვენთან ფეხბურთს არც თამაშობენ. რასაც აქ ვუყურებთ, ფეხბურთის ნაირსახეობას უფრო ჰგავს - პირობები, სტადიონები, ინფრასტრუქტურა, თამაშის ტემპი, კლასი თუ ათასი სხვა რამ. ამას არავის ჯიბრზე არ ვამბობ, უბრალოდ, ჩემი გულისტკივილია და ვფიქრობ, საწყენი არ უნდა იყოს. რეალობა უნდა გავითვალისწინოთ და მდგომარეობის გამოსწორებაზე ვიზრუნოთ.

**- თერთმეტგუნდიანი ჩემპიონატით უკმაყოფილება თავიდანვე ვერ დამალეთ...**

- აღშფოთება არაფერ შუაშია, უბრალოდ, ჩემი აზრით, ეს სისტემა საქართველოს ფეხბურთისთვის მიუღებელია, თორემ აკვიატებული კრიტიკა არასდროს მახასიათებდა. თუმცა 11 გუნდისთვის ეს სისტემა შედარებით უკეთესი გამოსავალი იყო. პირველ წრეში ხომ დაძაბულობა იყო და თქვენ ნახავთ, მეორე ეტაპზე რა მოხდება.

**- სიმართლე გითხრათ, ძნელი გასაგებია, რატომ არის მიუღებელი დაძაბული ჩემპიონატი? ამას ნებისმიერი პირველობის პლუსად თვლიან...**

- დაძაბულობას სპორტული მხარე უნდა განაპირობებდეს და არა მხოლოდ სისტემა. ეს კი ისეთი სისტემაა, მეორე წრეში თოფის გავარდნას უნდა ველოდოთ.

**- თქვენი შეშფოთება გვესმის. პირველ ეტაპზე მსაჯის თითოეული შეცდომა სკანდალის მიზეზი ხდებოდა და არავინ იცის, რა გველის გაზაფხულზე...**

- დარწმუნებულიც ვარ, რომ მსაჯები ისეთ წნეხში მოექცევიან, თამაშებზე დაცვითა და ჯავშანჟილეტებით უნდა იარონ.

**- ისევ „გაგრას" მივუბრუნდეთ. პირველ წრეში სტუმრად მხოლოდ ერთი ქულა აიღეთ და ისიც - აუტსაიდერ ცხინვალის „სპარტაკთან"...**

- გეთანხმებით, ეს ჩვენი დიდი მინუსი იყო. მაგრამ ამასაც ფეხბურთელების გამოუცდელობას ვაბრალებ. გამოცდილი მოთამაშეები გასვლაზე უფრო თავდაჯერებულები თამაშობენ, გამოუცდელები კი შებოჭილები არიან.

**- დაახასიათეთ გუნდი რგოლების მიხედვით. დავიწყოთ მეკარე თევდორაძით...**

- სხვათა შორის, რეზოს ეს ეტაპი ცუდად არ ჩაუტარებია. საკმაოდ ნორმალურად ითამაშა, დანარჩენ რგოლებზე კი არ მოგახსენოთ.

**- ანუ დაცვით, ნახევარდაცვითა და თავდასხმით უკმაყოფილო ბრძანდებით?**

- როცა თავდამსხმელი გოლს ვერ გაიტანს და დაცვა უამრავ, თან მიუტევებელ შეცდომას დაუშვებს, როგორ ვიქნები ან ერთით, ან მეორით კმაყოფილი? მოკლედ, ბევრი ლაფსუსი გვქონდა. სამწუხაროდ, მოკლე სათადარიგოთა სკამი შემადგენლობის ვარირების საშუალებას ნაკლებად გვაძლევდა. იმედია, გამოცდილებაშეძენილი ფეხბურთელები მეორე ეტაპზე გაცილებით მეტს მოახერხებენ, ყოველ შემთხვევაში, მე მაინც იმედიანად ვარ.

**- თქვენი კოლეგების საქმიანობაზეც ვისაუბროთ. რომელ მათგანს გამოარჩევდით?**

- ძნელია ამაზე საუბარი მაშინ, როცა თითოეული მათგანი უმძიმეს პირობებში მუშაობს, ყოველ ახალ წრეში ლამის მთელი გუნდი მიდის და შემადგენლობის დაკომპლექტება თავიდან უწევთ. ისევ „ვიტ ჯორჯიის" აღნიშვნა შეიძლება და ისიც - სტაბილური შემადგენლობის გამო.

**- ფეხბურთელებიდან ვინ მოგეწონათ?**

- ისევ ვეტერანები: ლევან ცქიტიშვილი და გიორგი ლომაია. სამწუხაროა, რომ მათსავით მკაფიოდ ახალგაზრდები არ ჩანან. გაბედავა ურიგო ფეხბურთელი არ არის, მაგრამ ბევრი აქვს დასახვეწი. ასევე ვიტყოდი ბევრ ისეთ ფეხბურთელზეც, რომელსაც დიდი ფეხბურთის თამაში სურს. სამწუხაროა, რომ მაღალი კლასის ფეხბურთელები აქ არ ჩერდებიან. საქართველოში თითქმის არ დარჩა მოთამაშე, რომლის სანახავადაც სტადიონზე გულშემატკივარი ივლიდა...

**მერაბ მამულაშვილი**

სპარტაკი

## თბილისიდან ედემში

ცხინვალის „სპარტაკი" სეზონის მეორე ეტაპისთვის მზადებას განაგრძობს. **სერგო გაბელაიას** გუნდში რამდენიმე ახალი ფეხბურთელია - „ბორჯომიდან" მცველი **გივი ქარქუზაშვილი** და ნახევარმცველი **კოკა ავალიანი**, საჩხერის „ჩიხურიდან" მცველი **მგალობლიშვილი**, „გაგრიდან" თავდამსხმელი **ზვიად მეტრეველი**, ბოლნისის „სიონიდან" მცველები **მურმან ქურასბედიანი** და **გიორგი ოქროპირიძე**, ნახევარმცველი **გიორგი ჩივაძე** და თავდამსხმელი **შოთა ჯიქია**.

სიახლე კი ის გახლავთ, რომ ტესტირებაზე მყოფთა რიგებს გორის „დილის" ორი ფეხბურთელი - თავდამსხმელები **იჩქიტი** და **სადალაშვილი** გამოაკლდნენ. ეროვნული ჩემპიონატის რეგლამენტის მიხედვით, არ შეიძლება, ერთი სეზონის განმავლობაში ფეხბურთელმა ორზე მეტ კლუბში იასპარეზოს. ეს დუეტი კი მიმდინარე პირველობაზე, „დილის" გარდა, „ბორჯომშიც" თამაშობდა.

16 იანვარს სპორტკომპლექს „ოლიმპში" ცხინვალელები ვარჯიშსა და საწვრთნელ მატჩს გამართავენ. 18-ში კი, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე, თბილისის „დინამოსთან" ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებენ. 19-ში „სპარტაკის" ფეხბურთელები სამედიცინო შემოწმებას გაივლიან, ხოლო 20 იანვარს მოსამზადებელ შეკრებაზე ქობულეთს მიაშურებენ. გაბელაიას გუნდი ზღვისპირა ქალაქის სასტუმრო „ედემში" დაბინავდება და რამდენიმე ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს.

**დავით ცაბაძე**

ტელეგრამები



ალექსანდრე იაშვილი

## გაფუჭებული პენალტი და საგოლე პასი

გუშინ თურქულ ბელექში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა „კარლსრუემ" დიუსელდორფის „ფორტუნა" სპარინგმატჩში 3:1 დაამარცხა. **ალექსანდრე იაშვილმა** მხოლოდ მეორე ტაიმი ითამაშა. ერთ ეპიზოდში „ფორტუნის" მცველმა იაშვილთან ორთაბრძოლაში ხელით ითამაშა, მაგრამ ჩვენებურმა 11-მეტრიანის ნიშნულიდან გოლკიპერ **მიხაილ რატაიჩაკს** ვერ აჯობა. 75-ე წუთზე **კაპლანიმ** ჩვენებურის პასით ანგარიში 2:1 გახადა...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## მენთეშაშვილმა მანჩხავას სძლია

ლატვიის ჩემპიონი „ვენტსპილსი" ახალი სეზონისთვის ემზადება. **ზურაბ მენთეშაშვილის** გუნდი ლიტვის ქალაქ მარიამპოლში გადის შეკრებას. ვენტსპილსელებმა იქ ადგილობრივ ვერცხლის პრიზიორთან, **ნუკრი მანჩხავას** „კაუნასთან" ამხანაგური მატჩი გამართეს და 2:0 მოიგეს. ამ შეხვედრაში ჩვენებურები სასტარტოში შემადგენლობაში იყვნენ.

**დავით ცაბაძე**

## ოდიკაძე მარჯვენა მცველად

უნგრულ „დიორ ეტოსთან" სამწლინახევრიანი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ **დავით ოდიკაძემ** ახალ გუნდში გუშინ დილით პირველად ივარჯიშა. ამას კი სალამოს საწვრთნელი მატჩიც მოჰყვა. „დიორის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ოდიკაძემ ორმხრივ შეხვედრაში მთავარი გუნდის სასტარტოში ითამაშა. ვებგვერდზევე მითითებულია ტაქტიკური სქემაც. როგორც ჩანს, „დიორის" მწვრთნელი კლასიკურ 4-4-2 განლაგებას ანიჭებს უპირატესობას. ამ სქემაში ოდიკაძე მარჯვენა მცველად იყო გამწესებული.

**დავით ცაბაძე**

## გურულთან ამკარი ვერას გახდა

**სანდრო გურულის** ლვოვის „კარპატი" სეზონის მეორე ნახევრისთვის თურქეთში ემზადება. ანთალიაში დაბანაკებულმა კარპატელებმა გუშინ ამხანაგური მატჩი გამართეს. ლვოველები პერმის „ამკარს" დაუპირისპირდნენ და 2:1 მოიგეს. გურული უკრაინელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო. მართალია, ქართველ ნახევარმცველს გატანილ გოლებში წვლილი არ მიუძღვის, მაგრამ უკრაინული ვებგვერდების მტკიცებით, სანდროს გვარიანად უაქტიურია.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

## ხიზანეიშვილს მხოლოდ გრიპი აქვს

გუშინდელ „აუგსბურგის" მცველ **ოთარ ხიზანეიშვილის** დაშავებაზე ვწერდით, რასაც საფუძვლად ედო კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - მართალია, ხიზანეიშვილი გუნდს ესპანურ შეკრებაზე ახლავს, მაგრამ ვარჯიში არ შეუძლია, სასტუმროში რჩება და ფეხზე ძლივს დგებაო.

[illegible]არის შესახებ გუშინ უფრო [illegible]ტული ინფორმაცია „აუგსბურგერ ალგემაინენმა" დაბეჭდა. აღმოჩნდა, რომ ხიზანეიშვილს ტრავმა კი არ აქვს, გრიპის ვირუსი შეჰყრია. ასე რომ, იმედია, ქართველი მცველი მწყობრში მალე დაბრუნდება.

ამასობაში კი „აუგსბურგმა" მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა. დორტმუნდის „ბორუსიასთან" გამარჯვების (2:1) შემდეგ **ჰოლგერ ფახის** ბიჭებმა კიდევ ერთი ბუნდესლიგელი, ამჯერად ფრანკფურტის „აინტრახტი" მოიგელეს - 3:2. სხვათა შორის, ფრანკფურტელთა რიგებში საქართველოს ნაკრები ყოფილი თავკაცის **კლაუს ტოპმიოლერის** ვაჟმა, თავდამსხმელმა **დინო ტოპმიოლერმა** ითამაშა და აუგსბურგელებს ერთი გოლიც გაუტანა.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემურ ქეცბაია

ჩვენი არჩევანი

# 2008 წლის საუკეთესო ქართველი მწვრთნელი





ერთ კვირაში უეფა 2008 წლის ევროპის საუკეთესო მწვრთნელს დაასახელებს; ნომინანტი ხუთი იყო და, მართლაც, საქვეყნოდ აღიარებული და გამოცდილი მწვრთნელების (ფერგიუსონი, არაგონესი, თერიმი, ადვოკაატი) გვერდით ჩვენი თანამემამულეც - **თემურ ქეცბაიაც** ამ სიაში მოხვდა! სერ **ალექს ფერგიუსონის** ხელმძღვანელობით „მანჩესტერმა“ გასულ წელს პრემიერლიგა, ჩემპიონთა ლიგა და კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო; **ლუის არაგონესმა** ესპანეთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონობა მოაპოვებინა; **ფატიხ თერიმმა** იმავე ევროპის ჩემპიონატზე ტრავმებისგან ლამის განახევრებული თურქეთის ნაკრები მესამე ადგილზე გაიყვანა; **დიკ ადვოკაატის** „ზენიტმა“ კი ჯერ უეფას თასი მოიპოვა, მერე - სუპერთასი. აი, თემურ ქეცბაიას „ანორთოსისს“ კი, კვიპროსის ჩემპიონატის ოქროს მედლებს თუ არ ჩავთვლით, საერთაშორისო ასპარეზზე ტიტული არ მოუგია. თუმცა ქართველი მწვრთნელის დამოძღვრილმა, მართლაც, მოკრძალებულმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგაზე ისეთ შედეგს მიაღწია, წლის ერთ-ერთ უმთავრეს სენსაციად რომ მოინათლა. ზოგმა მოულოდნელობა დაარქვა, ზოგმა - ზღაპარი, რეალობა კი ასეთი გახლდათ: აგვისტოდან დეკემბრამდე „ანორთოსისი“ ყველას აოცებდა! ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე სომხეთის „პიუნიკს“ რომ ორივე მატჩი მოუგო, აქ, საქართველოში ყველას გაგვიხარდა და ამასთან - დიდად არც გაგვკვირვებია; მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ავსტრიის ჩემპიონი, ვენის „რაპიდიც“ რომ გზიდან ჩამოიცილა, უფრო გაგვიხარდა და ამასთან, ცოტა, გაგვიკვირდა კიდეც; აი, მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე კი ბერძნულ „ოლიმპიაკოსთან“ საბოლოო წარმატებას კი, ვალიაროთ და, თითქმის არ ველოდით. უფრო ზუსტად, წარმოუდგენლად მიგვაჩნდა საბერძნეთის ყველაზე ტიტულოვანი გუნდის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მიღმა დარჩენა - ასეთი რამ ამ გათამაშების ისტორიაში, თითქმის არც ყოფილა. მაგრამ, „ზღაპარი“ გრძელდებოდა და „ანორთოსისმა“, ფაქტობრივად, პირველ მატჩშივე გაარკვია ამ წყვილში გამარჯვებულის ვინაობა - ქეცბაიას გუნდმა მრისხანე მეტოქის კარში სამი უპასუხო გოლი გაიტანა! განმეორებით შეხვედრაში „ოლიმპიაკოსმა“ მხოლოდ მინიმალური სხვაობით (1:0) გამარჯვება მოახერხა და ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ჯგუფურ ეტაპზე კვიპროსული გუნდი გავიდა! თავისთავად, ქეცბაია კვიპროსულ ფეხბურთის ისტორიაშიც შევიდა და, რაც ყველაზე მთავარია, პირველი ქართველი მწვრთნელიც შეიქმნა, გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე რომ გაიყვანა!

..."ანორთოსისი" ისეთ ჯგუფში მოხვდა, ბევრის აზრით, ერთი კინკილა ქულის მოპოვებაც წარმატებად უნდა ჩათვლილიყო; სამწუხაროდ, ბევრი სწორედ აქ, საქართველოში იყო განწყობილი სკეპტიკურად - „ანორთოსისმა“ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს მიაღწია და ჯგუფშიც სტატისტის როლისთვის არის განწირულიო... არადა, რა და როგორ მოხდა, ყველას კარგად მოეხსენება: ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის წინ „ანორთოსისს“ მერვედფინალში გასვლის რეალური შანსიც ჰქონდა! ჰო, მოიგებდა „პანათინაიკოსთან“ შეხვედრას და ზღაპარი უსასრულობაში გადავიდოდა; ფრედ დასრულდებოდა ის მატჩი და უეფას თასზე იასპარეზებდა - კვლავაც ტკბილი ზღაპრის გაგრძელება იქნებოდა. სამწუხაროდ, თემურ ქეცბაია და მისი მოკრძალებული „ანორთოსისი“ მხოლოდ საკუთარ თავზე არ იყვნენ დამოკიდებულნი და... „ვიღაც-ვიღაცეებმა“, ალბათ, ლამაზი ზღაპრის მალე დასრულება მოინდომეს. ჰო, თანამედროვე ფეხბურთში ძალთა გათანაბრების პროცესი აღარავის გვიკვირს, მაგრამ, ცოტა არ იყოს, უცნაურად მოგვეჩვენა, რომ მილანის „ინტერმა“ ჯგუფური ეტაპის ბოლო ორ შეხვედრაში... ერთი ქულაც რომ ვერ აიღო?! **ჟოზე მოურინიოს** ვარსკვლავთკრებულმა ჯერ შინ წააგო მატჩი „პანათინაიკოსთან“, მერე კი - ბრემენში, „ვერდერთან“. არადა, „ანორთოსისთან“ ორივე მატჩის დასრულების მერე, მოურინიო ქართველი კოლეგის მისამართით კომპლიმენტებს არ იშურებდა და იმასაც „შეჰპირდა“, რომ „ინტერი“ ბოლო ორ შეხვედრას პატიოსნად ითამაშებდა!..

არა უშავს, მართალია, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალიც და უეფას თასიც განზე დარჩა, მაგრამ, თემურ ქეცბაიას ღვაწლი შეუმჩნეველი მაინც არ დარჩენილა. ეგ კი არა, მთელი შემოდგომა, რუსული პოპულარული სპორტული ტელეარხები ქების სიტყვებს არ იშურებდნენ ქართველი მწვრთნელის მიმართ. აღარაფერს ვამბობთ ამავე ქვეყნის ბეჭდურ მედიაზეც: ნოემბერ-დეკემბერში თითქმის ყველა მაღალტირაჟიან გამოცემებში („სპორტ-ექსპრესი“, „სოვეტსკი სპორტი“, ფუტბოლი“) თემურ ქეცბაიასთან ვრცელ (და აშკარად კეთილგანწყობილ) ინტერვიუებს ვეცნობოდით. რაღა თქმა უნდა, ყოველივე ეს, ჩვენც გვიხაროდა; თუმცა, სამწუხაროდ, ქართველმა ჟურნალისტებმა... თემურ ქეცბაიასთან გასაუბრება ვერ მოვახერხეთ. ყოველ შემთხვევაში, „ლელოს“ ამისთვის მცდელობა არ დაუკლია, მაგრამ... ნამდვილად არ გვინდა დავიჯეროთ, რომ დაახლოებით 10-11 წლის წინანდელი ამბავი მეორდება, როდესაც ფეხბურთელი თემურ ქეცბაია ქართულ პრესასთან უბრად გახლდათ. ეგ არაფერი, წყენას გულში ნამდვილად არ ჩავიდებთ; პირიქით - დიდი იმედით დაველოდებით 20 იანვარს; ანუ, იმ დღეს, უეფამ 2008 წლის ევროპის საუკეთესო მწვრთნელი რომ უნდა გამოავლინოს. ამ გამოკითხვაში ქომაგები იღებენ მონაწილეობას და ხომ შეიძლება, ჩვენმა თანამემამულემ გაიმარჯვოს? ასე რომც არ მოხდეს, თემურ ქეცბაიასთვის მაინც უდიდესი პატივი იქნება ნომინანტებში მოხვედრა.

...ქეცბაია-ფეხბურთელზე არაერთხელ დაგვიწერია; 22-წლიანი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში, სადაც კი უთამაშია, ყველგან გამორჩეული იყო: სოხუმის „დინამოში“, თბილისის „დინამოში“, კვიპროსის „ანორთოსისში“, საბერძნეთის აეკ-ში, ინგლისურ „ნიუკასლსა“ და „ვულვერჰემპტონში“, შოტლანდიურ „დანდიში“; სიმბოლურია, რომ ფეხბურთის თამაში „ანორთოსისში“ დაასრულა - იქ, სადაც დაიწყო კიდეც მისი საზღვარგარეთული კარიერა. ტიტულებიც უამრავი ჰქონდა - რომელ ქვეყანაშიც უთამაშია, გუნდური თუ ინდივიდუალური პრიზების კოლექციასაც ამდიდრებდა. ჰო, საქართველოს ნაკრები არ გვიხსენებია, რომლის შემადგენლობაშიც 50 შეხვედრა ჩაატარა და რომლის ერთ-ერთი ლიდერიც იყო წლების განმავლობაში. უფრო მეტიც - საქართველოს ნაკრების ისტორიაში თემურ ქეცბაია, უდავოდ, ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად დარჩება! სამწუხაროდ, იმავე საქართველოს ნაკრებში ქეცბაია-ფეხბურთელის ნიჭი 100 პროცენტით ვერ გამოვლინდა; თუმცა ეს, ალბათ, ზოგიერთი მწვრთნელის სინდისზე უნდა იყოს - ბუნებით ლიდერ და მუდამ სამართლიან ქეცბაიასთან გარკვეული პრობლემები რომ ჰქონდა. ვინ მოსთვლის, რამდენი შემთხვევა ყოფილა მსოფლიო ფეხბურთში, გამორჩეულად ნიჭიერ მოთამაშეს რომ ჭირვეული ხასიათი ჰქონია. ქეცბაია-ფეხბურთელზე ჭირვეულს ვერ ვიტყვით, თუმცა, ალბათ, მისი პირდაპირობა ბევრს არ სიამოვნებდა...

...ქართველებს ხშირად გვიყვარს უცხოს გაფეტიშება; ჰო, გავაზვიადებთ და ვინმეს ჩვეულებრივ ნაბიჯს... ლამის ისტორიულ მოვლენად შევაფასებთ; ამ დროს კი, ხანდახან, „ვერ ვამჩნევთ“, რომ, თურმე, ჩვენიანსაც შეუძლია საქმის კეთება. თანაც, პროფესიულ დონეზე; აი, ისე, რომ მოკრძალებული ბიუჯეტის გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანოს; გუნდი, სადაც ფეხბურთელთა უმრავლესობა 30 წელს გადაცილებულია; გუნდი, სადაც ქართველ მწვრთნელს ადგილობრივების გარდა რამდენიმე ეროვნების ფეხბურთელთან უხდება ურთიერთობა: უნგრელთან, ალბანელთან, ჰოლანდიელთან, სერბთან, ფრანგთან, პორტუგალიელთან, პოლონელთან, ერაყელთან...

...როგორც არ უნდა დასრულდეს ევროპის საუკეთესო მწვრთნელთა გამოკითხვა, ერთი რამ ცხადია და, ალბათ, საკამათოც არავისთვის იქნება: თემურ ქეცბაია საქართველოში წლის საუკეთესო მწვრთნელია!

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი



გივი დიდავა (მარჯვნივ)

# უნდა მოელაპარაკოს და გამოისყიდოს...

## საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი ბაქოს ოლიმპიკში დაიწუნეს

სატრანსფერო თვალსაზრისით ჩვენთვის ყველაზე მეტი საინტერესო სიახლე აზერბაიჯანში ხდება, სადაც ჩემპიონატის პირველ ნაწილში 20-ზე მეტი ქართველი თამაშობდა. ყველაზე აქტუალური კვლავ **გიორგი ადამიას** თემაა. მოგეხსენებათ, უკვე დასახელდა თანხა, რომელსაც „ნეფთჩი" ქართველი ფორვარდის სანაცვლოდ „ბაქისგან" ითხოვს - 180 ათასი მანათი (220 ათასი დოლარი). სწორედ ეს გახდა ტრანსფერის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი. „ბაქის" ვიცე-პრეზიდენტმა **ზეინალ მამედოვმა** განაცხადა, რომ ადამიას მოუწევს, ყოფილ კლუბს თავად მოელაპარაკოს და ტრანსფერიც თავადვე გამოისყიდოს. მამედოვმა „ექსტრა ტაიმს" შემდეგი უთხრა:

„თუ გიორგი ადამია უახლოეს დღეებში არ მოაგვარებს პრობლემას „ნეფთჩისთან", ჩვენ მასზე უარს ვიტყვით. გიორგისთან სხვა პრეტენზია არ გვაქვს. წინა საღამოს ის ჩამოვიდა ბაქოში და დღეს უკვე ივარჯიშა გუნდთან ერთად. პირად კონტრაქტზეც დეტალურად მოვილაპარაკეთ. მაგრამ ყველაფერი აირია, რადგან „ნეფთჩი" მის სანაცვლოდ 180 ათას მანათს ითხოვს, ადამიამ თავად უნდა გამოისყიდოს საკუთარი კონტრაქტი, ის კი ჯერჯერობით უარზეა და მაქსიმუმ 10-20 ათასის გადახდას გეგმავს. ჯერჯერობით, ველოდებით, როგორ გადაწყდება ეს საკითხი, თუ არა და, ამ პოზიციაზე სხვა ფეხბურთელის მოძებნა მოგვიწევს".

„ექსტრა ტაიმი" თავად გიორგი ადამიასაც ესაუბრა: „არ მეგონა თუ, „ნეფთჩი" ამხელა პრობლემას შემიქმნიდა. მათ ჩემი კარიერის დასამარება სურთ. სჯობდა, თავიდანვე გავეშვი გუნდიდან, ასე უფრო ადამიანურად გამოუვიდოდათ. ბაქოში მხოლოდ პირადი კონტრაქტის დასაზუსტებლად ჩამოვედი. ნათქვამი იყო, რომ კლუბები თავად მოაგვარებდნენ ტრანსფერის საკითხს".

სხვა გზა არ რჩება - ადამია „ნეფთჩის" ხელმძღვანელობას უნდა მოელაპარაკოს, ეს ხელმძღვანელობა კი ფეხბურთელთან დათმობაზე წასვლას არ აპირებს. მოკლედ, ადამიას ტრანსფერი ჩაშლის პირასაა, მომავალი კი - გაურკვეველი.

ამასობაში, აზერბაიჯანში ჩვენთვის საინტერესო სპარინგი გაიმართა - ბაქოს „ოლიმპიკმა" „კაბალას" 1:0 მოუგო. ჯერჯერობით, უცნობია, როგორ მისდის საქმეები „კაბალაში" სინჯებზე მყოფ გოლკიპერ **მირზა მერლანს**, საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი **გივი დიდავა** კი „ოლიმპიკში" დაიწუნეს.

„ქარვანში" სინჯებზე იმყოფებოდა ბოლნისის „სიონის" ფეხბურთელი **გელა ხუბუაც**. სპარინგმატჩში „ქარვანმა" ბაქოს „ინტერის" დუბლშემადგენლობას 2:1 მოუგო. ამ მატჩის შემდეგ ხუბუა და კიდევ ერთი ქართველი (რომლის ვინაობასაც წყარო არ ასახელებს) საქართველოში დააბრუნეს. ამ მატჩში ერთ-ერთი გოლი „ქარვანის" ნახევარმცველმა **მიხეილ მესხმა** გაიტანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ინდივიდუალური მომზადება
**კარატეში**

ყალიბდება 10-კაციანი (ორივე სქესისთვის) ელიტარული ჯგუფი, რომელიც ფიზიკური მომზადების გარდა, გაივლის ზოგად ფსიქოლოგიას, ავტოტრენინგს, თერაპიის რამდენიმე სპეციფიკურ ფორმას.

ჯგუფს აყალიბებს საერთაშორისო კატეგორიის ინსტრუქტორი, ექსპერტი მამუკა დავითიშვილი-ბაგრატიონი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება აღმოსავლეთის ქვეყნებში.

დაგვიკავშირდით: ოფისი (Tel/Fax) 963 189
ინსტრუქტორი 899 131 662
მისამართი: ქ. თბილისი, არმიის სპორტული კომპლექსი, უნივერსიტეტის 2.

საახალწლო

# ვიყოთ ხარებივით ხარის წელში!

მოდით, ამ საახალწლოდ დროებით მოვწყდეთ დაძაბულ რეალობას და ცოტათი მოვეშვათ. ხანდახან ესეც საჭიროა. ძალიან კი გვიყვარს ეს ჩვენი ფეხბურთი და გულიც შეგვტკივა წარუმატებლობების გამო, მაგრამ რას ვიზამთ, ზოგჯერ ამ ყველაფერს იუმორითაც უნდა შეხედო კაცმა, თორემ...

დღეს „ლელოს" სტუმრები არიან პოპულარული ტელესახეები - ვანო ჯავახიშვილი და გოჩა თანდარაშვილი. ვანოსგან განსხვავებით, გოჩას უფრო ხშირად ვხედავთ როგორც საქართველოს ჩემპიონატის, ისე ეროვნული ნაკრების მატჩებზე. უცხოური კლუბებიდან ის „ლივერპულის" გულშემატკივარია, ხოლო რაც შეეხება ვანოს, ის თბილისის „დინამოს", „არსენალსა" და საფრანგეთის ნაკრებს ქომაგობს...



ვანო ჯავახიშვილი

## ვანო: შოტლანდია რომ დავამარცხეთ, მას მერე თამაში მოვიგეთ?

**- საფეხბურთო და საერთოდ, სპორტული თვალსაზრისით როგორ შეაფასებდი გასულ 2008 წელს?**

- ზოგადად, გასული წელი მართლაც დახუნძლული იყო გამარჯვებებით, მაგრამ აი, ფეხბურთში კი ჩვენებმა ბევრი ვერაფრით დაგვამახსოვრეს თავი. არც კი ვიცი, რა უნდა გამოვყოთ ამ მხრივ? ნუ, ალბათ ეროვნულ ნაკრებში მწვრთნელების ცვლა. გაზაფხულზე კლაუს ტოპმიოლერს გავეყარეთ და პეტარ სეგრტს შევეყარეთ, რომელიც თურმე შეგრტი ყოფილა. ჰმ, გახსოვთ, როგორ მოეწონა მთავარი მწვრთნელის პოსტი? იხვეწებოდა, არ გამიშვათო, დარჩენა უნდოდა. მერე ეს ხორვატი არგენტინელმა ექტორ კუპერმა შეცვალა... ხედავთ? ნაკრების მწვრთნელის ძებნაში ევროპა აღარ გვეყო და ოკეანისგაღმა, სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე კი გადავედით... (იცინის)... მაგრამ ნეტავ მწვრთნელი გამოადგეს ჩვენს ნაკრებს და, ოკეანისგაღმიდან კი არა, სხვა გალაქტიკიდანაც რომ იყოს, მე პირადად თანახმა ვიქნები... ჯერ, სულ 3-4 თვეა, რაც კუპერი ხელმძღვანელობს გუნდს. მოვიგეთ ერთი მატჩი, ისიც ამხანაგური, უელსში... იმედია, ჩვენმა ნაკრებმა მოგებები 2009 წლისთვის გადაინახა. ახლა ვნახოთ, რა ხდება მსოფლიო სპორტსა და ფეხბურთში... ჩვენმა რაინდებმა, გმირებმა, ლომებმა... ოლიმპიელებს ვგულისხმობ, საქართველოში რუსული ბომბები რომ ცვიოდა, ისინი პეკინიდან ოქროსა და ბრინჯაოს მედლებს გვაყრიდნენ...

საფრანგეთის ნაკრებმა, რომელსაც ჩვენი ეროვნულის შემდეგ ვგულშემატკივრობ, თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა. ევროპის ჩემპიონატს ნულარ გამახსენებთ რა... თუმცა „არსენალმა" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გაალწია და იმედი მაქვს, ხარის წელში „მეთოფეები" ხარებივით იქნებიან, ყველას ბდღვირს აღენენ... ჰო, კინაღამ დამავიწყდა - 2008 წელს თბილისის „დინამო" ჩემპიონი გახდა. ამ გუნდის ქომაგი ვარ... იმედი მაქვს, „დინამო" ამ წელსაც იზეიმებს ჩემპიონობას... ისე, არც დუბლზე ვიტყოდი უარს (იცინის)...

**- ჩვენი ფეხბურთიდან მწვრთნელების ცვლის მეტი არაფერი დაგამახსოვრდა?**

- რა უნდა დამმახსოვრებოდა, ჩვენმა ნაკრებმა თბილისში ბოლოს შოტლანდიას მოუგო, მაგრამ ეგ რომელ წელს იყო, აღარ მახსოვს (იცინის)... იმედი მაქვს, მერე კიდევ ვიქნები „ლელოს" რესპონდენტი და წელს რომ შევაჯამებთ, შოტლანდიასთან მატჩის გახსენება აღარ მომიწევს, ამ წელს სხვა თამაშებსაც მოვიგებთ... კუპერზე კი ბევრი მსმენია, ის დისციპლინის მოყვარული და მკაცრი მწვრთნელია. ბიჭებს არ ეწყინოთ და, სწორედ ასეთი მკაცრი ხელი სჭირდებოდა ჩვენს ნაკრებს. მჯერა, კუპერი ძლიერ გუნდს ჩამოაყალიბებს... ახლა, მთლად საფრანგეთის ნაკრებივით ან „არსენალივით" ასე უცებ ვერ ავთამაშდებით, მაგრამ ისეთი გუნდი მაინც იქნება, ქართული ფეხბურთის ტრადიციებს რომ ეკადრება... კიდევ ერთი რამ დამამახსოვრდა - „ლელოში" წავიკითხე, ახალგაზრდა ქართველი მოთამაშე „ბარსელონის" სკოლაში რომ ჩაირიცხა... აღარ მახსოვს გვარი...

**- გიორგი ჭანტურია...**

- ჰო, ჰო, ჰო, აი, ეგ არის, ეგაა... ეგ გახდება, ვინც გახდება რა... მაგას „ვბალელშჩიკობ", იმედი მაქვს, რამდენიმე წელიწადში მაღალი დონის ფეხბურთელი გახდება.

**- ნაკრების ფეხბურთელებიდან არავის გამოყოფდი?**

- ყენია მომეწონა, მჭედლიძეც და ერთია კიდევ... ისაა... ბულგარეთთან მაგრად რომ ითამაშა, ერთი-ორჯერ კარგად დაუბრახუნა კარში...

**- ბექა გოცირიძე...**

- ჰოოო, ეგ არის, ზუსტად ეგ, ქერათმიანი, საქართველოს ჩემპიონატიდან, ახლა „დნიპროს" თავდამსხმელი...

**- რამდენადაც ვიცი, თავადაც თამაშობ ფეხბურთს...**

- კი, ადრე ხშირად ვთამაშობდი, მაგრამ ახლა სად მაქვს მაგის დრო? ბოლოს როდის ვითამაშე, აღარც მახსოვს... ცენტრალური მცველი ვიყავი.

**- და კარგი მცველი იყავი?**

- როგორ ფიქრობ, კარგი რომ ვყოფილიყავი, დიდი კლუბები არ შემამჩნევდნენ? მცველი ვიყავი რა, ვინც ძალიან გამიჩმახებდა, ეგრევე ვჩეხავდი (იცინის)...

**- ერთ-ერთ შოუში კარშიც დგახარ...**

- ნუ ახლა, პენალტებისას ჩვენს მეკარეებს არ ვენდობოდი, ამ მისიასაც ვკისრულობდი და სხვათა შორის, ძალიან კარგადაც...

**- რას ელი 2009 წლისგან?**

- ქართული ფეხბურთისა და მთლიანად ჩვენი სპორტის წარმატებებს. ხარებივით ყოფილიყვნენ ჩვენი სპორტსმენები და მრავალჯერ გავე-ხარ-ებინეთ...

## გოჩა: დავურიგოთ კლუბებს 120-120 ლარი...

**- გოჩა, რას იტყოდი გასულ წელზე, როგორ შეაფასებდი?**

- საფეხბურთო და მეტადრე სპორტული თვალსაზრისით, ჩვენთვის საინტერესო წელი იყო, წარმატებულიც, რაც მთავარია. ჩვენმა გმირებმა ოლიმპიადაზე გვასახელეს. ომში მყოფი ქვეყნის ფონზე, მათი მედლები მართლაც უდიდესი გმირობა იყო. გარდა ამისა, ჩვენმა ქალებმა საჭადრაკო ოლიმპიადა მოიგეს. რაც შეეხება ფეხბურთს... ეჰ, ჩვენმა ბიჭებმა კვლავ ვერაფრით გაგვახარეს, თორემ „ლივერპული" კი არის პრემიერლიგაში პირველ ადგილზე... კიდევ ის, რომ ესპანეთის ნაკრებმა ათასწლიანი შესვენების შემდეგ ევროპის ჩემპიონატი მოიგო... გასული წელი ჩვენს ფეხბურთში იმით დამამახსოვრდა, რომ მატჩები შაბათ-კვირასაა. ამ დღეებში უფრო თავისუფალი ვარ და ხშირად ვესწრები თამაშებს. „კოლხიდამ" რომ დაიწყო ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი ტრანსლირება, ამან კიდევ უფრო დაძაბა საქართველოს პირველობა. რა თქმა უნდა, ეს ჩემპიონატის დონის ამაღლებისთვის საკმარისი არ არის, მაგრამ რაღაც ბიძგი მაინც მიეცა...

**- კიდევ რა არის საჭირო, საქართველოს პირველობის დონე რომ ამაღლდეს?**

- კიდევ რა და... 120 ლარი. 120-120 ლარი დავურიგოთ ჩვენს კლუბებს...

**- ეს რა, „პაპიროზის" ფულია?**

- (იცინის)... „პაპიროზი" იქით იყოს და, ჩვენს ზოგიერთ გუნდში ფეხბურთელებს ეს თანხაც არ აქვთ... აი, ასეთ დღეში ჩაგვაგდო ვირთხის წელიწადმა.

**- ჩვენს ნაკრებზე რას ფიქრობ?**

- გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ და მჯერა, 2009 წელს ბევრად უფრო წარმატებით ვითამაშებთ. მოუთმენლად ველი 11 თებერვალს და როგორც გამოუსწორებელი ოპტიმისტი, დარწმუნებული ვარ, ირლანდიას სტუმრად დავამარცხებთ და ჯოვანი ტრაპატონის ერთი ღერი შავი თმა თუ დარჩა, იმასაც გავუთეთრებთ... მოკლედ, მჯერა, ირლანდიას მოვუგებთ, კიდევ სხვა მატჩებშიც ავიღებთ ქულებს... ჩვენს ჯგუფს რომ გადავხედოთ, იტალიის გარდა, თითქმის ყველა თანაბარი ძალის გუნდია. შეხედეთ ცხრილს - არ გვაქვს ჯგუფიდან გასვლის შანსი? რა თქმა უნდა, გვაქვს...

**- უფრო თეორიული, არა?**

- არა მარტო თეორიული, პრაქტიკულიც...

**- მოკლედ, გამოუსწორებული ოპტიმისტი ამტკიცებს, რომ 2009 წელს მუნდიალის საგზურს მოვიპოვებთ?**

- თუ ამას შევძლებთ, გადასარევი, საოცარი რამ იქნება, თუ არა და, ჯგუფში იმ ადგილს მაინც დავიკავებთ, ფიფას რეიტინგშიც ავიწევთ და მომდევნო წილისყრისთვის ბოლოსწინა კალათში აღარ ვიქნებით განთესილები. მთავარია, გულშემატკივრებიცა და ფეხბურთელებიც ხარებივით ვიყოთ...

**- ფეხბურთელებიდან ვინ დაგამახსოვრდა?**

- მათ შორის, არა ერთი ჩემი მეგობარია - არველაძეები, ლევან ცქიტიშვილი, გოგა ჩივაძე, დაჩი ფოფხაძე... ზაალ ელიავა სულაც ჩემი მეუღლის მამიდაშვილია... რაც შეეხება კითხვას, ყენიასა და მჭედლიძეს გამოვყოფდი... ჰო, და კიდევ ბექა გოცირიძეს. აგერ, „ლელოში" ვკითხულობ - გოცირიძე „დნიპროში" გადასულა... ისე, ეგ ბიჭი უკეთესი კლუბისთვის მემეტებოდა, მაგრამ... მაგრამ ვნახოთ, იქნებ „დნიპრო" მისთვის ტრამპლინი აღმოჩნდეს. ძალიან გამიხარდება, თუ ჩვენი ბიჭები ამ ზამთარს კარგ კლუბებში მოსაწყობად მაქსიმალურად გამოიყენებენ...

**დავით ცაბაძე**



გოჩა თანდარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ატლეტიკო

# მარადონა აგუეროს ინტერში წასვლას ურჩევს

## დიეგომ ენრიკე სერესო ძალიან გააბრაზა

**დიეგო არმანდო მარადონა** ევროპაში მოგზაურობას განაგრძობს. ის ახლა იტალიაში იმყოფება. ალბისელესტეს მთავარი მწვრთნელის ტურნეს მიზეზი არგენტინის ნაკრების ფეხბურთელებზე დაკვირვების სურვილია. ლეგენდარული ადამიანი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ქვეყნის ეროვნულ გუნდს 2010 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო რაუნდში საქმე გაუმარტივოს. მარადონა მხოლოდ მოკლევადიანი ამოცანებით არ იფარგლება და უფრო შორეულ საკითხებზეც ფიქრობს. გუშინ მან იტალიაში სახელდახელო პრესკონფერენცია გამართა და ძალიან საინტერესო რამ განაცხადა: „ევროპაში საქმიანი ვიზიტით ვიმყოფები. ვცდილობ, თვალთახედვის არეალიდან არაფერი გამომრჩეს. მოგზაურობა საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. ევროპაში ყოფნისას ბევრი დასკვნა გავაკეთე. ახლა ერთ-ერთ ასეთ დასკვნას გაგაცნობთ. ჩემი აზრით, ძალიან კარგი იქნება, თუ სერხიო აგუერო და კარლოს ტევესი თავიანთ კლუბებს მიატოვებენ და „ინტერთან" გააფორმებენ კონტრაქტს. უკვე წარმომიდგენია, ზლატან იბრაჰიმოვიჩისა და აგუეროს ფანტასტიკური ტანდემი. ისინი ერთად რომ თამაშობდნენ, უდიდეს წარმატებებს მიაღწევენ".

სერხიო აგუეროს „ატლეტიკოსთან" კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს გაფორმებული, მაგრამ მარადონა ამ ფაქტში დიდ დაბრკოლებას ვერ ხედავს: „მესმის, რომ კუნს მადრიდელებთან კონტრაქტი აქვს გაფორმებული, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. უფრო სწორად, ხელშეკრულება გადაულახავი ბარიერი არ არის. უკონტრაქტოდ, ალბათ, არც ერთი ფეხბურთელი არ თამაშობს, მაგრამ ისინი სხვა გუნდებში ხშირად გადადიან ხოლმე. მთავარია, სერხიომ სიტუაცია სწორად შეაფასოს და ჩემი რჩევა გაითვალისწინოს. თუ საქმეს მსვლელობა მიეცემა, გარწმუნებთ, ტრანსფერი მარტივად გაიჩარხება. ჩემი აზრით, სერხიო „ინტერში" უფრო სწრაფად გაიზრდება და უმოკლეს დროში მსოფლიო დონის მოთამაშედ ჩამოყალიბდება. მისი „ინტერში" გადასვლით, არა მარტო მილანური კლუბი, არამედ მთლიანად იტალიური ფეხბურთი იხეირებს. აგუერო კალჩოს სილამაზესა და ეშხს შემატებს. იმავეს ვიტყოდი კარლოს ტევესის შესახებაც. კარლიტო უნიჭიერესი და ერთ-ერთი ყველაზე შეუპოვარი ფორვარდია. ღრმად მწამს, რომ ამ ბიჭების ადგილი სწორედ „ინტერშია".

პრესკონფერენციაზე მარადონამ საზოგადოებას გაუმხილა, რომ აგუეროსთან განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს. სერხიო დიეგოსთვის რიგითი ფეხბურთელი არ არის. ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან „ატლეტიკოს" ფორვარდი მარადონას მომავალი შვილიშვილის მამაა:

„ჩემი ჯანინა და სერხიო ბავშვს ელოდებიან. ამიტომ, გასაგებია, რომ აგუეროსთან განსაკუთრებული დამოკიდებულება მაკავშირებს. მე ხომ მისი სიმამრი ვარ, მაგრამ გარწმუნებთ, ეს ჩვენს პროფესიულ ურთიერთობაზე არ აისახება. არავის ეგონოს, მარადონა მის სიძეს სასათბურე პირობებს შეუქმნისო. პირიქით, ჩემი მოსვლის შემდეგ სერხიოს ალბისელესტეში მოსახვედრად ორმაგი ძალისხმევა დასჭირდება."

მარადონას თამამ განცხადებას **ენრიკე სერესო** დაუყოვნებლივ გამოეხმაურა. „ატლეტიკოს" პრეზიდენტი აგუეროს გასხვისების იდეას ყოველთვის მტკივნეულად აღიქვამს და ამ თემასთან დაკავშირებით უკომენტაროდ არც ერთ განცხადებას არ ტოვებს:

„მარადონას ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ვალდებული ვარ, ყველას შევახსენო, რომ „ატლეტიკო" თავს ფეხბურთელების გაყიდვით არ ირჩენს. უფრო მეტიც, ჩვენ ეგრეთ წოდებული მყიდველი გუნდი ვართ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სერხიო აგუეროს გაყიდვაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. გამორიცხულია, ჩვენ კუნს არავის დავუთმობთ. კარგი იქნება, ამა თუ იმ საფეხბურთო მოღვაწემ ჩვენ მიმართ მეტი პატივისცემა გამოიჩინოს. ყველა საქმეს პასუხისმგებლობა სჭირდება. ბუნებრივია, მარადონას სრული უფლება აქვს იმისთვის, რომ სერხიოს რაიმე ურჩიოს, თუმცა უკეთესი იქნებოდა, ეს იდეა ჯერ ჩვენთვის გაეზიარებინა. აგუეროს არგენტინიდან ესპანეთში ჩამოყვანაში, მის შემდგომ ფორმირებასა და გაზრდაში ძალიან დიდი ფული დავხარჯეთ. მას უდიდეს იმედს ვუკავშირებთ და ნამდვილად არ მსიამოვნებს, როცა ამბობენ, აგუერო სხვა გუნდში უნდა გადავიდესო. ასეთ გადაწყვეტილებებს ჩვენ, „ატლეტიკოს" მმართველები ვიღებთ."

მოსალოდნელი ტრანსფერი

# კალდერონი რონალდოს საბოლოოდ შეუთანხმდაო

## 85 მილიონი ევრო და მრავალწლიანი კონტრაქტი



მაშინ, როცა **კრისტიანო რონალდო** პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულის მოპოვებით ხარობს, მისი სახელის ირგვლივ სპეკულაციების ახალი ტალღა აგორდა. იმისათვის, რომ სრული შთაბეჭდილება შეგექმნათ, „დიარიო ასის" ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სტატიას სტილის დაცვით შემოგთავაზებთ.

„რამონ კალდერონმა კრისტიანო რონალდოსა და მის მენეჯერთან, ჟორჟე მენდეშთან საბოლოო შეთანხმებას მიაღწია. მომავალ სეზონში პორტუგალიელი ვარსკვლავი „სანტიაგო ბერნაბეუზე" ითამაშებს. ჩვენს გაზეთს ინკოგნიტო ინფორმატორის დახმარებით დეტალებში გარკვევის საშუალება მიეცა. მას შემდეგ, რაც გასულ ზაფხულში „მანჩესტერის" მესვეურებისა და კალდერონის ურთიერთობა კრახით დასრულდა, სამეფო კლუბის პრეზიდენტმა ტაქტიკა შეცვალა და ფარულ მოლაპარაკებებზე გადავიდა. ჩვენთვის ცნობილია ის თანხა, რომელსაც სენიორ რამონი ინგლისურ გრანდს გადაუხდის. საუბარია 85 მილიონ ევროზე. მართალია, ალბიონელების პასუხი ჯერ არავინ იცის, მაგრამ ფეხბურთელისა და „რეალის" შეთანხმების შემდეგ თამამად შეიძლება ითქვას, რომ „მანჩესტერი" წინააღმდეგობას ველარ გასწევს. კრისტიანო რონალდოს დადებითი პასუხი ერთმა ბანალურმა გარემოებამ განაპირობა. კალდერონი მას წელიწადში 12 მილიონ ევროს გადაუხდის. გარდა ამისა, პორტუგალიელ ვარსკვლავს თითოეული მოგებული მატჩის შემდეგ დამატებით სოლიდურ პრემიალურ თანხას მისცემენ. და კიდევ, ზემოთ ხსენებული 85 მილიონი ევროდან რონალდო დაახლოებით 15 პროცენტს მიიღებს. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ კრისტიანოსთვის „მანჩესტერიდან" „რეალში" გადასვლა დიდ ფინანსურ სარგებელთან იქნება დაკავშირებული. საყოველთაოდ ცნობილია, რომ პორტუგალიელს ფული ძალიან უყვარს. ის პროფესიონალია, ტიტულების მოსაპოვებლად უკან არაფერს დაიხევს, მაგრამ სხვა მრავალი პროფესიონალისგან განსხვავებით, ფული მეორე პლანზე არასოდეს დაუყენებია. რონალდოსთვის ფინანსები და ტიტულები თანაბრად ძვირფასია."

ძნელი სათქმელია, რამდენად სარწმუნოა „დიარიო ასის" ინკოგნიტო ინფორმატორი და შესაბამისად, ამ გაზეთის მიერ გამოქვეყნებული სტატია. თუ **სერ ალექს ფერგიუსონს** დავუჯერებთ, ეს მორიგი იაფფასიანი პროვოკაციაა. აი, რა განაცხადა, „მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარულმა მწვრთნელმა:

„აქამდე ვიცოდი, რომ მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელებს ჯიბეში მხოლოდ „დიარიო მარკა" ედოთ, თუმცა, როგორც ახლა ვხვდები, „დიარიო ასიც" რამონ კალდერონის ხელიდან იკვებება. სამწუხაროა, რომ ესპანურ სპორტულ პრესას თავისუფალი და ობიექტური ჟურნალისტიკის შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. უკვე დავილალე, მაგრამ რადგან თავს არ გვანებებთ, კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ კრისტიანო რონალდოს „რეალში" გადასვლა გამორიცხულია. ჩვენი ფეხბურთელი ახლა მაინც დაასვენეთ, ბიჭმა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მოიპოვა და თუ შეიძლება, შეარგეთ."

პუბლიკაციის დასასრულს გეტყვით, რომ ფერგიუსონის განცხადება „დიარიო ასის" გვერდებზევე გამოქვეყნდა. მადრიდულმა გაზეთმა „მანჩესტერის" თავკაცის სიტყვები იუმორით მიიღო. მთავარი რედაქტორის სვეტში ვკითხულობთ, რომ „დიარიო ასს" ინფორმატორების ფართო ქსელი აქვს და მათ მიერ მიწოდებული ცნობები უმეტეს შემთხვევაში 100 პროცენტით სრულდება. რედაქტორმა ბოლოს ისიც განაცხადა, ფერგიუსონს პასუხს მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ გავცემ, რონალდოს პრეზენტაციისას კრისტიანოსთან ფოტოს გადავიღებ და სერ ალექსს გავუგზავნიო.




სკანდალი

# პრეზიდენტს თაღლითობაში ადანაშაულებენ

ამასობაში, **რამონ კალდერონს** ოპოზიციისგან სერიოზული საფრთხე დაემუქრა. მოგეხსენებათ, გასული წლის 7 დეკემბერს მადრიდში სამეფო კლუბის ასამბლეა გაიმართა, სადაც დელეგატებმა პრეზიდენტის იმპიჩმენტზე იმსჯელეს. მაშინ კალდერონმა თავი გადაირჩინა, თუმცა ერთ-ერთ გავლენიან სოსიოს **როდრიგო ველასკესს** მიაჩნია, რომ კლუბის უმაღლესმა ხელისუფალმა დელეგატთა სიები გააყალბა და დარბაზში ქუჩიდან მიყვანილი დაქირავებული ხალხი შეუშვა:

„ასამბლეაზე იმიტომ შევიკრიბეთ, რომ გუნდში არსებულ სიტუაციაზე გვემსჯელა და დასკვნები გამოგვეტანა. მე და ჩემმა თანამოაზრეებმა დავასაბუთეთ, რომ კალდერონს „რეალი" უფსკრულისკენ მიჰყავს. მან წინასწარ იცოდა, რომ ჩვენი ხმამაღალი არგუმენტები ნეიტრალურ დელეგატებზე დიდ გავლენას იქონიებდა და თანამდებობაზე მის ყოფნას საფრთხე დაემუქრებოდა. დიდი შანსი იყო, ასამბლეა პრეზიდენტის იმპიჩმენტით ან საამისოდ აუცილებელი პროცედურების ამოქმედებით დაწყებულიყო. ამ საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, კალდერონმა დელეგატების სია გააყალბა და მანდატით ის ხალხი აღჭურვა, რომლებსაც „რეალთან" შეხება არ აქვთ. დადასტურებული ინფორმაცია მაქვს, რომ პრეზიდენტმა მათ ფული გადაუხადა. დოკუმენტებს საგამოძიებო ინსტანციაში მივიტანთ და პროკურატურაში თაღლითობის მუხლით სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოვითხოვთ. დროა, სამეფო კლუბს ღირსეული ხალხი მართავდეს და არა ავანტიურისტი თავზე ხელაღებული თაღლითების ხროვა. თუნდაც, ჰუნტელაარისა და დიარას ისტორია რად ღირს. კალდერონს ნამუსი რომ ჰქონდეს, მხოლოდ ამ სამარცხვინო შეცდომის გამო გადადგებოდა... მაგრამ ღმერთმა მისთვის ნამუსი არ გაიმეტა. არა უშავს, „რეალს" ჩვენ ვუშველით. დარწმუნებული ვარ, საჭირო დოკუმენტების წარდგენისა და იმპიჩმენტისთვის საჭირო გზის გავლის შემდეგ სასურველ შედეგს მივაღწევთ. კალდერონს შანსი აქვს, კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში არ ჩაიგდოს თავი და რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები ნებაყოფლობით დანიშნოს."

სამეფო კლუბის პრეზიდენტმა ამ ბრალდებას ცილისწამება უწოდა, თუმცა ესპანეთში ცილისწამება სისხლისსამართლებრივი დევნისგან დიდი ხანია გათავისუფლებულია და კალდერონს სასამართლოში სარჩელის შესატანად მოტივაცია არ გააჩნია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გამოძიება ყველაფერს გამოააშკარავებს. შეგახსენებთ, კალდერონს ოპონენტები უშუალოდ საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებასაც აბრალებენ. საქმე უკვე რამდენიმე წელია სასამართლოშია, მაგრამ საზოგადოება მართლმსაჯულების ვერდიქტს ვერა და ვერ ელირსა.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# სიტის კაკა მოუნდა



ინგლისურ daily express-ზე დაყრდნობით, იტალიურმა გაზეთებმა მეტად საინტერესო ინფორმაცია გაავრცელეს. „მანჩესტერ სიტის" მესვეურებს მიზნად **კაკას** გადაბირება დაუსახავთ და ამისთვის, ძალ-ღონეს და ფინანსებს არ დაიშურებენ. უახლოეს დღეებში, მანჩესტერული კლუბის დელეგაცია, რომელსაც აღმასრულებელი დირექტორი **ჰარი კოკი** უთავკაცებს, მილანს გაფრინდება და მოლაპარაკებებიც დაიწყება. როგორც ჟურნალისტები ვარაუდობენ, ინგლისელები ფეხბურთელში სარეკორდო თანხის გადახდას აპირებენ, თუმცა ზუსტი ოდენობა ჯერ არ გახმაურებულა. გამოჟონილი ინფორმაციით, კაკაში ქალაქელები 150 მილიონ ევროზე მეტის გადახდას აპირებენ, ფეხბურთელს კი ყოველკვირეულ გასამრჯელოდ 220 000 გირვანქას შესთავაზებენ.

მიუხედავად ასეთი ასტრონომიული რიცხვებისა, იტალიელი ჟურნალისტები ტრანსფერის პერსპექტივას მაინც ეჭვის თვალით უყურებენ. **სილვიო ბერლუსკონი და ადრიანო გალიანი** 26 წლის მეგავარსკვლავს, წესით, არ უნდა შეელიონ. „მილანიდან" წასვლის სურვილი არც ფეხბურთელს აქვს, ასე რომ, „სიტის" მიზნის მიღწევა ძალიან გაუჭირდება.

**ლაშა ნიკლაური**

რომა

# ტოტი თვის ბოლოს

**ფრანჩესკო ტოტის** გამოჯანმრთელების პროცესი იმაზე უკეთ მიმდინარეობს, ვიდრე ამას ვარაუდობდნენ. „რომას" ლიდერი უკვე მსუბუქად ვარჯიშობს და იქითა კვირიდან, ბურთსაც გააგორებს. ექიმთა დასკვნაც ძალიან დამაიმედებელია, დიდია შანსი, ტოტიმ 25 იანვარს „ნაპოლის" წინააღმდეგ ისპაროზოს. თავად ფეხბურთელი ოპტიმისტურად არის განწყობილი და დარწმუნებულია, რომ მოედანს სულ მალე დაუბრუნდება:

*„თავს სულ უფრო და უფრო უკეთ ვგრძნობ და უკვე ვარჯიშიც დავიწყე. როგორც მითხრეს, მკურნალობის პროცესი ძალიან კარგად მიდის და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, თვის ბოლოს, მოედანსაც დავუბრუნდები. ჩემი სურვილიც ეს არის და ვცდილობ ექიმების თითოეული რჩევა გავითვალისწინო".*

ფრანჩესკოს ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფებზე და „არსენალთან" დაპირისპირებაზე დაეკითხნენ: *„თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „არსენალთან" მატჩისთვის ოპტიმალურ ფორმაში ვიქნები. ინგლისელებს ძალიან ახალგაზრდული და სწრაფი გუნდი ჰყავთ, რომელიც ყველა რგოლში თანაბრად კარგად არის დაკომპლექტებული. მთავარია, მეტოქეს ბურთი არ დავუთმოთ, სადავეები ბოლომდე გვეპყრას ხელთ და შედეგიც ისეთი გვექნება, როგორიც ჩვენ გვინდა".*

ფრანჩესკომ „მილანთან" გამართულ შეხვედრაზე შემდეგი განაცხადა: *„გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, თუმცა იყო ხარვეზებიც, რომელიც უმოკლეს დროში უნდა აღმოიფხვრას. „მილანი" დიდი გუნდია და მის წინააღმდეგ თამაში იოლი ნამდვილად არ არის. ბრავო მირკო ვუჩინიჩს, ორი დიდებული გოლი გაიტანა და გუნდს ქულა გადაურჩინა. ძალიან მომეწონა არნე რიისე, ეს მისი საუკეთესო თამაში გახლდათ მას შემდეგ, რაც „რომაში" გადმოვიდა. ნორვეგიელმა მართლაც შესანიშნავად ითამაშა. აშკარაა, რომ სწორი კურსით მივდივართ და ვპროგრესიებთ, გულშემატკივარი მალე კიდევ უფრო ძლიერ „რომას" იხილავს".*




**ლაშა ნიკლაური**

ვარსკვლავი

# ბექჰემი ორმოც წლამდე



დღე არ გავა, იტალიურ პრესაში **დევიდ ბექჰემის** შესახებ რაიმე არ დაიწეროს. გუშინ, ინგლისელის მორიგი კომენტარი გამოქვეყნდა, რომელიც მის საფეხბურთო კარიერას ეხება. დევიდმა აღნიშნა, რომ ფეხბურთის თამაშს კიდევ დიდხანს აპირებ და მაგალითს მისი ამჟამინდელი თანაგუნდელებისგან აიღებს:

*„ფეხბურთის თამაშით უდიდეს სიამოვნებას ვიღებ და ამაზე უარის თქმას კიდევ დიდხანს არ ვაპირებ. ჩემი გათვლებით, დიდი ფეხბურთი ორმოც წლამდე უნდა ვითამაშო, ასე რომ, ჯერ ჩემი ჩამოწერა ძალიან ადრეა. „მილანში" მოხვედრამ ამაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა. „რომას" წინააღმდეგ ჩვენი გუნდის დაცვის ცენტრში პაოლო მალდინიმ და ჯუზეპე ფავალიმ ისპარეზეს, პირველი 41 წლის გახლავთ, მეორე კი 37-ის. ისინი უდიდესი პროფესიონალები არიან და მათთან თამაშით ძალიან ბევრს ვისწავლი".*

**ლაშა ნიკლაური**

ჰოლანდიური ამბები

# სტეკელენბურგი მზადაა

## სასტიკი გაფრთხილება გრონინგენის მწვრთნელს

"აიაქსის" თავკაცი **მარკო ვან ბასტენი** "ტვენტეს" კაპიტნის, **რობი ვილარტის** შეძენით გახლავთ დაინტერესებული. მხარეები სატრანსფერო თანხაზე შეთანხმებას ვერ ახერხებენ. ამსტერდამელები არ აპირებენ 30 წლის მცველში ოთხ მილიონ ევროზე მეტი გადაიხადონ, - ამბობს "აიაქსის" ტექნიკური დირექტორი **დანი ბლინდი**. თავის მხრივ დათმობაზე წასვლას არც ენსხედელები გეგმავენ.

სრულიად გამოჯანმრთელდა და მინდორს დაუბრუნდა "აიაქსის" კაპიტანი **მაარტენ სტეკელენბურგი**. სტეკელენბურგმა რამდენიმე დღის წინ "შტუტგარტთან" უკვე ითამაშა. მართალია, გერმანელებმა 3:2 მოიგეს, მაგრამ მას გოლი არ გაუშვია. წარმატებამ ფეხბურთელს ფრთები შეასხა. *"ნაიმეგენთან" შეხვედრაში პირველივე წუთებიდან ვითამაშებ, ამაში დარწმუნებული ვარ. ჰუნტელაარის დროს გუნდის ვიცე-კაპიტანი გახლდით, ამასთან, ნაკრების ფეხბურთელი ვარ და როცა ჯანმრთელი ვიქნები, ძირითადში ჩემს ადგილს ეჭვქვეშ ვერავინ დააყენებს",* - აცხადებს ფეხბურთელი. თუმცა როგორც ამბობენ, ვან ბასტენს ჯერ კიდევ მოუწევს არჩევანის გაკეთება მასა და **კენეტ ვერმეერს** შორის.

**დენის რომედალს** შეიძლება "აიაქსის" ყოფილი ფეხბურთელი ვუწოდოთ. ვან ბასტენს მისი სამსახური არ სჭირდება. დანიელი ფეხბურთელი უკვე ერთი თვეა, სამსახურს ეძებს. მისით დაინტერესება "ნაიმეგენმა" გამოხატა. გუნდის მთავარი მწვრთნელი **მარიო ბინი** აპირებს, რომ ყველაფერი გააკეთოს მოთამაშის ხელში ჩასაგდებად. *"დიახ, ჩვენ გვაქვს სატრანსფეროდ გამოყოფილი სოლიდური თანხა, მაგრამ ჩემი მიზანია, რომ ფული ჭკვიანურად დავხარჯოთ. კიდევ ერთი ფეხბურთელი კი არ გვჭირდება, არამედ, გვინდა, სერიოზული შემსრულებელი, რომელსაც გუნდის გაძლიერება შეეძლება. რომედალი ასეთ ფეხბურთელად მიმაჩნია",* - განაცხადა ბინმა. თავის მხრივ, ფეხბურთელის აგენტმა **სორენ ლერბიუმ** განაცხადა, რომ მისი კლიენტისთვის ჰოლანდიაში დარჩენა პრიორიტეტული ამოცანაა, მით უფრო, რომ სწორედ "ნაიმეგენი" გახდა პირველი კლუბი, რომელმაც რომედალის მიმართ ინტერესი ოფიციალურად დაადასტურა.

"გრონინგენის" მთავარი მწვრთნელი **რონ იანსი** ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა სასტიკად გააფრთხილა. გასული წლის 28 დეკემბერს, როცა მისი გუნდი "ჰერენვენთან" 2:3 დამარცხდა, სპეციალისტს ნერვებმა უმტყუნა და მეტოქის გულშემატკივრებს, უკაცრავად არ ვიყოთ და, შუათითი უჩვენა. სადისციპლინო კომიტეტმა მისი საქციელი დაგმო, თუმცა მხოლოდ პირობითი მსჯავრი დაადო. აქამდე რონ იანსი ასეთ უმსგავსობებში შემჩნეული არ ყოფილა, შესაბამისად, სანქცია გამართლებულია. როგორც ღირსეულ პიროვნებას შეეფერება, მწვრთნელმა ჩადენილი საქციელის გამო ბოდიში მოიხადა და ვერდიქტს დაეთანხმა.

**შალვა ბიბილაშვილი**

ესპანეთი

# არაგონესი წლის საუკეთესო მწვრთნელია

## ეს მთლიანად ესპანური ფეხბურთის აღიარებაა

**ფეხბურთის** ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაცია სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებს ერთმანეთის მიყოლებით ავლენს. ამასწინათ მოგახსენეთ, რომ აღნიშნულმა ორგანიზაციამ წლის საუკეთესო მეკარედ **იკერ კასილიასი** აღიარა. გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის ვერსიით, წლის საუკეთესო მწვრთნელი **ლუის არაგონესი** გახდა. მეორე ადგილზე რუსეთის ნაკრების დამრიგებელი **გუუს ჰიდინკი** გავიდა, მესამე ადგილი **ფათიჰ თერიმს** ერგო.

ბუნებრივია, ესპანეთის ნაკრების ყოფილ მთავარ მწვრთნელს 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვება დაუფასდა. სენიორ ლუისი აღიარებით ძალიან კმაყოფილი და ბედნიერია:

*„ჩემი ასაკის კაცისთვის ასეთი დაფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასიხარულოა. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ეს ტიტული ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვების გამო მომაკუთვნეს. ვფიქრობ, წლის საუკეთესო მწვრთნელის წოდება ესპანური ფეხბურთის კიდევ ერთხელ დაფასებაა. მსოფლიო საფეხბურთო საზოგადოებას სელექსიონის ტრიუმფალური გამარჯვება არ დავიწყებია. დაფასებისთვის ყველას დიდ მადლობას მოვახსენებ. მეორე ადგილზე გასულ გუუს ჰიდინკს 107 ქულით გავასწარი. შესაძლოა, გადაჭარბებული შეფასებაა, მაგრამ გასულ წელს ჩვენ მართლა ძალიან ბევრი ვიმუშავეთ და უზომოდ ბედნიერი გახლავართ, რომ გარჯა დაგვიფასდა. ეს არა მარტო ჩემი, არამედ მთელი ესპანეთის ნაკრების აღიარებაა."*

**ილია ნიკოლაიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაზრება





# ბექჰემი და დაბროვსკი

## ცოდვაა ანჩელოტი...

ესეც ასე. როგორც იქნა (მადლობა **სილვიო ბერლუსკონის**), ითამაშა და მის პირველ თამაშს „მილანის" ფორმით, როგორც მოსალოდნელი იყო, უდიდესი გამოხმაურებაც მოჰყვა. ბოლო ორ კვირაში იტალიას **ბექჰემის** ტაიფუნმა ისე გადაუარა, რომ მისგან კალაბრიის ყველაზე მიკუნჭულ კუთხეშიც კი ვერც ერთი ადამიანი ვერ დაიძვრენდა თავს. ეს არ იყო წმინდა სპორტული თვალსაზრისით გამოწვეული ტაიფუნი, სპორტული ასპექტი მას მერე ჩაჰბარდა წარსულს, რაც ბექზმა დისნეილიგა „ემ ელ ესს" მიაშურა, ეს უფრო მოსალოდნელი „გვერდითი მოვლენა" იყო, რაც დევიდსა და ვიქტორიას ყველგან თან სდევს, სადაც ისინი გამოჩნდებიან.

პრინცესა ვიქტორიამ უკვე იყიდა ახალი ჩანთა. მანამდე პოშმა ინტერვიუზე უარი უთხრა ჟურნალისტ **ილარია დ'ამიკოს** - იმის გამო, რომ თურმე ის (ილარია) ზედმეტად სექსუალურად გამოიყურება (არადა, სინამდვილეში მაქსიმუმ 3 საათს თუ დაუთმობს კაცი). ბექჰემს ახალი ბუცები აქვს, იტალიის დროშიანი. სასტუმრო? „პრინციპე დი სავოია", საპრეზიდენტო ნომერი ინტეგრირებული პულით, ფიტნესსტუდიითა და საუნით, რაც ერთი ღამით 15 000 ევრო ღირს. ამასთან, საკმარისია დევიდმა რამე მოისურვოს, რომ თხოვნას იმწამსვე შეუსრულებენ. „პანინიმ" უკვე გამოუშვა შესაგროვებელი ფოტოები. ვიქტორია კი ამობს, რომ ძალიან მოსწონს მილანის მაღაზიები, სადაც იიიიმდენი კარგი რაღაც იყიდება...

ეს ისტერია 9 მარტამდე გაგრძელდება, მერე კი, ბექჰემების წყვილი ისევ ჰოლივუდისკენ აიღებს გეზს. თუ ყველაფერს მხოლოდ მარკეტინგული თვალით შევხედავთ, „მილანის" ბოსებმა ყველაფერი ძალიან კარგად, მეტიც, იდეალურად გათვალეს. ზოგადად, „როსონერის" ყველა იტალიურ კლუბზე უკეთესი მარკეტინგის სამსახური აქვს, რაც ბერლუსკონის დამსახურებაა.

ამ ყველაფრის მსხვერპლი კი, ისევ და ისევ, „მილანის" მთავარი მწვრთნელი **კარლო ანჩელოტია**, რომელმაც ძირითად შემადგენლობაში აუცილებლად უნდა მოუძებნოს ადგილი ფეხბურთელს, რომელიც არ სჭირდება. ანჩელოტიმ შესაძლოა იმიტომაც გაძლო „მილანის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ამდენ ხანს, რომ „კარლეტო" სხვებზე დამყოლია და ბევრს არ ახურებს, რასაც დაავალებენ, იმას გააკეთებს.

რომში შემდგარ სადებიუტო შეხვედრაში ბექზს ადგილობრივი ტიფოზები უსტვენდნენ. მატჩის შემდეგ მან ჟურნალისტებისგან საშუალო შეფასება დაიმსახურა - ისიც იმიტომ, რომ ულიმლამო პირველი ტაიმის შემდეგ, მეორე ნახევარში დაცვას ხშირად ეხმარებოდა. ისე, ამის გაკეთება „ბოხუმის" ცენტრალურ ნახევარმცველ **კრისტოფ დაბროვსკისაც** შეუძლია. შესაძლოა, დარჩენილ თერთმეტ მატჩში დევიდმა ჯარიმით გოლი გაიტანოს, მაგრამ „მილანს" ისედაც ჰყავს გენიალური „ჯარიმისტები" - **რონალდინიო** და **ანდრეა პირლო**.

სანამ დევიდი „მილანის" რიგებში პირველ თამაშს ჩაატარებდა, მისი მაისურები უკვე უდიდესი რაოდენობით იყო გაყიდული და აკი იტალიური პრესა წერდა კიდეც, ყველაფერი, რაც „მილანის" ფერებშია და ბექჰემი აწერია, ელვის სისწრაფით იყიდებაო. მაგრამ იმისათვის, რომ გაყიდვები არ შეჩერდეს, ფაქტია, რომ დევიდმა მატჩებში უნდა მიიღოს მონაწილეობა. ბერლუსკონიმ თამაშის წინ ასეთი რამ თქვა: *„მე რომ „მილანის" მთავარი მწვრთნელი ვიყო, ბექჰემს „რომასთან" ძირითად შემადგენლობაში ვათამაშებდი!"* - და ამით ყველაფერი ნათქვამი იყო. სილვიო „მილანის" მწვრთნელი კი არა, პრეზიდენტია. ბექჰემმა კი „რომასთან" სასტარტოში ითამაშა.

ანჩელოტი ასეთ გამოხდომებს წლებია, უმტკივნეულოდ იტანს. იტანს ისეთ რამესაც, როგორიცაა ბერლუსკონის მიერ 2003 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ გაკეთებული განცხადება, როცა სილვიომ ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ თქვა, მწვრთნელს მე ვუკარნახე ის შემადგენლობა, რომელმაც „მილანს" ლიგა მოაგებინაო. ესეც არ იყოს, ბერლუსკონის არაერთხელ უთქვამს, რომ „მილანმა" ყოველთვის მინიმუმ ორი თავდამსხმელით უნდა ითამაშოს. სილვიო ამბობს, რომ მას აქვს მწვრთნელის საქმეებში ჩარევის უფლება - რადგან სამწვრთნელო საქმეებში იდეალურად ვერკვევიო.

ჰო, ათწლეულების წინ ბერლუსკონი ყველაზე დაბალი კლასის მოყვარულთა გუნდს წვრთნიდა - ეს იყო მისი ფირმის გუნდი „ედილნორდი". ამ ყველაფრის ფონზე, ანჩელოტის შესაძლებლობების წინაშე ქედი უნდა მოვიხაროთ, რადგან ფაქტია, რომ სხვა მწვრთნელები ბერლუსკონის ისე ვერ უძლებდნენ, როგორც „კარლეტო" უძლებს. მაგალითად **ნილს ლიდჰოლმი** ან **ალბერტო ძაკერონი**, რომელიც სილვიომ ჭკუიდან შეშალა.

2000 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალის შემდეგ, რომელიც იტალიამ საფრანგეთთან დამატებით დროში წააგო, „სკუადრა აძურას" მთავარი მწვრთნელის **დინო ძოფის** პოსტიდან გადადგომის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ფინალის შემდეგ იტალიის პრემიერმა ბერლუსკონიმ თქვა: *„ზიდანისთვის ბოლო 20 წუთის განმავლობაში პირადი მცველი უნდა დაენიშნათ. ამას ნებისმიერი დილეტანტი მწვრთნელიც მიხვდებოდა. ჩვენს ნაკრებს კი, როგორც ჩანს, მწვრთნელი არ ჰყავდა. რას ვიზამთ, ზოგს შეუძლია ეს საქმე, ზოგს კი - არა..."*

მოკლედ, როგორც „ედილნორდის" ფეხბურთელების ყოფილ მწვრთნელს, ბერლუსკონის ასეთი განცხადებების გაკეთების უფლება აქვს. მით უმეტეს, რომ დღეს „მილანის" მისიონერია. ყველას გვახსოვს მისი 1994 წლის განცხადებაც: *„რომის პაპი გენიალური პიროვნებაა. მასაც ისეთივე მიზნები აქვს, როგორიც ჩემს „მილანს" და რაც ზოგადად ღმერთის ნებაცაა - რომ კეთილმა სძლიოს ბოროტს!"*

ამინ!

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ბაიერნი

# ლუსიო რეალზე ოცნებობს!

## ვან ბომელს პირობებს არ გაუუმჯობესებენ

„ბაიერნმა" ნელ-ნელა უნდა დაიწყოს ახალი დაცვის ბურჯის ძებნა, რადგან, როგორც გაირკვა, ბრაზილიელ **ლუსიოს** არა უგვიანეს 2010 წლისა მიუნხენური კლუბის დატოვება უნდა. *„ხუთი წელია, რაც „ბაიერნში" ვთამაშობ და ბოლო შანსს, გადავიდე სხვა გრანდში, აუცილებლად გამოვიყენებ. მიუნხენში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, რაც არაერთხელ მითქვამს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ კონტრაქტის გაგრძელების დიდი სურვილი მაქვს. იქნებ გაისად უკვე სხვა გუნდში ვიყო, არანაკლებ ძლიერ კლუბში, სადაც შესაძლოა, თავი უფრო ბედნიერად ვიგრძნო, ვიდრე „ბაიერნში"*, - განუცხადა 30 წლის ლუსიომ „მიუნხენერ თაგეს ცაითუნგს".

აღსანიშნავია, რომ ბრაზილიელი ყოველთვის ამბობდა ხოლმე, 2009 ან 2010 წელს შესაძლოა გუნდი გამოვიცვალოო და ისიც ფაქტია, რომ „ბაიერნის" წასვლის სურვილი მას ყოველთვის ზამთარში უჩნდებოდა. თუმცა თავისი პოზიცია ტრანსფერთან დაკავშირებით მას აქამდე ასე კონკრეტულად არასდროს გამოუხატავს.

*„ბაიერნში" ჯერ კიდევ პირველ თუ მეორე სეზონს ვატარებდი, როცა „მილანში" და „რეალში" მეპატიჟებოდნენ. მაგრამ მაშინ რეკორდმაისტერის ხელმძღვანელებმა არ გამიშვეს. ასეთი წინადადებით რომელიმე ზემოთ ხსენებულმა კლუბმა ახლა რომ მომმართოს, უარს არ ვიტყვი,"* - ამბობს ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი. ის მიიჩნევს, რომ მისი წასვლა „ბაიერნისთვის" მაინცდამაინც მტკივნეული არ იქნება, რადგან ლუსიოს აზრით, მიუნხენურ კლუბს უკვე ჰყავს მისი სრულფასოვანი შემცვლელი 19 წლის თანამემამულე **ბრენოს** სახით. შეგახსენებთ, რომ ლუსიო, რომელსაც „ბაიერნთან" კონტრაქტი 2010 წელს უმთავრდება, მიუნხენში 2004 წელს „ლევერკუზენიდან" 12 მილიონად გადავიდა.

მისთვის ახალი ხელშეკრულების გაფორმების სურვილით ჯერ არავის მიუმართავს, მაგრამ ბრაზილიელი ამის გამო ნამდვილად არ წუხს - ახალ კონტრაქტზე ან სადმე გადასვლაზე რომ ვიფიქრო, ფეხბურთზე ჯეროვნად კონცენტრირებული ვეღარ ვიქნებიო.

მოკლედ, ლუსიო შექმნილ ვითარებას ძალიან მსუბუქად უყურებს და არ წუხს, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით „ბაიერნის" ჰოლანდიელ ნახევარმცველ და გუნდის კაპიტან **მარკ ვან ბომელზე**. ჰოლანდიელმა უკვე აღნიშნა, რომ უკმაყოფილოა „ბაიერნის" შეფებისგან მიღებული წინადადებით - არ მომწონს ის, რომ კონტრაქტს მხოლოდ ერთი წლით მიგრძელებენ, ეს დაცინვააო. მაგრამ ვან ბომელის ამ განცხადებამ შედეგი არ გამოიღო.

*„ვან ბომელის კონტრაქტთან დაკავშირებით ახალი არაფერია და არაფრის შეცვლას არ ვაპირებთ. ჩვენ მას უკვე მივმართეთ კონკრეტული წინადადებით და ეს წინადადება ძალაში რჩება. მარკს თვის ბოლომდე აქვს ვადა, რათა გადაწყვიტოს, აგრძელებს თუ არა ჩვენთან კონტრაქტს. ახლა ყველაფერი მასზეა დამოკიდებული,"* - ამბობს ბავარიული კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე**.

როგორც ირკვევა, ვან ბომელის გამო „ბაიერნის" შეფებიც არ წუხან, რადგან ისინი თვის ბოლომდე **ანატოლი ტიმოშჩუკისგან** ელიან პასუხს, რაც, ალბათ, დადებითი იქნება...



ინვესტიცია

# რა დაჯდა ჰოფენჰაიმი?

„ჰოფენჰაიმზე" დღეს ძალიან ბევრს საუბრობენ. ლაპარაკობენ იმაზე, თუ როგორ ამოქაჩა სოფლის გუნდმა 3 წელიწადში ისე, რომ დღეს ბუნდესლიგის ლიდერია. ცხადია, ეს **დიტმარ ჰოპის** დამსახურებაა - კაცისა, რომელიც მილიარდერი მეცენატია და „ჰოფესთვის" ფული არ ენანება. მაგრამ ალბათ საინტერესოა, სულ რამდენი აქვს დახარჯული ჰოპს „ჰოფენჰაიმისთვის". ბუნდესლიგის პირველი წრის მომგები გუნდის მფლობელმა გაახმაურა ის თანხა, რაც რვა წლის განმავლობაში „ჰოფეში" დააბანდა.

ეს თანხა 175 მილიონ ევროს უდრის და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ ფულის უდიდესი ნაწილი ტოპფეხბურთელებში არ დახარჯულა. თანხის ოდენობა 68 წლის ჰოპმა „რაინ ნეკარ ცაითუნგს" გაუმხილა. ფულის უდიდესი ნაწილი დიტმარმა ინფრასტრუქტურაში დახარჯა. 90 მილიონად მან ორი სტადიონი და სავარჯიშო ცენტრები ააშენა. 40 მილიონი კი არაერთი საბავშვო ცენტრის აშენებას მოხმარდა. ანუ, ჰოპს ყველაზე მნიშვნელოვნად ბავშვთა ფეხბურთი და ინფრასტრუქტურა მიაჩნია. ახალწვეულებში კი, რომლებიც „ჰოფენჰაიმში" ბოლო ორი წლის განმავლობაში გადავიდნენ, დიტმარს მხოლოდ 25 მილიონი აქვს დახარჯული.

*„მიმდინარე სეზონში ჩვენი ფეხბურთელების ფასები ძალიან გაიზარდა, მაგრამ ჩვენ არც ერთი მათგანის გაყიდვას არ ვაპირებთ. ჩვენი მიზანი მათი შენარჩუნებაა და ამ მიზნის მიღწევაში ხელს ვერავინ და ვერაფერი შეგვიშლის,"* - აცხადებს ჰოპი.

მეორე წრეს „ჰოფენჰაიმი" 31 იანვარს, „კოტბუსთან" საშინაო მატჩით დაიწყებს და ამ თამაშს **ფრანც ბეკენბაუერიც** დაესწრება. ეს მატჩი „ჰოფეს" ახალაშენებულ, საკუთარ სტადიონზე შედგება, რომელსაც „რაინ-ნეკარ-არენა" ჰქვია. როგორც იცით, პირველ წრეში „ჰოფენჰაიმი" საშინაო თამაშებს მანჰაიმში ატარებდა.



ინტერვიუ · დეიან სტანკოვიჩი

# ანტიჩმა ჩვენი მენტალიტეტი უნდა შეცვალოს



შესაძლოა, „ინტერის“ ფეხბურთელებს შორის დეიან სტანკოვიჩი სხვების ფონზე ნაკლებად ჩანს, მაგრამ „ნერაძურის“ წარმატებაში მის უდიდეს როლზე ეჭვი არავის ეპარება. ემოციური ნახევარმცველის კარიერა ბელგრადულ გიგანტ „ცრვენა ზვეზდის“ რიგებში დაიწყო. 18 წლის სტანკოვიჩი კლუბის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა კაპიტანი გახდა. 1994-98 წლებში მან ადგილობრივი ჩემპიონატი და სამი თასი მოიგო. ამ წარმატებების შემდეგ სტანკოვიჩი სერია A-ში აღმოჩნდა. ის „ლაციოში“ ჩაირიცხა.

სერია A-ში შთამბეჭდავი თამაშის გამო სტანკოვიჩს მეტსახელიც მოუძებნეს - „ილ დრაგონე“. „ინტერში“ გადასვლის მიუხედავად, ის ყოველთვის იყო და რჩება „ლაციოს“ ტიფოზების გულებში. სკუდეტოს, იტალიის თასის, სუპერთასის (ორჯერ), ევროპის თასების მფლობელთა თასისა და უეფას სუპერთასის (1999) მოგების შემდეგ, სტანკოვიჩი „ინტერში“ მიიწვიეს. ეს ალბერტო ძაკერონის დამსახურება იყო. ისინი „ლაციოში“ ერთად მუშაობდნენ. მას შემდეგ დეიანმა სამჯერ მოიგო სკუდეტო, ორჯერ იტალიის თასი და ასევე სამჯერ -იტალიის სუპერთასი.

მიუხედავად ამისა, სტანკოვიჩის საერთაშორისო მონაგარი საკლუბო დონეზე მიღწეულ წარმატებებს ნამდვილად ვერ შეედრება. ამის ბოლო მაგალითია სერბეთის ნაკრების მარცხი. ეს გუნდი ევრო 2008-ის ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდა. 1998 წლიდან სტანკოვიჩმა ნაკრების შემადგენლობაში 76 მატჩი ჩაატარა და 13 გოლი გაიტანა, პლუს ამას, 1998 და 2006 წლებში მან მსოფლიოს ჩემპიონატებზეც იასპარეზა.

ფიფას ოფიციალური ვებგვერდის კორესპონდენტი 30 წლის ნახევარმცველს „ინტერის“ სანვრთნელ ბაზაზე, „აპიანო ჯენტილეში“ შეხვდა. სტანკოვიჩის უახლესი მიზნები „ნერაძურისთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგება და 2010 წელს სამხრეთაფრიკულ მუნდიალზე გამოსვლაა...

**- დეიან, თქვენ 18 წლის იყავით, როცა „ცრვენა ზვეზდის“ კაპიტნად დაგნიშნეს. როგორ გაუძელით ამ წნეხს და რა გამოცდილება მიიღეთ იმ პერიოდში?**

- მთავარ გუნდში 16 წლისა მიმიღეს, უკვე 6 თვის შემდეგ კი ქვეყნის ჩემპიონატშიც მქონდა დებიუტი. კლუბში უკვე ყველა მიცნობდა, ასე რომ, 18 წლის კაპიტნისთვის არაფერი შეცვლილა. პირიქით, მიხაროდა, რომ ბავშვობის ოცნება ამისრულდა. ვცდილობდი, ყველაფერში კარგად გარკვევას, პასუხისმგებლობის გრძნობამ ჩემს დაბრძენებაში დიდი როლი ითამაშა. კაპიტნობა ხელწამოსაკრავი არ არის, აქედან დაუვიწყარი გამოცდილება გრჩება.

**- როგორი იყო თქვენზე ბევრად უფროსი და გამოცდილი მოთამაშეების რეაქცია, როცა კაპიტანი 18 წლის ჭაბუკი გახდა?**

- არავის შურდა და ეს ნორმალურია, რადგან მე „ცრვენა ზვეზდაში“ ახალგაზრდული პროგრამა გავიარე. კლუბს ტრადიციად აქვს ქცეული, ადგილობრივი ახალგაზრდობიდან რომელიმეს კაპიტნად დანიშვნა. რა თქმა უნდა, გადაწყვეტილებებს ფეხბურთელებთან კონსულტაციის შემდეგ ვიღებდი, განსაკუთრებით, რჩევას უფროს კოლეგებს ვეკითხებოდი. არავის გავუკიცხავვარ ამის გამო.

**- დღეს „ინტერში“ გამოცდილ ფეხბურთელთა ჯგუფს მიეკუთვნებით. როგორ შეაფასებთ პროგრესს, რომელსაც კარიერის დასაწყისიდან დღემდე მიაღწიეთ?**

- თამაშის ხარისხის გაუმჯობესება ჩემთვის მუდმივი პროცესია, მიღწეულით არასდროს ვკმაყოფილდები. ნახეთ, შედეგი! - ბოლო 5 წლის განმავლობაში ბევრი ტიტული მოვიპოვე, მაგრამ მაინც წინსვლა მსურს. რჩება ერთი მნიშვნელოვანი ჯილდო, რომელიც „ინტერში“ ყოფნისას არ მომიგია - ეს არის ჩემპიონთა ლიგა.

**- რა ისწავლეთ „ინტერში“ მომუშავე სხვადასხვა მწვრთნელისგან?**

- ალბერტო ძაკერონისა და რობერტო მანჩინისთან ერთად ჯერ კიდევ „ლაციოში“ ვმუშაობდი. მათთან პრობლემები არასდროს მქონია, ამ ადამიანებს ყოველთვის პატივს ვცემდი და შანსს არ ვუშვებდი ხელიდან, რომ რამე მესწავლა. ამჟამად ჟოზე მოურინიოა ჩვენი მწვრთნელი და მაქვს შესაძლებლობა, ცოდნა გავიღრმავო. ის წარმატებული სპეციალისტია და თანამედროვე ფეხბურთში ბევრი სიახლე შეაქვს.

**- დიდი გამოცდილება მიიღეთ „ლაციოსთან“ ერთად რომაულ და „ინტერთან“ ერთად არაერთ მილანურ დერბიში. როგორ განასხვავებთ ამ ორ დაპირისპირებას?**

- მათი შედარება შეუძლებელია. მილანში ნამდვილი სპექტაკლი იდგმება. „სან სიროზე“ 85 000 ქომაგის თვალწინ თამაში ფანტასტიკურია. რომაულ დერბის სხვანაირი ელფერი აქვს. დედაქალაქში, თამაშამდე 10 დღით ადრე იგრძნობა დაძაბულობა.

**- მოდი, სერბეთის ნაკრებზე ვისაუბროთ. რას იტყვით ხელიდან გაშვებულ შანსზე? თქვენი მშობლიური ნაკრები ხომ ევრო 2008-ზე ვერ მოხვდა...**

- ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ. კარგი სტარტი გვქონდა, პირველი 4 მატჩი ნორმალურად ვითამაშეთ. შემდეგ ტრავმებმა შეგვაწუხა და ძალებისგან დავიცალეთ. ბოლოს კი ყაზახეთთან და ბელგიასთან დავმარცხდით, რასაც ნამდვილად არ ველოდით. მეტად საჭირო ქულები დავკარგეთ, ხოლო სომხეთთან ნულოვანმა ფრემ იმედი საბოლოოდ გადაგვიწურა.

**- შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ ევროპაში ეროვნულ გუნდებს შორის განსხვავება გაქრა?**

- სუსტი გუნდები გაუმჯობესების გზას დაადგნენ და ჰანდიკაპი სულ უფრო მცირდება. ფინანსური რესურსები დიდ როლს თამაშობს. პატარა ერებიც კი ცდილობენ უცხოელი მწვრთნელის მიწვევას, რომელთაც ტაქტიკაში ცვლილებები შეაქვთ. ამის ნათელი მაგალითია ფარერების ნაკრები. რამდენიმე წლის წინ, ერთ მატჩში ის ხუთ გოლს უშვებდა, მაგრამ ახლა საქმე სხვაგვარადაა - ჩვენ მათ მხოლოდ 2:0 მოვუგეთ. დღესდღეობით ყველას შესაძლებლობა უნდა გავითვალისწინოთ.

**- რა შეიცვალა ამ ბოლო დროს სერბეთის ნაკრებში?**

- უპირველეს ყოვლისა, მწვრთნელი! რადომირ ანტიჩი მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო ტურნირის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მიიწვიეს. სერბეთში მას დიდ პატივს სცემენ, მისი გამოცდილება გუნდს აშკარად გამოადგება, განსაკუთრებით, ახალგაზრდა ფეხბურთელებს. როგორც კი ანტიჩი დაინიშნა, შესარჩევი კარგად დავიწყეთ - 3 მატჩი მოვიგეთ, მაგრამ სამწუხაროდ, ერთ შეხვედრაში დავმარცხდით. თუმცა საფრანგეთთან წაგება არ არის დიდი ტრაგედია. მთავარია, ნაკრები წინ მიდის.

**- რა სჭირდება სერბეთს იმისთვის, რომ მაღალ დონეზე ითამაშოს?**

- ფსიქოლოგიური მდგრადობა. ხშირად კარგად ვიწყებთ, მაგრამ სწრაფად ვკარგავთ სადავეებს. თუ ანტიჩი შეცვლის ამ მენტალიტეტს და დაგვეხმარება ტემპის შენარჩუნებაში, იმედია, ყველაფერი კარგად იქნება. მაგალითად, პატარა ქვეყნების გუნდებთან ქულები არ უნდა დავკარგოთ, რადგან ეს დამღუპველი იქნება.

**- როგორ წარმოგიდგენიათ საკვალიფიკაციო ტურნირის მიმდინარეობა?**

- ჯერ ოთხი მატჩი ვითამაშეთ და ყურადღება არ უნდა მოვადუნოთ. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისგან განსხვავებით, სადაც 8 გუნდის თამაში ჩემპიონთა ლიგაში თამაშს ჰგავს, სამხრეთ აფრიკის საგზურისთვის ბრძოლაში ჩვენს ჯგუფში 6 ეროვნული გუნდია. ჩვენ უნდა ვეცადოთ და ყველა საშინაო მატჩი მოვიგოთ. უნდა დავამარცხოთ აგრეთვე რუმინეთი და საფრანგეთი, ორი ყველაზე სახიფათო მეტოქე.

**- საფრანგეთი ახსენეთ და, საინტერესოა, „ინტერში“ თქვენს თანაგუნდელ პატრიკ ვიეირას, ნაკრებში თამაშის დროს, მოედანზე პირისპირ შეხვედრიხართ?**

- ჯერ ასეთი შანსი არ გვქონია. გასვლით მატჩში, ტრავმის გამო, მხოლოდ 50 წამი ვითამაშე. მაგრამ ახლა მზად ვარ ბელგრადში მის სამასპინძლოდ!

**დავით ჩუბინიძე**

კომპეტენტური აზრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოურინიომ, მანჩესტერი საუკეთესოაო

ჩემპიონთა ლიგის განახლებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, თუმცა პრესა სულ უფრო და უფრო აქტიურად წერს მომავალ ბატალიებზე. ბუნებრივია, ყველაზე დიდ ინტერესს იტალიურ-ინგლისური კლუბების დაპირისპირება იწვევს. ინგლისური ტელევიზიის, MUTV-ის ჟურნალისტი მილანში **ჟოზე მოურინიოს** ესტუმრა და „მანჩესტერთან“ პაექრობაზე ჩამოუგდო სიტყვა. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „ინტერი“ სწორედ **ალექს ფერგიუსონის** გუნდს შეეჭიდება. პორტუგალიელმა კიდევ ერთხელ გამოხატა პატივისცემა მეტოქისადმი და განაცხადა, რომ „მანჩესტერს“ მსოფლიოს უძლიერეს გუნდად მიიჩნევს. თუმცა უმჯობესია, თავად ჟოზეს მოვუსმინოთ:

*„როდესაც გავიგე, რომ ლიგაში „მანჩესტერთან“ მოგვიწევდა შეტოქება, ძალიან გამიხარდა. ჩემი აზრით, ეს გუნდი დღეს საუკეთესოა მსოფლიოში. შეიძლება ვინმემ გიჟად ჩამთვალოს. მაგრამ სწორედ უძლიერეს კლუბთან მსურდა დაპირისპირება. „იუნაიტედი“ ძალიან სწრაფ და თანამედროვე ფეხბურთს თამაშობს, ერთნაირად ეფექტურად უტევს ცენტრიდან და ფლანგებიდან. ამასთან, ძალიან დაბალანსებული გუნდია, თანაბრად მძლავრია დაცვაში, ნახევარდაცვასა და თავდასხმაში. კიდევ ერთხელ მინდა გამოვხატო ჩემი დიდი პატივისცემა „მანჩესტერისა“ და მისი მწვრთნელის, ალექს ფერგიუსონისადმი“.*

ჟოზე წარსულში გადაიჭრა და ხუთი წლის წინანდელი ამბები გაიხსენა: *„გუშინდელ დღესავით მახსოვს „პორტო“-“მანჩესტერის“ თამაშები. მაშინ ჩვენ ვიძალეთ და შემდეგ ეტაპზე გავედით. ამ წარმატებამ დიდი კმაყოფილება მომგვარა, რადგან ჩვენ სწორედ მანჩესტერული ბარიერი გადავლახეთ. ასეთ მეტოქესთან გამარჯვება ყოველთვის განსაკუთრებულად ფასობს. მახსოვს მაშინდელი „იუნაიტედი“, ეს იყო დიდებული გუნდი, რომელშიც უმაღლესი კლასის ფეხბურთელები თამაშობდნენ. სწორედ მაშინ ვირწმუნე, რომ ჩემპიონთა ლიგის მოგება ხელგვეწიფებოდა. „ოლდ ტრაფორდული“ პაექრობის შემდეგ ჩემი შეგირდები მეცხრე ცაზე იყვნენ, ასეთი სიხარული იშვიათად მინახავს და ეს დღე მეც მუდამ მემახსოვრება“.*

შემდეგ, მოურინიო ისევ „ინტერი“-“მანჩესტერის“ მომავალ პაექრობას მიუბრუნდა და შანსებზე ისაუბრა:

*„შანსებს თანაბრად ვაფასებ, რადგან პლეი ოფში პროგნოზების გაკეთება სრული სისულელეა. ხუთი წლის წინ, ჩემი „პორტო“ აუტსაიდერი იყო, მაგრამ ინგლისური ბარიერი მაინც გადავლახეთ. „ინტერი“ ბრძენი გუნდია, ჩვენთან ისეთი ფეხბურთელები თამაშობენ, რომელთაც ნებისმიერი ბარიერის გადალახვა შეუძლიათ. ისინი კარგად აკონტროლებენ თამაშის ტემპს, რიტმს და კარგად იციან, როდის რა მოიმოქმედონ. წინ გველის ორი უდიდესი ჯახი, რომლის სცენარის განჭვრეტა აბსოლუტურად წარმოუდგენელია“.*

**ლაშა წიკლაური**



გამოვიდა ახალი ნომერი

ჩელსი

# ლურჯი ჩრდილები სტემფორდ ბრიჯზე

## მანჩინი უკვე ზღურბლზე დგას

"ჩელსიმ" ბოლო ექვსი შეხვედრიდან ერთადერთი მოიგო და ამით, ბუნებრივია, საკუთარი ამბიციები ეჭვქვეშ დააყენა. სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის დაწყებამდე **ლუიშ ფელიპე სკოლარის** კრებული გულშემატკივარს დიდი იმედებით ვერ ალავსებს. დიახ, ლაპარაკობენ, ყველაფერი ჯერ კიდევ წინააო, მაგრამ ლაპარაკი ერთია და საქმე - მეორე. "არისტოკრატებმა", მგონი, მართლა დაკარგეს ძველებური, ჩემპიონური სული და მის ნაცვლად ახალი არაფერი უპოვიათ. დროდადრო "ჩელსის" ფეხბურთელები მართლა ლურჯ აჩრდილებს ჰგვანან. სადღაც კი ფარდის უკან **ჟოზე მოურინიოს** აჩრდილი დაძრწის. ფანებს უკვე მოენატრათ "განსაკუთრებული კაცი", მაგრამ ხმამაღლა ამაზე ჯერ არავინ ლაპარაკობს. თავად პორტუგალიელი ახლა მილანში ცხოვრობს, მაგრამ მისი მოჩვენება გულშემატკივართა გონებას უკვე აშფოთებს. კვირას, "ოლდ ტრეფორდზე" "ჩელსის" ყოფილი მწვრთნელი ტრიბუნებზე გამოჩნდა და ყველას რაღაცა გაახსენა... რაც უნდა ვილაპარაკოთ, სეუ ჟოზეს არ ეშლება, როდის და სად უნდა გამოჩნდეს. ოფიციალურად მწვრთნელის ვიზიტის მიზანი ჩემპიონთა ლიგაში "ინტერის" მეტოქის თამაშის ნახვა იყო, მაგრამ მოურინიოს შემთხვევაში მუდამ ასე ხდება. ის ყოველთვის რაღაცას ამთხვევს. ფეხბურთის გულშემატკივართათვის ქვეტექსტი გასაგები იყო. პორტუგალიელი მოვიდა, ნახა დამცირებული "ჩელსი" და... წავიდა. ბოლოს პორტუგალიელმა არანაკლებ მოხერხებულად დაამთხვია, როცა **ავრაამ გრანტის** გადაყენებიდან რამდენიმე დღეში ინგლისურ პრესას განუცხადა, სეზონი ტიტულის გარეშე "ჩელსის" სტილი არ არისო. მისმა სიტყვებმა დიდი რეზონანსი გამოიწვია და "ლურჯების" ფანებმა დაიჯერეს, რომ შეიძლებოდა ის დაბრუნებულიყო. გულუბრყვილობა ზოგადად კარგი თვისებაა, მაგრამ ხანდახან გულის ტკივილის მეტი არაფერი მოაქვს. ფანებსაც სჯეროდათ ხმები... სკოლარის დანიშვნის დღემდე. ამჟამინდელი ვიზიტი კი **რომან აბრამოვიჩის** გულის გასახეთქად ბოლო წლებში "ჩელსის" ყველაზე უსახურ თამაშს დაემთხვა. *"მოურინიოს ხელში ასეთი დამცირება არ გვინახავს"*, - აუცილებლად გაიფიქრებდნენ ლონდონელთა ფანები.

ის, რომ სკოლარის "ჩელსი" სულ უფრო ნაკლებად ჰგავს მოურინიოს გუნდს, თავისთავად განაჩენი სულაც არ არის. უბედურება ისაა, რაც ზემოთაც აღვნიშნეთ: გუნდმა ძველი კოზირები ისე დაკარგა, რომ ახალი არაფერი უპოვია. ლაპარაკი გვაქვს, როგორც წმინდა სათამაშო, ისე ნებისმიერ სხვა კომპონენტზე. მართლა ასეა. აბა, გაიხსენეთ, განა მოურინიოს "ჩელსი" თამაშში ორ გოლს სტანდარტული მდგომარეობიდან გაუშვებდა? თუნდაც, ვინ გაიხსენებს მის დაბნეულ, შეშინებულ და დანებებულ გუნდს, მაგრამ ეს დრო უკვე წარსულია, ახლა კი სჯობს, ყველამ დაივიწყოს. განაჩენი უკვე გამოტანილია. ალბათ, ყველა თქვენგანს ახსოვს, თუ როგორ წარიმართა შეხვედრა: "მანჩესტერის" პირველ გოლამდე თითქმის თანაბარი თამაში მიდიოდა, მეორემდე - თანაბარი, მაგრამ ბოლო ნახევარ საათში "ჩელსი" მინდორზე აღარ გამოჩენილა. არა, 11-ვე ლონდონელი მინდორზე იდგა, მაგრამ ისინი მხოლოდ ხელს უშლიდნენ "მანჩესტერს" ფეხბურთის თამაშში, თავად კი ცდითაც კი არ უცდიათ მოვლენები თავისდა სასარგებლოდ შეეცვალათ. რაც მთავარია, მათ ამისი არც კი რცხვენოდათ. ლონდონელებმა მეტოქეს გამარჯვება 63-ე წუთზე მიულოცეს და არა საფინალო სასტვენის შემდეგ. იმის მტკიცება, რომ "არისტოკრატთა" მთავარი პრობლემა ფსიქოლოგიაშია, ალბათ, ზედმეტი იქნება, მაგრამ არც იმის დაჯერება იქნება ლოგიკური, რომ ჩელსელებს სერიოზული პრობლემები აქვთ ამ მხრივ. ალბათ, გახსოვთ თამაშის მიწურულს **რონალდოსა** და **ტერის** შეჯახების ეპიზოდი, სადაც სტუმართა კაპიტანს სახეზე ემოცია არ ეტყობოდა. ის თამაშის დასრულებას უცდიდა და მეტი არაფერი. როცა გუნდის თავი მინდორზე ასეთი განწყობით თამაშობს, ძნელია, სხვებმა შეხვედრის გადარჩენაზე იფიქრონ. სკოლარის მთავარი შეცდომა აშკარაა: გუნდი ერთი კონკრეტული მიზნის გარშემო გაერთიანებული არ არის. მიზანი აშკარად გააჩნდა მოურინიოს გუნდს, ჰქონდა გრანტის დროინდელ კრებულსაც, მაგრამ ახლა ამის მსგავსი არაფერი შეინიშნება. ეს ფაქტი (იქნებ ფაქტი სულაც არ არის და მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტური განცდაა) ეჭვის ქვეშ აყენებს არა მხოლოდ "ჩელსის" ამბიციებს, არამედ თავად სკოლარის მომავალსაც ლონდონურ გრანდში.

გარკვეული სათამაშო კომპონენტების დახვეწა, როგორც იტყვიან, ტექნიკის საკითხია, გლობალურად კი "ლურჯებმა" უკვე ხვალ უნდა შეძლონ ერთ ორგანიზმად გარდაქმნა და რაღაც ახლის მოფიქრება. წარსულის ლანდები ყველამ უნდა დაივიწყოს. იმისთვის, რომ გუნდში თავისი იდეოლოგია დაენერგა, სკოლარის ექვსი თვე, წესით, უნდა ჰყოფნოდა. თუკი უახლოეს მომავალში მისი არსებობა არ დადასტურდა, ეჭვია, რომ გუნდი კიდევ უფრო ჩაეფლობა ტალახში და მერე თავის გამოჩენა უფრო გართულდება. საქმე ისაა, რომ აბრამოვიჩი ბრაზილიელს გუნდის ჩაძირვას უკვე აღარ დააცდის და თანამდებობიდან დაითხოვს. ამაში ეჭვი არავის ეპარება. გუნდის თავკაცმა დღემდე ვერავის დაუმტკიცა, რომ მას შეუძლია გუნდი ტაქტიკურად მრავალფეროვანი გახადოს. მან დღემდე ვერ მოიფიქრა, როგორ უნდა ათამაშოს შედეგიანად **დროგბასა და ანელკას** დუეტი. მისი გუნდი თითქმის ვერასოდეს ახერხებს უშუალოდ მატჩის მიმდინარეობისას ტაქტიკის გადაწყობას. საფეხბურთო ექსპერტის **დევიდ პლიტის** თქმით, სერ **ალექს ფერგიუსონის** შეგირდებს სწორედ სკოლარის მიერ განხორციელებულმა ტაქტიკურმა ცვლილებამ (4-5-1-დან ლონდონელები 4-4-2-ზე გადაეწყვნენ) მისცა მოედნის ცენტრში უფრო შთამბეჭდავი უპირატესობის მოპოვების საშუალება, რომელთაც საჩუქარზე უარი არ უთქვამთ. **უეინ რუნის** შეტევისთვის მეტი ფიქრის საშუალება მიეცა, რადგან ნახევარდაცვაში ჩასვლის ვალდებულებისგან გათავისუფლდა. ამან კი "ჩელსის" საჯარიმოსთან კიდევ უფრო მეტი ცეცხლი და მხურვალება გამოიწვია. კი მაგრამ, რა მისცა ამან ლონდონელებს? არც არაფერი, რადგან ანელკასა და დროგბას წყვილი ძალზე შეუთამაშებლად გამოიყურებოდა. ყველაფერი როგორი ლოგიკურია, არა? ჰო, მაგრამ ჰქონდა კი სხვა გამოსავალი სკოლარის? მგონი არა. ვინ ქმნის შეტევის ძირითად ძალას "არისტოკრატთა" ბანაკში? **ბალაკი, ლემპარდი**, დროგბა, ანელკა, **ჯო კოული, დეკუ** - მათგან უმეტესობა ცენტრშია თავმოყრილი. მათი სათამაშო კლასი ვიცით და კამათს არ ვაპირებთ, მაგრამ განა შეიძლება მათზე ითქვას, რომ მობილური ფეხბურთელები არიან? ერთი ერთზე თამაშისას ყველა მათგანი ძალიან სუსტია. მათ არ შეუძლიათ ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე თამაშის ბედის გადაწყვეტა, არც მოულოდნელი აფეთქებები სჩვევიათ. როცა საერთო გუნდური ტაქტიკა არ ამართლებს, როცა გუნდი სათანადო ტემპში ვერ თამაშობს, საჭირო ეფექტის მისაღებად ინდივიდუალური ოსტატობა საუკეთესო გამოსავალია. ასეთ დროს კი "ჩელსი" დაბნეული ჩანს ხოლმე. მათი დაბნეულობა განსაკუთრებით თვალში საცემია ისეთ გუნდებთან შეხვედრებში, რომლებიც მთელი თამაშის განმავლობაში დაცვაზე უფრო მეტს ფიქრობენ, ვიდრე შეტევაზე ("ნიუკასლი", "ვესტ ჰემი", "საუთენდი"). იმავე სურათს ვხედავთ, როცა მეტოქე თავს ჭკვიანურად იცავს ("ლივერპული", "მანჩესტერ იუნაიტედი"). რამდენიმე წლის წინ "არისტოკრატები" ნებისმიერ მსგავს პრობლემას პასუხს ფლანგიდან სცემდნენ. **არიენ რობენისა** და **დემიენ დაფის** დროც, მოურინიოსი არ იყოს, წარსულს ჩაჰბარდა. დღეს სკოლარის განკარგულებაში ასეთი დონის მოთამაშეები ფლანგზე უბრალოდ არ არიან. თავად იფიქრეთ, აბა, **ეშლი კოული** და **ჟოზე ბოსინგვა**, პირველ რიგში, მაინც მცველები არიან, **შონ რაიტ-ფილიპსი** "მანჩესტერ სიტიში" დაბრუნდა, **ფლორან მალუდა** ვერ ათამაშდა ისეთ დონეზე, მისგან რომ ელოდნენ. ჯო კოული კი კლასიკური ფლანგის ფეხბურთელი არც არასოდეს ყოფილა. თანაც ბრაზილიელი დამრიგებელი შეგირდს ბოლომდე არ ენდობა და სათამაშოდ შეზღუდულ დროს აძლევს.

გვინდა, ხაზი გავუსვათ ჩვენი აზრით კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას. ესაა სათადარიგოთა საკითხი. მოურინიოს დროს სკამზე ხანდახან ისეთი მოთამაშეები ვერ ხვდებოდნენ, რომელთა სატრანსფერო ღირებულება 10 მილიონ გირვანქას აღწევდა. რა ხდება დღეს? დააკვირდით, შეტევაში რამდენი ვარიანტის გამოყენება შეუძლია **რაფა ბენიტესსა** და რამდენის - სერ ალექს ფერგიუსონს. შედარება "ჩელსის" სასარგებლოდ ნამდვილად ვერ იქნება. ამიტომაც ნურავის უკვირს, რომ სკოლარი თითქმის ვერასოდეს ახერხებს თამაშის გაძლიერებას შეცვლებით. გასაკვირია, მაგრამ სწორედ ამ დროს სკოლარი ამტკიცებს, რომ მას ახალი ფეხბურთელები არ სჭირდება. არადა, სწორედ ბრაზილიელი ცდილობდა გასულ ზაფხულს "რეალიდან" **რობინიოს** შეძენას. სწორედ ასეთი ტიპის ფეხბურთელი აკლია ყველაზე მეტად ლონდონურ გრანდს. თუკი სკოლარი კატეგორიულ უარს იტყვის ახალწვეულებზე, ამით უკანდასახევ გზას საკუთარი ხელით მოიჭრის.

"ოლდ ტრეფორდზე" წაგებამ "ჩელსიში" ახალი წესრიგი დაამყარა: დრო ექსპერიმენტებისა და შეცდომებისთვის საერთოდ აღარ დარჩა. ახლა მართლა გადამწყვეტი თამაშების ხანა დგება. ჯერ კიდევ მაშინ, როცა სკოლარი ლონდონში სამუშაოდ მიდიოდა, იცოდა, რომ გრანდებში თავისი წესები აქვთ. დიდ დროს გუნდის შენებისთვის არავინ იძლევა. საბოლოო პროდუქტს იმაზე მალე ითხოვენ, ვიდრე ეს საშუალო კლუბებში ხდება. საქმე ის კი არ არის, რომ გრანდებში ნევროზული ბოსები მუშაობენ, არა, აქ ყოველი დღე მილიონები ღირს და საფეხბურთო ექსპერიმენტებში კი დიდ ფულს არავინ იხდის. სწორედ ზემოთ ხსენებულმა დევიდ პლიტმა დაწერა, "ჩელსი" "მიდლსბრო" არ არის, სადაც შეიძლება კიდევ ერთი საუკუნე უცადონ, როდის გამოიღებს შედეგს **გარეთ საუტგეითის** ექსპერიმენტიო. ჭეშმარიტების მომენტი "კობემის" ბაზაზე ალბათ სეზონის ბოლოს დადგება. წიწილების დათვლის დრო ფეხბურთში ყოველთვის გაზაფხულის ბოლოს მოდის. არჩევანი ძალზე მარტივია: ან გადაწყდება გუნდში არსებული სერიოზული პრობლემები და, ბოლოს და ბოლოს, სკოლარი წარსულის ლანდებს მოიშორებს, ან თავად გახდება გუნდის ისტორიის ერთ-ერთი ფურცელი.

**P.S.** იტალიური სპორტული პრესა ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად წერს, რომ **რობერტო მანჩინი** ინტენსიურად სწავლობს ინგლისურს. ეტყობა, აპენინელის "არისტოკრატებში" მისვლა სავსებით რეალურია. საინტერესოა, როდემდე ეყოფა ნერვები რომან არკადიჩს?



რობერტო მანჩინი

მანჩესტერ იუნაიტედი



# გარი ნევილი იუნაიტედის მწვრთნელი?

## დარჩება თუ არა კიდევ ერთი წლით რაიან გიგზი

**სერ ალექს ფერგიუსონმა** გუნდის კაპიტან **გარი ნევილს** ახალი სამსახური შესთავაზა. გარის შეუძლია, კარიერის დასრულების შემდეგ "მანჩესტერ იუნაიტედის" სამწვრთნელო შტაბში ადგილი დაიკავოს. *"ცოტა ხნის წინ შესანიშნავი იდეა დამებადა. შევთავაზო "მანჩესტერის" ლეგენდებს სამსახური გუნდურ სტრუქტურებშივე. სასიხარულოა, რომ რაიან გიგზი და გარი ნევილი თავად არიან მონდომებულნი, რათა აქტიური კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელის კარიერას შეუდგნენ"*, - განუცხადა სააგენტო AP-ის "ალისფერი ეშმაკების" შოტლანდიელმა თავკაცმა.

იქამდე კი, ვიდრე **რაიან გიგზი** კარიერის დასრულებაზე დაფიქრდებოდეს, "იუნაიტედის" ხელმძღვანელობა მზადაა, 35 წლის სუპერვარსკვლავს ახალი კონტრაქტი გაუფორმოს, იუწყება "დეილი მირორი". შეგახსენებთ, რომ გიგზი "იუნაიტედის" ყველა დროის რეკორდსმენია კლუბის შემადგენლობაში ჩატარებული მატჩების რაოდენობით.

ბუნებრივია, როდესაც რაიან გიგზის კალიბრის ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი უსრულდება, მისი მომავალი ავტომატურად ხდება პრესის განსჯის ერთ-ერთი მთავარი საგანი. კონკრეტულ კომენტარს თავად ფეხბურთელი ჯერ არ აკეთებს, მაგრამ მინიშნებას კი იძლევა. ამჟამად მას არჩევანის გაკეთება მართებს: 1. გააგრძელოს კონტრაქტი "მანჩესტერ იუნაიტედთან" კიდევ ერთი წლით; 2. თავისი ბედი ერთი წლით დაუკავშიროს "კარდიფ სიტის"; 3. კარიერა დაასრულოს.

*"კარდიფ სიტის" თამაშებს მუდმივად თვალს ვადევნებ, რადგან ის ჩემი მშობლიური ქალაქის კლუბია. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ ისინი პრემიერლიგაში ალზევდნენ. ხშირად დაუსვამთ შეკითხვა, ვითამაშებდი თუ არა ოდესმე ამ კლუბში. ხსენებულ შეკითხვაზე პასუხი არასოდეს მქონია და არც ახლა მაქვს. კონტრაქტი ივნისში მისრულდება და ამის შემდეგ ვნახოთ..."* - განუცხადა "ინდეპენდენტს" უელსელმა.

წუხელ ბრიტანული წყაროებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" მარცხენა მცველმა **პატრის ევრამ** ტერფი დაიშავა და დაახლოებით სამი კვირის განმავლობაში ველარ ითამაშებს. მან დაზიანება "ჩელსისთან" თამაშის დროს მაშინ მიიღო, როცა **უეინ რუნის** საგოლე გადაცემა მიაწოდა. რამდენიმე წუთში მის ნაცვლად თამაშში **ჯონ ოში** ჩაერთო. ფრანგი "ვიგანთან", "ბოლტონთან" და "ვესტ ბრომვიჩთან" პრემიერლიგის შეხვედრების გარდა, "დერბი ქაუნთისთან" ლიგის თასის განმეორებით ნახევარფინალურ შეხვედრასაც გამოტოვებს. უბედობაც ამას ჰქვია, შეგახსენებთ, რომ ევრასთვის "ჩელსისთან" შეხვედრა პირველი იყო ხუთთამაშიანი დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

# მიშელ პლატინი

# ცხოვრება, როგორც მატჩი




(გაგრძელება)

უკვე ათი წლის ასაკში, საფრანგეთის ნაკრების მომავალი კაპიტანი და მთავარი სტრატეგი, რომელიც 1982 და 1986 წლებში კინაღამ ორჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, ფეხბურთის მოთამაშე მოკლეშარვლიანი და გაჩეჩილთმებიანი ბიჭების კომპანიაში ბელადი იყო.

ჩვენი „გასახდელისთვის" **ბრაგარების** სახლი ავირჩიე, რადგან მამაჩემი, მიუხედავად იმისა, რომ დიდი სიამოვნებით აკვირდებოდა ჩემს მონდომებულ ვარჯიშს, აშკარად შეეწინააღმდეგებოდა საოჯახო ტაძარში ჩვენი გუნდის შეჭრას. ბრაგარები კი შესანიშნავი, სტუმართმოყვარე ხალხი იყვნენ. ჩვენ იოლად ვძვრებოდით ფანჯრიდან სამზარეულოში, სადაც ჩვენთვის გამზადებული იყო ბოთლით წყალი, იოდის ფლაკონი და პაკეტი დაზიანებულთათვის პირველადი დახმარების აღმოსაჩენად...

იმის გამო, რომ ჩვენს კომპანიაში ყველაზე ნიჭიერი მე ვიყავი, ჩვეულებრივ, ჩემ გარშემო სუსტებს ვიკრებდი, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლიდა მატჩების მოგებაში.

მთელი წელი ვთამაშობდით. თუ წვიმა მოდიოდა, მის გადაღებას ბრაგარების სახლის დერეფანში ველოდით.

ერთხელ, ქალბატონი და ბატონი **პროტუების** გალიზიანების დასაოკებლად, მამაჩემი **ფილიპის** მამასთან ერთად შემოგვიერთდა მორიგი ფანტასმაგორიული მსოფლიოს ჩემპიონატის გასათამაშებლად. მამა განწირულობისგან ჭკუიდან იშლებოდა: ყოველი შეტევისას, მის ფეხებსშუა ბურთის გატარებას ვცდილობდი. და სხვათა შორის, საკმაოდ ხშირად გამომდიოდა ეს ტექნიკური ილეთი, რითაც ძალიან კმაყოფილები რჩებოდნენ ჩვენი თავგადაკლული ფანები - **რობერ პროტუა და დელფო საბატინი**.

მე რაც შემეხება, ყოველგვარი მოკრძალების გარეშე ვიტყვი: იმ დროს მე პელე ვიყავი, „ფეხბურთის მეფე" და ხშირად ხელს ასე ვაწერდი: „მიშელ პელეატინი".

და აი, ერთ მშვენიერ დღეს მამაჩემმა, რომელიც ახალგაზრდული სპორტული ასოციაციის პრეზიდენტი გახდა, ბოლო მოუღო ჩვენს ასფალტზე თამაშს. შეიძლება ის მეზობლების ფანჯრების მუშებისა და საკუთარი გარაჟის კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა, ყოველ შემთხვევაში, სწორედ მან მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ დრო მოვიდა მე ნამდვილი საფეხბურთო ბუცებით ნამდვილ საფეხბურთო მინდორზე მეთამაშა. ამის წყალობით, 11 წლის ასაკში პირველი კონტრაქტი გავაფორმე კლუბთან, რომელშიც ბუნებრივია, ხელმძღვანელის როლი მამაჩემს ეკავა.

ჩემდა სამარცხვინოდ უნდა ვაღიარო, რომ 1966-67 წლების სეზონში, მოსწავლის რანგში ჩემი დებიუტი დიდად შთამბეჭდავი ვერ გამოვიდა. ამის მთავარ მიზეზად ჩემს სიმაღლესა და არადამაკმაყოფილებელ ფიზიკურ კონდიციებს ვასახელებდი. ყოველდღიურად უნდა გამოვხმაურებოდი დამამცირებელ მეტსახელს - „ლილიპუტი". მუდმივი შრომის, არნახული ძალისხმევის, ერთი და იმავე მოძრაობის ათასჯერ გამეორების წყალობით, ნელ-ნელა, თანდათანობით შევძელი საფეხბურთო ტექნიკის საწყისების დაუფლება. მანიაკივით საათობით ვვარჯიშობდი, ვცდილობდი სრულყოფამდე მიმეყვანა დრიბლინგი, პასები, დარტყმები, თავით თამაში.

მაგრამ ჩემი სიმაღლე მოსვენებას არ მაძლევდა. ყოველდღე ვეხვეწებოდი დედას სამზარეულოს კედელზე გაეზომა სიმაღლე. გაბრაზებულს, არ შემეძლო პატარა ტყუილზე არ წავსულიყავი და ამიტომაც ფეხის წვერებზე ვდგებოდი. მაგრამ რამდენადაც დიდი არ უნდა ყოფილიყო ჩემი სურვილი, სანტიმეტრები ისე სწრაფად არ მემატებოდა, როგორც ეს მსურდა. ვოცნებობდი ისეთივე მაღალი გავმხდარიყავი, როგორებიც დედის მხრიდან ჩემი ბიძები იყვნენ. ოთხი გიგანტი, რომელთაგანაც ერთი ფეხბურთელი იყო, სამი - კალათბურთელი.

საოცარ აქსელერაციას აღარ ველოდი და ბოლოს და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ ამ ნაკლის კომპენსირება მაღალი ტექნიკური ოსტატობითა და მოედანზე გამჭრიახობით უნდა მომეხდინა.



მადლობას ვუხდი ღმერთს იმისთვის, რომ იდეალური მშობლები მარგუნა, რომლებსაც ჩემი კარგად ესმოდათ. მამაჩემი ფეხბურთის მწვრთნელი იყო, დედა კი გათხოვებამდე წარმატებით თამაშობდა კალათბურთს. დედამ გაოცებითა და აღფრთოვანებით პირველმა შეამჩნია, როგორ მოხერხებულად ვაგორებდი ფეხით ფორთოხალს ან ძაფის გორგალს. მას დღესაც უყვარს იმის მოყოლა, რომ მე ასეთ ადრეულ ასაკში სამზარეულოს კედელზე ფეხბურთის კარს ვხატავდი და იქ ჭადრაკის ფიგურების გატანას ვცდილობდი.

მშობლებმა გამძლეობა გამოიჩინეს და მხარი აუბეს ბიჭს, რომელიც ცხოვრებაში ყველაზე მეტად თავისი სიმაღლის გამო იტანჯებოდა. მოგვიანებით, ეს ბიჭი ყველაზე დიადი ფეხბურთელების გვერდით დადგება.

1969 წლის მაისში, მას შემდეგ, რაც კოლომბში წარმატებით გავიარე ახალგაზრდა ფეხბურთელთა რეგიონალური შესარჩევი კონკურსი, ასე სამარცხვინოდ ჩავაგდე ჩემი დებიუტი. ექვგარეშეა, ეს ქარის გამო მოხდა. არ მახასიათებს ჩემთვის გასამართლებელი საბუთის მონახვა, პირველი ვაღიარებ ჩემს სისუსტეებს და მზად ვარ საკუთარ თავს დავცინო კიდეც. მაგრამ იმ დღეს ქარი ჩემი მთავარი მოწინააღმდეგე იყო. მის გამო საკუთარი თავის კონტროლი დავკარგე და ბურთის კარგად დარტყმას ვერ ვახერხებდი. დიდი ვერაფერი ნუგეში იყო, მაგრამ მე მაინც მივიღე პატარა გემით სენაზე გასეირნების, ეიფელის კოშკის დათვალიერებისა და საფრანგეთის თასის ფინალზე დასწრების უფლება, რომელშიც ერთმანეთს „ოლიმპიკ დე მარსელი" და „ბორდო" ხვდებოდნენ.

მაგრამ მე უკვე წაგებული მქონდა ჩემი პირველი მატჩი.

## არჩევანის დრო

1966 წლის 1 სექტემბერს კლუბ „ჟიოფში" ჩავირიცხე. ეს დღე ჩემს მეხსიერებაში დარჩება, როგორც ყველაზე ბედნიერი ცხოვრებაში. მაგრამ ჩემი ფიზიკური კონდიციები ძალიან დიდი ნერვიულობის საბაბს მაძლევდა. თუმცა დროთა განმავლობაში საკმაოდ მაღალ ტექნიკურ დონეს მივაღწიე და იმის მიუხედავად, რომ 14 წლისა ძალიან დაბალი ვიყავი, 20 წლისამ ტანი 179 სანტიმეტრამდე ავიყარე, წონა კი 72 კილოგრამი გახდა.

ჩვენ იშვიათად ვაქცევთ ყურადღებას იმ გავლენას, რომელსაც ფიზიკური ფორმა მოთამაშის ფსიქოლოგიაზე ახდენს, მით უმეტეს, როცა მას გუნდში სტრატეგად მოიაზრებენ. და ეს დამამცირებელი მეტსახელი სულ უფრო მთრგუნავდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ სიტყვას უკვე დიდი ხანია აღარ ჰქონდა არსებობის უფლება... იმის მიუხედავადაც კი, რომ მოგვიანებით, „იუვენტუსში" თამაშისას მითი ჩემი „სისუსტის" შესახებ ცნობილი იტალიური „კატენაჩოს" „მებეტონეებთან" ბრძოლებსა და შეჯახებებში დავამსხვრიე, კარიერის ბოლომდე თან მდევდა დამამცირებელი მეტსახელი - „ლილიპუტი". ეს მეტსახელი ეკუთვნის ფეხბურთელს, რომელსაც რომელიმე ექიმის აზრით, არ შეუძლია დიდი ფეხბურთის დატვირთვებს გაუძლოს. ეს მაწუხებდა, როგორც შეუხორცებელი ჭრილობა.

რამდენჯერ მიწევდა ერთი და იმავეს მოსმენა: „პლატინი ტექნიკით ახერხებს თავისი ფიზიკური ნაკლის კომპენსირებას..." მე, რა თქმა უნდა, ვიცი, რომ მაქვს ფიზიკური ნაკლი. ჯერ კიდევ 1972 წელს, საფრანგეთის ჩემპიონატში „ნანსი-ლოტარინგიას" შემადგენლობაში თამაშისას მივხვდი, რომ სხვა ფეხბურთელებთან შედარებით, ძალიან სუსტი კოჭები მქონდა. თუ ზუსტი პასის ან გამიზნული დარტყმის შესრულებას ვახერხებდი, ეს პირველ რიგში ბარძაყების წყალობით ხდებოდა. 1978 წლის აგვისტოში, „სენტ ეტიენში" თამაშის დროს, ჩემი მყესები უფრო მეტად ელასტიური რომ ყოფილიყო, არასოდეს მივიღებდი წვივის სამმაგ მოტეხილობას და უბრალო დაჭიმვასთან გვექნებოდა საქმე... ჩემი საფეხბურთო კარიერის დასაწყისში, როცა ჯერ არ შემეძლო ზუსტი ანალიზის გაკეთება, ვგრძნობდი, რომ მომავალში ჩემი ფიზიკური მდგომარეობა ბევრს უბედურებას მომიტანდა.

ტელევიზორში ვხედავდი ტრიუმფს, რომელსაც ამსტერდამში ჩემპიონთა თასზე **იოჰან კრუიფის** „აიაქსმა" მოიპოვა. იქამდე ერთი წლით ადრე, 1971 წლის მაისში ჰოლანდიელებმა 2:0 დაამარცხეს ათენის „პანათინაიკოსი". მაშინ კრუიფმა, **ნეესკენსმა, რენსენბრინკმა, მიურენმა** თანაგუნდელებთან ერთად თავისი ადგილი მიუჩინეს მილანის „ინტერს", რომლის ცნობილი „კატენაჩო" მომაკვდინებელი დარტყმებისგან იშლებოდა. იტალიელმა მეკარემ ორი გოლი გაუშვა. მაგრამ მე ყველაზე მეტად მომწონდა კრუიფის დახვეწილი ნახტომები, რომლის წყალობითაც იცილებდა იტალიელი მცველების ფეხებს, რომლებიც მზად იყვნენ მუხლი მოეგლიჯათ ჰოლანდიელისთვის. ფიზიკურად რამდენად სუსტი იყო ეს დიადი კრუიფი! თავის თანაგუნდელებზე გაცილებით პატარა გაბარიტებისა, ის „ადვილად გასატეხი" ფეხბურთელის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის ზედიზედ მესამედ მოეპოვებინა ევროპის ჩემპიონთა თასი, როცა მისმა გუნდმა „იუვენტუსი" 1:0 დაამარცხა. ბოლოს კი 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰოლანდიის ნაკრებმა, რომელშიც, ბუნებრივია კრუიფი ადამიანი-ორკესტრი იყო, მინიმალური ანგარიშით წააგო მასპინძელ გფრ-ის ნაკრებთან. მაგრამ იშვიათად ნახავ, როცა გუნდი თავისი კაპიტნის მეთაურობით, დიდი ტურნირის განმავლობაში როგორ გაკვეთილს უტარებს სხვა გუნდებს. და ეს იმ გამაოგნებელი თამაშის შემდეგ, რომელიც ოთხი წლით ადრე ჯადოქარმა პელემ და მისმა თანაგუნდელებმა მექსიკაში აჩვენეს.

იქნებ სწორედ კრუიფის მაგალითმა მიჩვენა, რომ ყურადღება არ უნდა მიმექცია მოთამაშის გარეგნული იერისთვის. ჰოლანდიელი ხომ ფიზიკური თვალსაზრისით ვერ ბრწყინავდა, მაგრამ საოცარი ფეხბურთელი იყო.

(გაგრძელება იქნება)

გია თვალაბეიშვილი



## ქართული სპორტი

მშვილდოსნობა

# გეოგრაფია იზრდება, მასობრიობა მატულობს

ეს იყო ორი წლის წინათ ლაიფციგში: მშვილდოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის წინ იტალიელი ნატალია ვალიევა (იგი წარმოშობით მოლდოველია) საქართველოს ნაკრების წევრებთან მივიდა და გაკვირვებულმა ჰკითხა, სად ვარჯიშობდით და პეკინის ოლიმპიადის ორი საგზური როგორ მოიპოვეთო. ჩვენებურთა წარმატება გაუკვირდა სპორტსმენ ქალს, რომელმაც ლაიფციგის ჩემპიონატის გადამწყვეტი ორთაბრძოლა კორეელ სონგ ჰიუ პარკს მოუგო და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მეექვსედ ავიდა.



თენგიზ ტერუნაშვილი ავტორის ფოტო

- იმ შეჯიბრებისთვის, მართლაც, საფუძვლიანად მოვემზადეთ, - მითხრა საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა **თენგიზ ტერუნაშვილმა**. - ჯერ იყო და, აზიის თასის გათამაშებაზე ისპაჰანში გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს ჩვენმა ქალებმა, პირად პირველობაში კი ხათუნა ნარიმანიძე და ქრისტინე ესებუა, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილებზე გავიდნენ. მსოფლიოს ჩემპიონატის წინ გერმანიის ქალაქ დიობელნიში ორკვირიანი საწვრთნელი შეკრება გავიარეთ, რამაც აკლიმატიზაცია გაგვიადვილა. მსოფლიოს ჩემპიონატზე შესანიშნავად იასპარეზა ნარიმანიძემ, რომელმაც საბოლოოდ მეხუთე ადგილი დაიკავა, ხოლო ესებუა ოცდამეათე გახლდათ. ორივეს პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია ერგო. ახლოს ვიყავით გუნდურ წარმატებასთანაც: პოლონელებთან პაექრობისას ოთხი სერიის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო - 198:198. მხოლოდ დამატებითი სროლებისას დავთმეთ შეხვედრა 2 ქულით - 23:25. არადა, პოლონელები სულაც არ ჩანდნენ უძლეველნი, მით უმეტეს, რომ ჩვენმა ქალებმა მათ 2004 წლის ზამთრის ჩემპიონატზე აჯობეს.

საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს ქალთა ნაკრებმა 2007 წელს პეკინის ახალ ოლიმპიურ სასროლეთზეც იასპარეზა, სადაც მხოლოდ ამერიკელებთან დამარცხდა ქულით და მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა.

გვეგონა, რომ პეკინის თამაშებზე სრული შემადგენლობით გავემგზავრებოდით, რადგან ასმათ დიასამიძის იმედიც გვქონდა, მაგრამ 2008 წლის სალიცენზიო ევროპის ჩემპიონატზე მან ვერ შეძლო საპრიზო სამეულში მოხვედრა. სამაგიეროდ, სანტო-დომინგოში მსოფლიოს თასზე გუნდური (ნარიმანიძე, ესებუა, დიასამიძე) მესამე ადგილი გვერგო. ხათუნა ნარიმანიძემ საფრანგეთში ევროპის გრანპრი მოიგო, თეირანში კი აზიის თასის გათამაშებაზე მესამე ადგილი დაიკავა. თითოეული ეს შეჯიბრება, ცხადია, პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებას ემსახურებოდა. საბედნიეროდ, ხათუნამ ჩინეთის დედაქალაქშიც გვასახელა - მეცხრე ადგილი დაიკავა და ევროპელთაგან საუკეთესო შედეგი აჩვენა. ექვსგზის მსოფლიოს ჩემპიონი ვალიევა მხოლოდ მეცხრამეტე იყო. ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდა, ნარიმანიძე საკუთარ მიღწევას გააუმჯობესებდა - მექსიკელ მარიამ ავიტიასთან მხოლოდ ქულით (108:109) დამარცხდა. დღეისთვის ქართველი ჩუბინი მსოფლიო რეიტინგში მეცამეტეა.

**- შევიტყვე, რომ ორი თვის წინათ ნარიმანიძე ავტოავარიაში მოყოლილა. თავს როგორ გრძნობს?**

- იმ უბედური შემთხვევისას ლავიწის ძვალი დაიზიანა და ქირურგიული ჩარევა გახდა საჭირო. ახლა უკეთ არის - რეაბილიტაციის პირველი ეტაპი გაიარა, უკვე საერთო-ფიზიკურ მომზადებას გადის, 20 იანვრიდან 3 თებერვლამდე ბაკურიანში საწვრთნელი შეკრება გვაქვს დაგეგმილი. იქაც მიიღებს მონაწილეობას. მერე თანდათან მშვილდისარსაც გაუშინაურდება.

**- წლეულს რომელ შეჯიბრებებში იასპარეზებთ?**

- ყველაფერი დაფინანსებაზეა დამოკიდებული. ჩვენი ვარაუდით, ბიუჯეტი იმდენივე გვექნება, რაც შარშან იყო, ანუ დაახლოებით 150 ათასი ლარი. ეს თანხა მხოლოდ იმისთვის გვეყოფა, რომ ქალთა ნაკრები მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე გავუშვათ. ვაჟთა ნაკრები და ახალგაზრდები რომ არ დაგვეჩაგრონ, სპონსორები უნდა მოვიძიოთ დამატებითი სახსრების მოსაზიდად. ორიენტირად აქედანვე 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადას ვისახავთ.

პირველი შეჯიბრება, რომელშიც ჩვენები წლეულს გამოვლენ, საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი იქნება 6-8 თებერვალს, თბილისში. მარტის დასაწყისში პოლონეთი ზამთრის მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. სამწუხაროდ, უსახსრობის გამო ამ შეჯიბრებას გამოვტოვებთ. წლევანდელი საერთაშორისო ტურნირებიდან მნიშვნელოვანი ამოსამიზნია მსოფლიოს ჩემპიონატი კორეაში (1-10 სექტემბერი), უნივერსიადა ბელგრადში (1-7 ივლისი), ასევე, მსოფლიოს თასისა და ევროპის გრანპრის ეტაპები სანტო-დომინგოში, სოფიასა და ანტალიაში. იმედია, ყველგან მოვსინჯავთ ძალებს.

**- ინვენტარის უქონლობას ხომ არ უჩივით?**

- ბოლო ორი წლის განმავლობაში, ამ მხრივ, საგრძნობლად გამოსწორდა მდგომარეობა. მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო „ქართუ ფონდი", რომელმაც 2007 წელს სპორტული ინვენტარის 40 კომპლექტი შეგვიძინა, ამან ჩვენი სახეობის განვითარებას და მასობრიობას მისცა ბიძგი. ამჟამად მშვილდოსნობაში 160-მდე ქალ-ვაჟი მეცადინეობს. უწინ სექციები მხოლოდ თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში თუ ფუნქციონირებდა, ახლა გეოგრაფია გაიზარდა - ახალი კერა ასპინძაში გაიხსნა, სადაც ლიზა შემაზანაშვილის ხელმძღვანელობით 12-მდე გოგონა და ვაჟი ვარჯიშობს. შარშან ასპინძელებმა საქართველოს ზამთრის ჩემპიონატში იასპარეზეს. იმედია, შეჯიბრებაზე მათ წლეულსაც ვიხილავთ.

ძალიან გაგვახარა თბილისის მერიისა და მისი სპორტის სამსახურის ინიციატივამ - ჩვენს ორ მწვრთნელს ხელფასები დაუნიშნონ. ეს სტიმული იქნება სხვებისთვისაც, რომლებიც დღემდე მხოლოდ ენთუზიაზმზე მუშაობენ.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანადგომას გვპირდებიან - საერთაშორისო შეჯიბრებებში ახალგაზრდები უფრო აქტიურად უნდა ჩავრთოთ. ეს აუცილებელია, რომ ჩვენმა გოგონებმა და ვაჟებმა გამოცდილება შეიძინონ და ოსტატობა აიმაღლონ. ყველაფერს ვილონებთ, რათა ლონდონის 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე სრული გუნდებით წარვსდგეთ.

**ვაჟა დანელია**

## ჯიმშერ ენუქიძის ხსოვნას



ის ჩემი მასწავლებელი იყო გასული საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა „ლელოს" რედაქციის კარი პირველად შევაღე ელბაქიძის აღმართზე. მერე ერთად მოვიარეთ საბჭოთა კავშირისა თუ უცხოეთის არაერთი ქვეყანა, როგორც „ლელოს" ჟურნალისტებმა. საქართველოს ქალაქებზე, რაიონებსა და სოფლებზე აღარაფერს ვამბობ. სოფელი იმიტომაც ვახსენე, რომ მაშინ, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და სოფლის განყოფილებას ხელმძღვანელობდა გაზეთში. ჯიმშერ ენუქიძე მხოლოდ ჟურნალისტი და ჟურნალისტთა თაობების აღმზრდელი როდი იყო. შეგირდთან ურთიერთობისას ყველაფერს განიხილავდა ადამიანური ღირსებების პრიზმაში. პატიოსანი, ყველას მომფერებელი, დახვეწილი ინტელიგენტი მისაბაძი იყო თავისი თაობისთვისაც კი.

ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, რაც საქართველოში ხელბურთს სერიოზულად მოჰკიდეს ხელი ენთუზიასტებმა და სულ მალე მოიპოვეს ქართველებმა საყოველთაო აღიარება. ამ საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა ჯიმი ენუქიძემ, რომელიც კალმით ამოუდგა მხარში ენთუზიასტებს. საგაზეთო სტატიები რაღა მოსატანია, როცა რამდენიმე წიგნი მიუძღვნა ქართველ ხელბურთელთა წარმატებებს.

„ლელოსთან" ურთიერთობა არასდროს გაუწყვეტია. ხშირად გვაკითხავდა. რაც ერედვში გადასახლდა - იშვიათად. ყველას ეპატიჟებოდა სოფელში. ერთხელ ვეწვიე კიდეც. თავად ვნახე ის, რასაც ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი - უკვე სოლიდურ ასაკში შესულს, საკუთარი ხელით ბრწყინვალედ მოეწყო მეურნეობა.

მერე ტრაგედია დატრიალდა, ჯერ შვილიშვილი - სანდრო გირგვლიანი გახდა ძალადობის მსხვერპლი, შემდეგ შვილი - სანდროს დედა - ქალბატონი ირინე გარდაიცვალა, დაეღუპა მეუღლეც. გატყდა ამდენი უბედურების მომსწრე. აღარად ულირდა ტანჯული სიცოცხლე და თავადაც შეუერთდა ზეციურ საქართველოს. ახლა უკვე იმ ქვეყნადაა ოჯახის წევრებთან და, ასევე, ტკივილით მარადისობაში გაცილებულ მეგობრებთან ერთად...

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ვეტერანი სპორტული ჟურნალისტის
**ჯიმშერ ენუქიძის**
გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებული ოჯახს

რაგბი — ასაკობრივი ნაკრებები

# ახალი სეზონი, ახალი მწვრთნელები

საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელებმა ახლახან ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელები დანიშნა. ვაკანტური ორი, 19-წლამდელთა და 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელის ადგილი იყო.

ცხრამეტწლამდელთა თავკაცად საქართველოს 2008 წლის თასის მფლობელისა და ვიცე-ჩემპიონის „ლელოს" მთავარი მწვრთნელი **ლევან მაისაშვილი** დაინიშნა. რაგბის კავშირმა მას ასისტენტის თავად არჩევის უფლება მისცა. 19-წლამდელები წლეულს „ევროპა ტროფიზე" ითამაშებენ.

ასევე ევროპულ გუნდებთან მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა 21-წლამდელ მორაგბეებსაც. მათ „ყოჩების" მთავარი მწვრთნელი **ნიკო ჭავჭავაძე** უხელმძღვანელებს. დამხმარე მწვრთნელს ჭავჭავაძე ასევე თვითონ დაასახელებს უახლოეს დღეებში.

შეგახსენებთ, რომ მანამდე 18-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელებად, ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცები **დავით ჩავლეიშვილი** და **პაატა ნარიმანაშვილი** დაინიშნენ. 17-წლამდელებს კი, „უნივერსიტეტის" მათვარი მწვრთნელი **ბადრი ბოხუა** დამოძღვრავს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი

# ვერც ოქსანა

ფლორიდის შტატის ქალაქ ბოკა რატონში ორი ჩვენებური ცდილობდა საჩოგბურთო ტურნირის ძირითად ბადეში გაღწევას – ვაჟებში **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (1220), ქალებში **ოქსანა კალაშნიკოვა** (394). სამწუხაროდ, ორივეს გარჯა წყალში ჩაეყარა, ნიკა მეორე საკვალიფიკაციო წრეში დამარცხდა, ოქსანა – ფინალურში. ქალთა ტურნირის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. 18 წლის კალაშნიკოვას ორჯერ გამარჯვების შემდეგ ძირითად ბადეში გასასვლელად ერთი მოგებაღა აშორებდა. მე-8 ნომრად განთესილმა ჩვენებურმა ფინალურ წრეში ორ სეტში დათმო მე-9 ნომრად განთესილ ბრაზილიელ **ტელიანა პერეირასთან** (395) – 2:6, 5:7.

შტუტგარტში ვაჟ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი $) ველარ ვიხილეთ **ლადო ჩიხლაძე** (1115), რომელსაც ძირითად ბადეში უნდა ეთამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ძიუდო

# ბიბილაშვილმა კიევი დაიპყრო

10-11 იანვარს, სპორტკომპლექსს „ოლიმპიისკიში" (კიევი, უკრაინა) ძიუდოს საერთაშორისო ტურნირი გაიმართა კადეტთა შორის. ტურნირს „ოლიმპიური იმედები" ერქვა. მონაწილეობდნენ 1993-95 წლებში დაბადებული ძიუდოისტები. ბრწყინვალედ იასპარეზა **ელგუჯა ბიბილაშვილმა** (90 კგ), რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა. ფინალში მან მოლდოველი **ნიკოლაი გრიგორიცა** დაამარცხა ვაზარით. მანამდე უკრაინელებს, **ალექსანდრ მულიარსა** და **გლებ ბუხარინს** მოუგო. ამ წონით კატეგორიაში კიდევ ერთი ჩვენებური მონაწილეობდა, **გიორგი კიბორძალიძე**, რომელმაც პირველ წრეში მომავალ ფინალისტ გრიგორიცასთან წააგო და რეპეშაჟშიც ვერაფერი გააწყო.

მძიმე წონაში (90 კგ+) მე-7 ადგილს დასჯერდა **როსტომ ხახალეიშვილი**, რომელმაც უკრაინელი **პალიახის** დამარცხების შემდეგ ლიტველ **ავგუსტინას სენიუსკასთან** დათმო შეხვედრა. შემდეგ ხახალეიშვილმა რეპეშაჟში გადაინაცვლა, სადაც უკრაინელი **ვოროტკოვი** დაამარცხა, მაგრამ მის თანამემამულე **რომან გონჩარუკთან** ვერას გახდა. 81 კგ წონით კატეგორიაში **გიორგი ჯიბლაძე** პირველ წრეში დამარცხდა უკრაინის სახელით მოასპარეზე **დავით სულაქველიძესთან**. უკრაინის დედაქალაქში სულ ოთხი ქართველი კადეტი ასპარეზობდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუმო

# ტოჩინოშინის პირველი მარცხი



იანვრის ბაშოზე ქართველ სუმოისტებს უიღბლო დღე ჰქონდათ – **კოკაი (ლევან ცაგურია)** ზედიზედ მეორედ დამარცხდა, ხოლო **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** ამ ტურნირზე პირველად. კოკაის მეტოქე მე-5 მაეგაშირა **ტაკამისაკარი** იყო, იაპონელთა საყვარელი რიკიში 0-2 ბალანსით ავიდა დოჰიოზე ტრადიციულ მეტოქესთან საბრძოლველად. სამწუხაროდ, ქართველმა ზედიზედ მეოთხე ორთაბრძოლა დათმო ტაკამისაკარისთან. იაპონელმა თავისკენ მიიზიდა ჩვენებური და ძირს დასცა. ლევანს 1-2 ბალანსი აქვს. როგორც ჩანს, მისი მთავარი საზრუნავი ამ ბაშოზე დადებითი ბალანსის დაბევება იქნება. დღეს კოკაი მე-4 მაეგაშირა **ვაკანოსატოს** ხვდება. ვაკანოსატო 32 წლის ყოფილი სეკივაკეა, შარშან კოკაის და მას შორის ურთიერთშეხვედრებში 1:1 დაფიქსირდა.

ლევან გორგაძემ ვერ შეძლო მე-10 მაეგაშირა **ტოკიტენკუს** მავაშის დაჭერა დროულად და მონღოლისგან ჰიკიოტოშის ილეთი იგემა. ტოჩინოშინს 2-1 ბალანსი აქვს. დღეს მისი მეტოქე 32 წლის ივაკიამაა, რომელიც 179 კილოს იწონის. ყოფილ კომუსუბის ქართველმა შარშან 3 ორთაბრძოლიდან 2 მოუგო.

ბაშოს 8 რიკიში ლიდერობს დაუმარცხებლად, აქედან უმრავლესობა ტიტულოვანია. ლიდერთა შორის 2 იოკოძუნა, 3 ოძეკი და სეკივაკეა. ახლა უიღბლოზეც ვთქვათ - მას შემდეგ, რაც მონღოლი **ამა** ოძეკი (ჩემპიონი) გახდა, მას ბრძოლა არ მოუგია, ამას ახალი საბრძოლო სახელი (შიკონა) **ჰარუმაფუჯი** ჰქვია.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში მოჭიდავე **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)** გუშინ ისვენებდა. მას 1-0 ბალანსი აქვს. დღეს გაგამარუ მე-14 მაკუშიტას, **ნაკანოს** შეხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჰაცუ ბაშო (იანვრის სუპერტურნირი).
11-25 იანვარი. ტოკიო (იაპონია)

III დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი (მ 4)-ტაკამისაკარი (მ 5) 0:1 (ჰიკიოტოში); ტოჩინოშინი (მ 11)-ტოკიტენკუ (მ 10) 0:1 (ჰიკიოტოში); ჰაკუჰო (ი)-მიაბიამა (მ 2) 1:0; ასაშორიუ (ი)-კიოკუტენჰო (მ 1) 1:0; კოტოოშუ (ო)-იოშიკაძე (მ 2) 1:0; კაიო (ო)-კოტოშოგიკუ (მ 1) 1:0; ტოიონოშიმა (კ)-ჰარუმაფუჯი (ო) 1:0; კოტომიცუკი (ო)-გოეიდო (მ 3) 1:0; ჩიოტაიკაი (ო)-ამინიშიკი (ს) 1:0; ბარუტო (ს)-კისენოსატო (კ) 1:0; ტაკეკაძე (მ 3)-ვაკანოსატო (მ 4) 1:0; ფუტენო (მ 5)-ბუშუიამა (მ 6) 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 3-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა); ასაშორიუ (იოკოძუნა); კოტოოშუ (ოძეკი); კაიო (ოძეკი); ჩიოტაიკაი (ოძეკი); ბარუტო (სეკივაკე); ტოჩინონადა (მაეგაშირა 10); ტოჩიოძანი (მ 12)... 2-1: ტოჩინოშინი (მ 11)... 1-2: კოკაი (მ 4).

IV დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი (მ 4)-ვაკანოსატო (მ 4); ტოჩინოშინი (მ 11)-ივაკიამა (მ 11); ასაშორიუ (ი)-მიაბიამა (მ 2); ჰაკუჰო (ი)-კოტოშოგიკუ (მ 1); კაიო (ო)-ბარუტო (ს); ჰარუმაფუჯი (ო)-კისენოსატო (კ); კოტომიცუკი (ო)-კიოკუტენჰო (მ 1); ჩიოტაიკაი (ო)-იოშიკაძე (მ 2); კოტოოშუ (ო)-ტაკეკაძე (მ 3); ამინიშიკი (ს)-ტოიონოშიმა (კ); გოეიდო (მ 3)-ბუშუიამა (მ 6); ტაკამისაკარი (მ 5)-ჰოკუტორიკი (მ 7).

ქართველი იტალიაში

# მეტრეველი ახალგაზრდული ევროლიგის საუკეთესო ცენტრია



## დებიუტის მოლოდინში

გასულ შაბათს, იტალიის ჩემპიონატში ერთპიროვნული ლიდერი "მონტეპასკი" უდინეს ესტუმრა და "სნაიდერო" 92:61 დაამარცხა. ეს შეხვედრა ჩვენი გაზეთის ქართული სპორტის გვერდზე ნამდვილად არ მოხვდებოდა, რომ არა ერთი გარემოება – სიენას "მონტეპასკის" განაცხადში ქართული გვარი ამოვიკითხეთ. მწვრთნელმა, **სიმონე პიანიჯანიმ** შემადგენლობაში შეიყვანა 1991 წელს დაბადებული **ნიკა მეტრეველი**. 211 სმ სიმაღლის ქართველ ცენტრს სიენელთა შემადგენლობაში აქამდეც უთამაშია, თუმცა ეს მხოლოდ ამხანაგურ მატჩებში ხდებოდა. ოფიციალურ შეხვედრებში მეტრეველის მონტეპასკური დებიუტი ჯერ არ შემდგარა. უდინეს "სნაიდეროსთან" ნიკა ერთადერთი სიენელი იყო, რომელსაც მატჩში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა მის განაცხადში შეყვანას "ტუტობასკეტში" ცალკე სტატია მიეძღვნა. ამ პუბლიკაციის თარგმანს აქვე გთავაზობთ:

*"სეზონის დასაწყისიდან ნიკა მეტრეველი სიენას "მონტეპასკის" პირველ გუნდთან ერთად ვარჯიშობს, მაგრამ იტალიის ჩემპიონატში ერთხელაც არ მოხვედრილა განაცხადში. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ქართველს ლეგიონერებზე დაწესებული ლიმიტის გამო სერია A-ში რეგისტრაცია არ ჰქონდა. ეს საკითხი ახლახან გადაწყდა კალათბურთელის სასარგებლოდ და "უდინეში" იგი "მონტეპასკის" სათადარიგოთა სკამზეც ვიხილეთ. ამ ამბავს თავად კალათბურთელი გამოეხმაურა:*

*„იტალიის სერია A-ში გამოჩენას მოუთმენლად ველი. აქამდე რიმინის "კრაბსის" ახალგაზრდულ გუნდში ვთამაშობდი, სიენაში გადმოსვლის შემდეგაც ახალგაზრდულ პირველობაზე მინევდა ასპარეზობა. ახლა, სერია A-ში ძალის მოსინჯვის შანსიც გამიჩნდა. ეს ძალიან მახარებს."*

*გასულ, 2007-08 წლების სეზონში ნიკა მეტრეველმა 19-წლამდელ "მონტეპასკელებთან" ერთად იტალიის ახალგაზრდული ჩემპიონატის მოგებით გაიხარა, ხოლო დიდ გუნდს ტრიბუნებიდან ქომაგობდა – თამაშის უფლება არ ჰქონდა. მწვრთნელიც ამბობს, რომ ქართველი მეფარე "მონტეპასკის" კარგად მოერგო და მზადაა უმაღლეს დონეზე სათამაშოდ.*

*„გუნდთან ერთად თავიდანვე მონდომებით ვვარჯიშობდი და ჩემს შანსს ველოდი. ბედნიერი ვარ, რომ პირველ გუნდთან თამაშის საშუალება მომეცემა. ეს ჩემი ოცნებაა," – ღიმილით ამბობს ნიკა მეტრეველი."*

ასე და ამგვარად, მეტრეველის სერია A-ში გამოჩენას ისევე უნდა ველოდეთ, როგორც ევროლიგაზე. მკითხველს შევახსენებთ, რომ ევროლიგაზე ქართველი ცენტრი "მონტეპასკის" განაცხადში არაერთხელ გამოჩნდა (მათ შორის "ბარსელონასთან", "პანათინაიკოსთან"...), თუმცა თამაშში ერთხელაც არ ჩართულა.

სიენელები ევროლიგაზე ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩს 14 იანვარს გამართავენ. მათი მეტოქე "ნანსი" იქნება. სწორედ ამ ფრანგულ კლუბთან ჰქონდა დებიუტი "პანათინაიკოსელ" **გიორგი შერმადინს**. სხვათა შორის, "პანათინაიკოსსაც" და "მონტეპასკისაც" მომდევნო ეტაპზე გასვლა განაღდებული აქვთ.

რაც შეეხება სერია A-ს, იქ ნიკა მეტრეველის თანაგუნდელები უდანაკარგოდ მიდიან. მათ 14 მატჩიდან ყველა მოგებული აქვთ.

## აღიარება ევროლიგელ ახალგაზრდებში

ევროლიგის შეფები ტურნირს დღითიდღე ამრავალფეროვნებენ. ჯერ ახალგაზრდული ევროლიგის შეჯიბრება დააწესეს, რომელშიც ფინალური ოთხეულის დუბლშემადგენლობები მონაწილეობდნენ (სხვათა შორის ეს ტურნირი მოსკოვის ცსკა-ს შემადგენლობაში **გიორგი ცინცაძემ** 2003 წელს მოიგო). შემდეგ ახალგაზრდული კლუბების რაოდენობა გაზარდეს და შეჯიბრებასაც რამდენიმე ტური დაუმატეს.

ახლახან გაიმართა ევროლიგის 20-ლამდელთა პირველობის პირველი ტური, რომელსაც იტალიის დედაქალაქმა, რომმა უმასპინძლა.

ტურნირში 12 კლუბი მონაწილეობდა, რომელთა შორის ოთხი იტალიური იყო – "მონტეპასკი", "ვირტუსი", "ელდო" და "ბენეტონი". გუნდები ოთხ ჯგუფად გაიყო. მეტრევლის თანაგუნდელები სლოვენიის "ოლიმპიასთან" და "ელდოსთან" ერთად A ჯგუფში მოხვდნენ.

პირველ ტურში სიენელები "ელდოს" დაუპირისპირდნენ და კუდით ქვა ასროლინეს – 94:34. საინტერესოა, რომ მესამე პერიოდში "მონტეპასკიმ" მშრალი ანგარიშით იმარჯვა – 27:0.

ელდოელებთან შეხვედრაში ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში იყო. მან 21 წუთი ითამაშა, 9-დან 4 ორქულიანი, 1-დან 1 სამიანი ჩააგდო და 11 ქულას 6 მოხსნა, 3 დაფარება და 1 ჩაჭრა მიაყოლა.

ჯგუფის მეორე მატჩში სიენელებმა სლოვენიის "ოლიმპიას" 16-ქულიანი სხვაობით სძლიეს – 76:60. ნიკა ამჯერადაც სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა და მოედანზე 31 წუთი გაატარა. დროის ამ მონაკვეთში ქართველმა ცენტრმა ორმაგი დუბლი შეასრულა – 14 ქულა, 10 მოხსნა. მან 7-დან 5 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი და 1-დან 1 საჯარიმო გამოიყენა. სხვათა შორის, მეოთხე პერიოდი მეტრეველმა სამქულიანით გახსნა. მას **ინგროსომ** მიჰბაძა და იტალიელთა უპირატესობამაც ორრიცხვიან ნიშნულს მიაღწია.

ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების შემდეგ "მონტეპასკი" ნახევარფინალში კიდევ ერთ იტალიურ კლუბ, ბოლონიის "ვირტუსს" შეხვდა. თანამემამულეებმა სიენელებს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს. მატჩის ბედი ბოლო წუთებზე გადაწყდა – "მონტეპასკიმ" 80:76 იმარჯვა. თუკი, მატჩის მიმოხილვას ვენდობით თანაგუნდელებს გამარჯვება ნიკა მეტრეველმა მოუტანა: *"შეხვედრის დასრულებამდე 3 წუთით ადრე ჯულიო გაზოტიმ ბოლონიელები დააწინაურა – 68:67. მას სიენას მხრიდან ჩენტინიმ და მეტრეველმა (საჯარიმოებით) უპასუხეს და "მონტეპასკის" 5-ქულიანი ფორა დაუბევეს. შემდეგ იყო ბოლონიელი ტომასინის გამონათება და - 74:73. ბოლო წამებზე ბოლონიელთა მხრიდან ყველა ტყორცნა არაზუსტი გამოდგა, მონტეპასკელებმა მეტრეველმა და ჩენტინიმ კი 4 საჯარიმო გამოიყენეს და სიენური კლუბი ფინალში გაიყვანეს – 80:76."*

ნიკამ 29 წუთში 15 ქულა (9-დან 4 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი, 4-დან 4 საჯარიმო), 8 მოხსნა, 2-2 პასი-ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა.

ფინალში "მონტეპასკიმ" ესპანური "გრან კანარიას" ბარიერი ვერ დასძლია, 57:68 დამარცხდა და მეორე ადგილს დასჯერდა.

მატჩის ბედი მესამე პერიოდში გადაწყდა, რომლის ერთ ეპიზოდში ესპანელებმა 16:2 სპურტი მოაწყვეს და 50:31 დაწინაურდნენ.

ფინალში მეტრეველმა ეფექტური ორმაგი დუბლი გაიფორმა – 12 ქულა, 16 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 3 დაფარება. თუმცა, შეტევაში წინა შეხვედრებისგან განსხვავებით რეალიზების პროცენტული მაჩვენებელი დაბალი ჰქონდა: 12-დან 4 ორქულიანი, 2-დან 0 სამიანი... ამის მიუხედავად, ყველაზე უკეთესი მარგი ქმედების კოეფიციენტი ქართველ მეფარეს ჰქონდა – 17.

გემრიელი ლუკმა ბოლოსთვის: ტურნირის ორგანიზატორებმა ნიკა მეტრეველი საუკეთესო ცენტრად დაასახელეს და სიმბოლურ ხუთეულში შეიყვანეს.




ქართველი ამერიკაში

# ფარლალავას კონფერენციის მატჩები დაეწყო

ამერიკის კოლეჯების ლიგაში (NCAA) ტურნირის ფორმატი ცოტა უცნაურია. მაგალითად, **ლაშა ფარლალავას** "ჰავაის ცისარტყელას" დასავლეთ ათლეტიკის კონფერენციაში იანვრამდე 16 მატჩი აქვს ჩატარებული, 9 მოგებული, 7 წაგებული. იანვრიდან ეს შედეგები ანულირებულია და იმავე გუნდებს შორის კონფერენციის ჩემპიონობისთვის ბრძოლა თაიდან იწყება.

*"აქამდე, ოთხი მატჩი ჩავატარეთ და მხოლოდ ერთში გავიმარჯვეთ. ისევ იმ გუნდებს ვეთამაშებით, რომლებსაც იანვრამდე დავუპირისპირდით. ვიდრე კონფერენციის ჩემპიონობისთვის ბრძოლა დაიწყებოდა, იმედი გვქონდა, რომ პირველობის მოპოვების ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტები ვიქნებოდით, მაგრამ უკვე სამი მატჩი წავაგეთ,"* – გვითხრა ლაშამ.

შემდეგ ეტაპზე, NCAA-ს ჩემპიონობისთვის მხოლოდ კონფერენციების გამარჯვებულები ითამაშებენ.

პირველი მატჩი "ცისარტყელ:ჰ" 4 იანვარს "ბოისესთან" ჰონოლულუში გამართა და ადგილობრივი პუბლიკის წინაშე 58:70 დათმო. ამ შეხვედრაში ლაშა ფარლალავამ 23 წუთი ითამაშა, 5 ქულა და თითო მოხსნა-პასი-დაფარება მიითვალა.

მეორე მატჩში ლაშას მონაწილეობა არ მიუღია. თუმცა, ჰავაელებმა "ლატეჩთან" ფარლალავას გარეშეც იმარჯვეს – 65:ჴ4.

ამ შეხვედრაში არყოფნის მიზეზი თავად კალათბურთელმა განგვიმარტა: *"ზურგის ტკივილმა იმდენად შემაწუხა, რომ მოედანზე გასვლა ვერ მოვახერხე. მას შემდეგ ზურგი ცოტა დამიცხრა და მომდევნო ორ შეხვედრაში თანაგუნდელებს დავეხმარე. მწვრთნელისთვის უკმაყოფილების საბაბი არ მიმიცია."*

8 იანვარს "ცისარტყელა" "აიდაჰოს" ეწვია და 47:67 დამარცხდა. რომ არა ლაშას 12 ქულა, კუნძულელები 40-ქულიან ზღვარსაც ვერ გადალახავდნენ. ქართველმა უკანახაზელმა, რომელსაც მწვრთნელი ისევ გამთამაშებლად ათამაშებს, პერიმეტრიდან შესრულებული 8 ტყორცნიდან მხოლოდ ერთი გამოიყენა. 12 ქულის გარდა ფარლალავამ 4 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა.

"ცისარტყელამ" მეოთხე შეხვედრა ისევ გასვლაზე ითამაშა და 50-ქულიანი ზღვარი ისევ ვერ გადალახა – "ბოისესთან" 49:54 დათმო.

ქართველმა კალათბურთელმა 17 წუთში 5 ქულა ჩააგდო, რასაც 2-2 მოხსნა-პასი მიამატა.

ჰავაელები მორიგ მატჩს 18 იანვარს გამართავენ – ჰონოლულუში "სან ხოსეს" უმასპინძლებენ.

სადღეისოდ "ცისარტყელას" 1 მოგების წილ 3 წაგება აქვს და ცხრაგუნდიან კონფერენციაში მე-6 ადგილზეა.

ბოლოს ლაშა ფარლალავას სეზონის საშუალო სტატისტიკას გაგაცნობთ: 15 მატჩი, 25.5 წუთი, 8.5 ქულა, 2.1 მოხსნა, 1.3 პასი, 0.5 ჩაჭრა, 0.1 დაფარება, 2.0 შეცდომა, 2.6 ფოლი.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ჭიდაობა

გულახდილი დიალოგი ლელოსთან

# მედლები მხოლოდ ტანჯვით მოდის

## რატომ იყვნენ პეკინის ოლიმპიადაზე ისეთი მწვრთნელები, რომელთა შეგირდებს წარმატების არავითარი შანსი არ გააჩნდათ, მედლის პრეტენდენტი სპორტსმენების აღმზრდელები კი შინ დარჩნენ?



**გორის** თავისუფალი ჭიდაობის დარბაზის აღზრდილს, 55 კგ წონით კატეგორიაში საქართველოს ნაკრების ბოლო წლების უცვლელ წევრს ბესიკ გოჩაშვილს მკითხველის წინაშე განსაკუთრებული წარდგენა არ ჭირდება. საქართველოს ზედიზედ შვიდგზის ჩემპიონის და ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორისთვის გასული წელი საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ბესიკს ჯერ პეკინის ოლიმპიადის საგზურისათვის ბრძოლა გაურთულდა და მხოლოდ ბოლო სალიცენზიო შეჯიბრებაზეღა მოახერხა მისი მოპოვება, ხოლო შემდეგ თავად ოლიმპიადაზე ვერ შეძლო მედალს შესწვდომოდა. გორის თავისუფალი ჭიდაობის დარბაზში სწორედ ამ ემოციებით და სიძნელეებით დატვირთულ სეზონსა და სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ ვეწვიეთ თვითონ გოჩაშვილს და მის მწვრთნელს ნუგზარ სხირელს.

**- ბესიკ, გასული სეზონი შენთვის საქართველოს ჩემპიონატით და მასზე ზედიზედ მეშვიდეჯერ გამარჯვებით დაიწყო...**

- ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატზე მიღწეული მორიგი წარმატება, ბუნებრივია, მეტად სასიხარულო მოვლენა იყო ჩემთვის. შარშან ზედიზედ მეშვიდედ გავხდი ქვეყნის ჩემპიონი უფროსებში და თუ მხედველობაში მივიღებთ მანამდე ჭაბუკთა და ახალგაზრდათა ტურნირებზე მიღწეულ გამარჯვებებს, ვფიქრობ, შედეგები საკმაოდ სერიოზულია.

**- თუმცა ბოლო ჩემპიონობას საერთაშორისო არენაზე შესაბამისი გაგრძელება აღარ მოჰყოლია...**

- მომდევნო ტურნირი ევროპის ჩემპიონატი იყო, სადაც კონტინენტზე პირველობისათვის ბრძოლის გარდა პირველი შანსი მქონდა პეკინის საგზურის მოსაპოვებლად. იქ, მართალია, მხოლოდ ჩემპიონობა იძლეოდა საამისო გარანტიას, მაგრამ შესაძლებელი იყო სხვა ვარიანტითაც მიზნის მიღწევა, კერძოდ, ის, ვინც ოქროს მედალს მოიპოვებდა უკვე იქნებოდა ლიცენზიანტი და ა.შ

**ნუგზარ სხირელი:** - მე ვიტყოდი, რომ ოლიმპიადამდე ყველაზე მეტ უსამართლობასთან ბრძოლა, სწორედ გოჩაშვილს მოუწია და ეს ტენდენცია ევროპის პირველობიდან დაიწყო....

**გოჩაშვილი:** - ამ შეჯიბრებაზე რადოსლავ ველიკოვთან (ბულგარეთი) წაგებულმა პაექრობამ გამოიწვია ჩვენი უკმაყოფილება. ყაიმის შემდეგ, საქმე მონეტამდე მიდგა, რომელიც ჩემს სასარგებლოდ დაჯდა, მაგრამ მსაჯი იქამდე იძლეოდა სასტვენს, ვიდრე ჩოქბჯენში მდგარ მოწინააღმდეგეს ხელს შემოვაჭდობდი. პირველად გავაპროტესტე და სიმართლე გავიტანე, თუმცა მეორედაც იგივე განმეორდა, მსაჯმა რეაქცია აღარ გამოავლინა და მაინც მიაღწია იმას, რაც თავდაპირველად სურდა.

მომდევნო სალიცენზიო შეჯიბრება შვეიცარიის ქალაქ მარტიგში ევროპის ჩემპიონატიდან მხოლოდ ორ კვირაში გაიმართა. ამ ტურნირის წინ პრობლემას გარკვეული ფსიქოლოგიური მომენტიც მიქმნიდა. ასე მიჯრით სერიოზულ შეჯიბრებებზე ასპარეზობა, თანაც წონის კლების უწყვეტი პროცესის თანხლებით, ძალიან ძნელია. ერთხანს ვიფიქრე კიდეც, რომ ეს ტურნირი გამომეტოვებინა და მომდევნო, პოლონეთის სალიცენზიო პირველობაზე გამოვსულიყავი, მაგრამ ასეთ დროს შესაძლებელი იყო ნაკრებში ადგილი საერთოდ დამეკარგა. მოკლედ, გადავწყვიტე შვეიცარიაში მეჭიდავა, თუმცა წონის კლებისგან მოტანილ ზადს ვინ ჩიოდა, თურმე უწინდელზე უარესი მსაჯობა მარტიგში მელოდა. თავდაპირველად უკრაინის სახელით მოასპარეზე სომეხი ფალავანი გევორქ მარქარიანი დავამარცხე. შემდეგი მეტოქე გერმანელი ევლადი იყო. მას ვუგებდი და ბოლო ოც წამში ისეთი არაფრიდან მოგონილი ქულა და გაფრთხილება მომცეს, რომ პაექრობის დასრულების შემდგომ თავად გერმანელებმაც ვერ დამალეს მსაჯის არაობიექტურობით უკმაყოფილება.

**- მომდევნო პირველობაზე პოლონეთის დედაქალაქში აღარ შეუშლიათ ხელი მსგავსი ტენდენციური მსაჯობით?**

- ვარშავაში შედარებით უკეთესი იყო ამ თვალსაზრისით ვითარება. სხვათა შორის იქაც ორიოდე კვირაში მომიწია გამოსვლამ. იმ პერიოდშიც გაგრძელდა წონის კლების, მე ვიტყოდი, მართალაცდა, გამომფიტავი პროცესი. საბედნიეროდ, ყველა ეს პრობლემა უდიდესმა მოტივაციამ და მთელი ძალების კონცენტრაციამ გადაჭრა. ჯერ პოლონელ პავლაკს ვაჯობე, შემდეგ თურქული წარმოშობის ფრანგ ლოკმან კაპლანპაბას, რომელმაც იქამდე ორთაბრძოლა იმ ევალდს მოუგო, შვეიცარიაში რომ მაჯობა მსაჯების დახმარებით. ნახევარფინალში რუმინელი პეტრუ ტოპიცა დავამარცხე დამაჯერებლად 6:1, 4:0 და პეკინის ლიცენზიასაც დავეუფლე. ეს უმთავრესი მიზანი იყო ჩემთვის პოლონეთის ტურნირზე და მიუხედავად ფინალში კორეელ იანგთან წაგებისა, ოლიმპიადაზე გამოსვლა განაღდებული მქონდა.

> ამ მოჭიდავეს მე ბავშვობიდან ვზრდი. ვიცი, რა სჭირდება და როდის. მე რომ იქ ვყოფილიყავი, მჯერა, იმ პაექრობას არ დათმობდა

**- შემდეგ ისევ წონის კლება და ოლიმპიადისათვის სამზადისი?**

**სხირელი:** იცით, წონის კლება გარკვეულ პერიოდში მისაღებია და ხანდახან აუცილებელიცაა, მაგრამ ზედიზედ გამართულ ასეთ საპასუხისმგებლო ტურნირებზე ძალიან ძნელია. ორგანიზმი წონის აღდგენას ველარ ასწრებს და თითქმის იფიტება. განსაკუთრებით ძნელი ეს პროცესი 55 კგ-ში, ანუ ყველაზე მსუბუქ წონაში მოასპარეზე ფალავანთათვისაა. ზოგიერთებს ხშირად 65 კგ-დანაც უწევთ დაკლება. ძნელი და თითქმის წარმოუდგენელია, მაგალითად, 57 კგ-დან დაიკლო და შემდეგ მედალი მოიპოვო.

**გოჩაშვილი:** - შევეცადე ოლიმპიადისათვის მაქსიმალურად კარგად მომზადებულიყავი, მაგრამ იმას, რომ მედალი ვერ მოვიპოვე, ცხადია, მხოლოდ ზემოაღნიშნულ მიზეზებს ვერ დავაბრალებ.

პეკინში პირველმს ორთაბრძოლამ იმ რუმინელ ფალავანთან (ტოპიცა) მომიწია, რომლისთვისაც ვარშავაში ნახევარფინალში მქონდა მოგებული. მოგებათა სერია პეკინშიც გაგრძელდა. სამწუხაროდ, შემდგომ ამერიკელი მოჭიდავის ჰენრი სეჯუდოს წინააღმდეგობა ვერ დავძლიე. პირველ პერიოდში ვაჯობე 3:1, მეორე პერიოდში 3:2 დავმარცხდი ბოლო წამებზე, მერე კი საბოლოოდაც წავაგე. მოგეხსენებთ, შემდეგ ის ფალავანი ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა.

**სხირელი:** - ბესოს სჭირდება კარნახი. საერთოდ, არიან მოჭიდავეები, რომელებიც კარნახს კარგად იგებენ და მითითება ხალიჩაზე კარგად გადააქვთ. იმ წაგებული ორთაბრძოლისას ჯობდა 2:0-ზე ბესიკს ქულა მიეცა მოწინააღმდეგისთვის, რაც, ბუნებრივია, დროსაც წაიღებდა და 3:2-ს კი არ წააგებდა, მოიგებდა 2:1-ს. ამ მოჭიდავეს მე ბავშვობიდან ვზრდი. ვიცი რა სჭირდება და როდის. მე რომ იქ ვყოფილიყავი, მჯერა იმ პაექრობას არ დათმობდა.

**- ჩანს, გასულ სეზონში მუდმივ მეტოქეებთან ტრადიციას არ ღალატობდი. ტოპიცას ორჯერ მოუგე და ველიკოვთან ორჯერ დამარცხდი...**

- ცხადია, რუმინელი ხელწამოსაკრავი მოჭიდავე არ გახლავთ, მაგრამ ველიკოვი, ვისთანაც ორჯერ წავაგე 55 კგ წონით კატეგორიაში, მსოფლიოში აღიარებული და ტიტულოვანი ფალავანია. ცუდია, რომ არ გამიმართლა. არაუშავს, სამომავლოდ გამოვასწორებ.

**- იმ ამერიკელ მოჭიდავესთან თუ გიასპარეზია უწინ, რომელთანაც პეკინში დათმე ორთაბრძოლა?**

- არა. იგი ახალაღმოჩენილი ტალანტია. მანამდე შეჯიბრებებზე თვალთახედვის არეში არც ჩანდა. შეიძლება ითქვას, გამოვიდა ასპარეზზე და ჩემპიონიც გახდა.

**სხირელი:** - აღსანიშნავია, რომ ამერიკელებისათვის დამახასიათებელია მოულოდნელად ისეთი ფალავნის გამოჩენა, ვინაც იქამდე თითქოს ერთგვარ ჩრდილში ჰყავდათ. ასეთ სიურპრიზს ისინი ჩვეულებრივ ოლიმპიადის წინ სთავაზობენ ხოლმე მოწინააღმდეგეებს. ჩვეულებისამებრ, ოლიმპიადის ოთხწლიან პერიოდში ყველა სერიოზულ შეჯიბრებას რამდენიმე კამერით იღებენ წონითი კატეგორიების ლიდერთა (სავარაუდო) მონინააღმდეგეთა მონაწილეობით და სრულად შიფრავენ მისი სტილს, ტაქტიკას და ა. შ.

**- საერთაშორისო არენაზე, ევროპის და მსოფლიოს პირველობებზე მოპოვებული მედლების შემდეგ ჩემპიონობამდე ბესიკს მუდამ ცოტა აკლდება, როგორ ფიქრობთ, ეს მისი შესაძლებლობების ზედა ზღვარია?**

**სხირელი:** - არავითარ შემთხვევაში. მას მეტი შეუძლია და საამისოდ ასაკიც უწყობს ხელს. 27 წლისაა და საუკეთესო წლები წინ აქვს. ლუკა კურტანიძე გავიხსენოთ: წლების განმავლობაში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი ჩემპიონობას ვერ ახერხებდა, მაგრამ 2002 და 2003 წლებში, 30 წლისამ გატეხა ნავსი.

**გოჩაშვილი:** - მართლაც სულ მუდამ ცოტა მაკლდება საბოლოო გამარჯვებამდე და დასანანად ვაგებ ხოლმე, თანაც ძირითადად მათთან, ვინც შემდეგ ჩემპიონი ხდება.

**- 2009 წელს, ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებში, ალბათ, უკეთესი შედეგის ჩვენების შანსი მოგეცემა.**

- თუმცა იქამდე საქართველოს ჩემპიონატია.

**- გოჩაშვილის გათავისუფლებას საქართველოს ჩემპიონატიდან, ამას წინათ, „ლელოსთან" ინტერვიუშიც ითხოვდით, ბატონო ნუგზარ...**

- მინდოდა ამ რთული სეზონის შემდეგ გოჩაშვილს საქართველოს ჩემპიონატზე მაინც დაესვენა. ბუნებრივია, მასაც ჰყავს კონკურენტები, მაგრამ იგი ხომ შვიდი წელიწადია თავის წონაში ქვეყნის ჩემპიონია. უნდა აღვნიშნოთ, რომ ახლახან, დეკემბერში, სომხეთში „ა" კლასის ტურნირზე ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში ისიც და 55 კგ-ში მოასპარეზე მისი ქართველი კონკურენტებიც მონაწილეობდნენ. ბესიკი ჩემპიონი გახდა. დამაჯერებლად გაიმარჯვა! სხვებმა კი „დამაჯერებლად" წააგეს. სამწუხაროა, რომ ვერც ეს მიზეზი გახდა ერთი ტურნირიდან მისი გათავისუფლების საფუძველი.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ჭადრაკი

# ლევანს ფეხი დაუცდა...

**გუშინდელ** „ლელოში" გამცნეთ, რომ ორი ქართველი დიდოსტატი - **თამაზ გელაშვილი** და **ლევან არონშიძე** ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების ფედერაციის ეგიდით გამართულ ტრადიციულ ტურნირში, თურქეთის ქალაქ ანთალიაში მონაწილეობს. ტურნირი საკმაოდ პრესტიჟულია და წარმატების შემთხვევაში გვარიან პრიზსაც გამოჰკრავს კაცი ხელს... ჩვენებურები ფავორიტები არიან და მათი გამარჯვების მოლოდინი კი გვაქვს, მაგრამ სამი ტურის შემდეგ არცთუ დამაჯერებლად გამოიყურებიან. საქმე ის არის, რომ პირველ ტურში გელაშვილმა დაკარგა ნახევარი ქულა სუსტ მეტოქესთან, თანაც თეთრებით, გუშინ კი, მესამე ტურში, უკვე არონშიძემ იწვნია დაკარგულისგან მიღებული სიმწარის გემო, აქაც თეთრებით ქართველი იყო. მეტოქედ ლევანს არასაჭადრაკო ქვეყნის - იტალიის წარმომადგენელი **დანიელე ვოკატურო** ჰყავდა, რომელსაც მხოლოდ საერთაშორისო ოსტატის წოდება აქვს და რეიტინგითაც (2445) გვარიანად ჩამორჩება ქართველს. არონშიძეს კი 2526 ქულით შეუძლია თავის მოწონება. ისიც სათქმელია, რომ ლევანი დიდოსტატის წოდებას ატარებს. როგორც ჩანს, იტალიაში ჭადრაკისადმი ყურადღება გაზარდეს და უკვე ერთი ისეთი დიდოსტატი ჰყავთ, ვინც 2600-იან ზღვარს საკმაოდ გადასცდა და დიდ პერსპექივასაც უქადიან... ეგრეთწოდებული საშუალო ფენაც გაუჩნდათ იტალიელებს და უკვე ანგარიშგასაწევ ძალად ყალიბდებიან. ამის დასტურად იტალიაში მომრავლებული საჭადრაკო ტურნირებიც გამოდგება - შეუდარებლად მოიმატა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საერთაშორისო ღია ტურნირების რაოდენობამ; ხოლო ის ფაქტი, რომ 2006 წელს ტურინმა 37-ე საჭადრაკო ოლიმპიადას უმასპინძლა, თავისთავად მრავლისმეტყველია... ლევანმა, როგორც ჩანს, არ გაითვალისწინა ეს ტენდენციები, ოდნავ მოდუნდა და მარცხიც იწვნია. სამი ტურის შემდეგ ორი ქულა კატასტროფა არ არის, მაგრამ კონცეტრაცია თუ ვერ შეძლო და ვოკატუროს დარ ოსტატებთან ქულები დაკარგა, მაღალ შედეგებს ვერ შესწვდება.

საწყისი ჩავარდნა არ დაიტყო თამაზ გელაშვილმა და ზედიზედ ორი პარტია მოიგო, რითაც ლიდერებში გაერია. თუმცა აღსანიშნავია, რომ მეტოქეებად არცთუ ძლიერი მოჭადრაკეები ჰყავდა. ძირითად კონკურენტებთან შემდგომ ტურებში მოუწევს პაექრობა თამაზს და მაშინ გამოჩნდება, რამდენად კარგ ფორმაშია. მეოთხე ტურში მისი მეტოქე ტურნირის მესამე ნომერი, რუმინელი **მირჩა პარლეგრასია**. თეთრებით რუმინელი ითამაშებს, რაც ქართველს ბევრ თავსატეხს გაუჩენს, მაგრამ დავიტოვოთ იმედი, რომ ამ ბარიერს გელაშვილი წარმატებით დაძლევს. სიმართლე ითქვას, კარგ სპორტულ ფორმას რუმინელიც ვერ აჩვენებს - უკვე ორჯერ დაუზავდა არცთუ ძლიერ მეტოქეებს და, იმედია, რომ ქართველთან არ „გაიგიჟებს" თავს. არონშიძეს თურქ საერთაშორისო ოსტატ **კივანჩ ჰაზნედაროლლუსთან** მოუწევს შავებით დაპირისპირება. ესენი ერთმანეთს კარგად იცნობენ, - წლებია, საერთაშორისო ტურნირებში ხვდებიან - თუ თურქულ საკლუბო ლიგაში, თუ თურქეთში გამართულ ტრადიციულ ტურნირებში, სადაც ქართველები ყოველთვის დიდი სიამოვნებით მონაწილეობენ. ამ დაპირისპირებაში ჩვენებურთა უპირატესობა აშკარაა და, იმედია, რომ ეს ტენდენცია არც ამჯერად შეწყდება, მიუხედავად იმისა, რომ არონშიძე შავი ფერით თამაშობს.

**მიხეილ გურევიჩმა** კი, რომელიც უმთავრესი ფავორიტია და ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს ამ ტურნირში, შავებით შეძლო თურქი **მერთ ერდოგდუს** დამარცხება და იტალიელ ვოკატუროსთან ერთად სათავეში ჩაუდგა ცხრილს. მეოთხე ტურში სწორედ ლიდერები შეხვდებიან ერთმანეთს. თეთრებით გურევიჩი ითამაშებს, რაც მის შანსებს კიდევ უფრო ზრდის.

გუშინ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის შესახებაც მოგახსენეთ და აღვნიშნეთ, რომ ქალთა ტურნირისგან განსხვავებით ვაჟთა ტურნირში მოთამაშეთა სრული სია არ არსებობდა. განაცხადების და საკუთარი პერსონის დაფიქსირების ბოლო ვადა გუშინ იყო. ფედერაციაში **ბაადურ ჯობავას** დასტურს ელოდნენ, მაგრამ ბაადურმა ამჯერად არ ისურვა ეროვნულ ჩემპიონატში თამაში, რითაც საფრთხის ქვეშ დააყენა სტიპენდიის მიღების საკითხი. დებულების თანახმად, ვინც საქართველოს ჩემპიონატში არ ითამაშებს, სტიპენდიის მოხსნა დაემუქრება, საბოლოო გადაწყვეტილებას ფედერაციის გამგეობა მიიღებს. წლეულს მრავლად არის ამგვარი მაგალითი და ვნახოთ, როგორი იქნება ქართული ჭადრაკის მესაჭეების რეაქცია.

საბოლოო სია კი ასეთია: **მიხეილ მჭედლიშვილი, ლევან ფანცულაია, მერაბ გაგუნაშვილი, დავით არუთინიანი, კონსტანტინე შანავა, თორნიკე სანიკიძე, დავით მალალაშვილი, გიორგი ბალათუროვი, გიორგი მარგველაშვილი, გაიოზ ნიგალიძე, დავით ბენიძე, ინგა ჭარხალაშვილი, ლევან ბრეგაძე და შოთა აზალაძე**. გოგონებისგან განსხვავებით, ვაჟებში 14 მონაწილეა, თუმცა ესენიც წრიული სისტემით გაეჯიბრებიან ერთმანეთს, ცხადია, ცამეტ ტურად.

შეგახსენებთ, ქალთა და ვაჟთა ტურნირი ერთდროულად, 17 იანვარს დაიწყება; კენჭისყრა კი წინა დღით, 16 იანვარს, 16 საათზე გაიმართება.

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## ჰოკეი. NHL

**დალასი-დეტროიტი 5:4 (ო)**

1:3, 2:0, 1:1, 1:0

გოლები: 0:1 რაფალსკი-6 (ჰოლმსტრიომი-15, ლებდა-7), 0:2 ჰოლმსტრიომი-13 (დაციუკი-30, ოსგუდი-2), 1:2 გროსმანი-1 (ჰატჩინსონი-2, ბერჩი-4), 1:3 მარიან ჰოსა-21 (ლიდსტრიომი-24, დაციუკი-31), 2:3 რობიდასი-2 (ლეჰტინენი-5), 3:3 ბერიში-6 (ბერჩი-5, ნისკანენი-10), 3:4 დაციუკი-19 (ფრანცენი-11, ბ. სტიუარტი-7), 4:4 ოტი-4 (რიბეირო-27, ბ. რიჩარდსი-25), 5:4 დელეი-4 (ლ. ერიქსონი-10, ნისკანენი-11).

**ლოს ანჯელესი-ტამპა ბეი 1:3**

0:2, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 არტიუხინი-4 (სტემკოსი-11, მიხალეკი-2), 0:2 რეკი-10 (ლეკავალიე-21, პროსპალი-17), 0:3 ლეკავალიე-17 (სენტ ლუისი-25, კრაიჩეკი-7), 1:3 ჰაროლდი-3 (კოპიტარი-22).

### კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად "კოლორადო ეველანშის" ფორვარდი **ვოიტეკ ვოლსკი** დაასახელა. ამ თავდამსხმელმა 3 მატჩში 2 გოლი გაიტანა და 4 შედეგიანი პასი მიითვალა, "კოლორადომ" კი სამივე შეხვედრა მოიგო.

მეორე ვარსკვლავის სტატუსი "ანაჰაიმ დაქსის" დებიუტანტ ფორვარდ **ბობი რაიანს** ერგო, რომელმაც 5 შაიბა გაიტანა. მან "ლოს ანჯელესთან" მატჩში კარიერაში პირველი ჰეთ-თრიკი მიითვალა. რაიანს ლიგაში დებიუტი 16 ნოემბერს ჰქონდა და ახლა, 26 მატჩში 26 ქულით წლევანდელ დებიუტანტებს შორის საუკეთესო დებიუტანტია.

მესამე ვარსკვლავი გახდა "ბაფალო სეიბრზის" თავდამსხმელი **გრეგორი კემპბელი**. მან კვირა ზუსტად ისეთი მაჩვენებლებით დაასრულა, როგორითაც ვოლსკიმ.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 42 | 31 | 7 | 4 | 66 |
| 2. ვაშინგტონი | 43 | 27 | 13 | 3 | 57 |
| 3. ფილადელფია | 42 | 23 | 10 | 9 | 55 |
| 4. მონრეალი | 41 | 25 | 10 | 6 | 56 |
| 5. რეინჯერსი | 44 | 25 | 15 | 4 | 54 |
| 6. ნიუ ჯერსი | 42 | 24 | 15 | 3 | 51 |
| 7. ბაფალო | 42 | 21 | 16 | 5 | 47 |
| 8. კაროლინა | 43 | 21 | 17 | 5 | 47 |
| 9. ფლორიდა | 42 | 20 | 16 | 6 | 46 |
| 10. პიტსბურგი | 43 | 20 | 19 | 4 | 44 |
| 11. ტორონტო | 42 | 16 | 20 | 6 | 38 |
| 12. ტამპა ბეი | 42 | 13 | 19 | 10 | 36 |
| 13. ატლანტა | 43 | 14 | 24 | 5 | 33 |
| 14. ოტავა | 40 | 13 | 21 | 6 | 32 |
| 15. აილენდერსი | 42 | 12 | 26 | 4 | 28 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ხოსე | 41 | 31 | 5 | 5 | 67 |
| 2. დეტროიტი | 42 | 29 | 7 | 6 | 64 |
| 3. კალგარი | 41 | 25 | 12 | 4 | 54 |
| 4. ჩიკაგო | 40 | 23 | 10 | 7 | 53 |
| 5. ვანკუვერი | 44 | 22 | 17 | 5 | 49 |
| 6. ანაჰაიმი | 44 | 22 | 17 | 5 | 49 |
| 7. ფინიქსი | 43 | 21 | 17 | 5 | 47 |
| 8. კოლორადო | 42 | 22 | 19 | 1 | 45 |
| 9. კოლამბუსი | 42 | 20 | 18 | 4 | 44 |
| 10. მინესოტა | 41 | 20 | 18 | 3 | 43 |
| 11. ედმონტონი | 41 | 20 | 18 | 3 | 43 |
| 12. დალასი | 41 | 18 | 17 | 6 | 42 |
| 13. ნეშვილი | 42 | 19 | 20 | 3 | 41 |
| 14. ლოს ანჯელესი | 42 | 17 | 19 | 6 | 40 |
| 15. სტ. ლუისი | 41 | 16 | 22 | 3 | 35 |

**ბომბარდირები**

| გოლი+პასი | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 65 (16+49) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 55 (17+38) |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 54 (27+27) |
| მარკ სავარი (ბოს) | 52 (14+38) |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 50 (19+31) |

| გოლები | |
|---|---|
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 29 |
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 27 |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 27 |
| ფილ კესელი (ბოს) | 24 |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 24 |

| პასები | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 49 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 40 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 38 |
| მარკ სავარი (ბოს) | 38 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 35 |

## იაგრმა ნაკრები გაიხსენა




ლეგენდარული ჩეხი ჰოკეისტი **იარომირ იაგრი** ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებას აპირებს. ომსკის "ავანგარდში" მოთამაშე ვეტერანი ფორვარდი ევროტურის მესამე ეტაპზე - "შვედეთის თამაშებში" მიიღებს მონაწილეობას. ეს ტურნირი 5-8 თებერვალს შვედეთში ჩატარდება, თუმცა პირველ მატჩს ფინეთის წინააღმდეგ (5 თებერვალი), ჩეხები პრაღაში გამართავენ. უკანასკნელად იაგრმა ჩეხეთის ნაკრების რიგებში 2006 წლის ოლიმპიადაზე ითამაშა.

იაგრის სიტყვებით, ის დარწმუნებულია, რომ "შვედეთის თამაშებში" გამოსვლა დიდ სამსახურს გაუწევს. ევროლიგის ეტაპებისას, ჰოკეის კონტინენტალური ლიგა შესვენებას იღებს და ჩეხმა არ იცის, როგორ ივარჯიშოს ამ პაუზების დროს.

2008-09 წლების ევროტურში ჩეხეთი 8 ქულით მეორე ადგილს იკავებს და ფინალში მოხვედრის რეალური პრეტენდენტია.

## ჩოგბურთი

## ATP-ის ახალი პრეზიდენტი ჰყავს

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) ახალ აღმასრულებელ დირექტორად და პრეზიდენტად 44 წლის ამერიკელი **ადამ ჰელფანტი** დაინიშნა. ამის შესახებ ATP-ის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება.

ჰელფანტი 12 წელი კორპორაცია "ნაიკში" მუშაობდა და ერთი პერიოდი მისი აღმასრულებელი დირექტორიც იყო, აგრეთვე ჰოკეის ეროვნულ ლიგასთან თანამშრომლობდა. ამერიკელმა ATP-ის მეთაურის პოსტზე სამხრეთაფრიკელი **ეტიენ დე ვილიერსი** შეცვალა, რომელმაც აღარ გააგრძელა კონტრაქტი ასოციაციასთან.

როგორც გახსოვთ, დე ვილიერსს ხშირად აკრიტიკებდნენ ჩოგბურთელები, რომლებიც ახლა იმედოვნებენ, რომ ATP-ის ახალი ხელმძღვანელი უფრო ხშირად მოუსმენს და გაიზიარებს მათ აზრს. სხვათა შორის, ჰელფანტის პრეზიდენტად დანიშვნას მიესალმა ATP-ში ჩოგბურთელთა ინტერესების დამცველი, ხორვატი **ივან ლუბიჩიჩი**.



გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ავტოსპორტი. დაკარი 2009

**IX ეტაპი**

**ლა სერენა-კოპიაპო. 430 კმ**

**ავტომობილები**

1. **საინსი** (ესპანეთი, VOLKSWAGEN TOUAREG) - 5:56.08; 2. **მილერი** (აშშ, VOLKSWAGEN TOUAREG) - +1.47; 3. **გორდონი** (აშშ, HUMMER H3) - +2.16; 4. **ტერანოვა** (არგენტინა, BMW X3 CC) - +10.06; 5. **დე ვილიერსი** (ს. აფრიკა, VOLKSWAGEN TOUAREG) - +12.01; 6. **ნოვიცკი** (რუსეთი, BMW X3 CC) - +16.15.

**მოტოციკლები**

1. **ვერჰოვენი** (ჰოლანდია, KTM 690 RALLYE) - 6:26.33; 2. **ფრეტინი** (საფრანგეთი, YAMAHA WRF 450) - +3.09; 3. **კომა** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - +4.59; 4. **დესპრე** (საფრანგეთი, KTM 690 RALLYE) - +6.03; 5. **ლოპესი** (ჩილეთი, KTM 690 RALLYE) - +8.40; 6. **კასტო** (საფრანგეთი, KTM 690) - +9.21.

**საერთო ჩათვლა**

**ავტომობილები**

1. **საინსი** (ესპანეთი, VOLKSWAGEN TOUAREG) - 33:26.07; 2. **მილერი** (აშშ, VOLKSWAGEN TOUAREG) - +19.52; 3. **დე ვილიერსი** (ს. აფრიკა, VOLKSWAGEN TOUAREG) - +22.58; 4. **რომა** (ესპანეთი, MITSUBISHI RACING LANCER) - +58.12; 5. **გორდონი** (აშშ, HUMMER H3) - +1:34.17; 6. **ჰოლოვჩიკი** (პოლონეთი, NISSAN NAVARA) - +3:23.53.

**მოტოციკლები**

1. **კომა** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - 37:04.47; 2. **ფრეტინი** (საფრანგეთი, YAMAHA WRF 450) - +1:04.38; 3. **დესპრე** (საფრანგეთი, KTM 690 RALLYE) - +1:34.38; 4. **ლოპესი** (ჩილეთი, KTM 690 RALLYE) - +2:04.[illegible]; 5. **ვილადომსი** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - +2:08.57; 6. **როდრიგესი** (პორტუგალია, KTM 690 RALLY) - +2:09.26.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ინგლისი | |
|---|---|
| **I ლიგა** | |
| სუინდონი-სტოკპორტი | 1:1 |
| იეოვილი-სკანთორპი | 1:2 |
| **II ლიგა** | |
| ჩესტერი-ლუტონი | 2:2 |
| **ინგლისის თასი** | |
| ბირმინგემი-ვულვზი | 0:2 |
| ბრისტოლი-პორტსმუთი | 0:2 |
| ბარნლი-ქუინზ პარკი | 1:1, დ.დ. 2:1 |
| ჩელტენემი-დონკასტერი | 0:0 |
| ძრიუ-მილუოლი | 2:3 |
| ჰისტონი-სუონსი | 1:2 |
| ლეიტონი-შეფილდი | 1:4 |
| ნორვიჩი-ჩარლტონი | 0:1 |
| პიტერბრო-ვესტ ბრომვიჩი | 0:2 |
| **იტალიის თასი** | |
| ინტერი-ჯენოა | 1:1, დ.დ 3:1 |
| **საფრანგეთის ლიგის თასი** | |
| ნიცა-პავრი | 1:0 |
| ვანი-მეცი | 1:1, პენ. 4:3 |
| **ბელგიის თასი** | |
| სერკლი-შარლერუა | გადაიდო |
| დენდერი-ლიერსი | 2:3 |
| მეხელენი-ანდერლეხტი | 2:1 |
| **შოტლანდია** | |
| კილმარნოკი-აბერდინი | 1:2 |
| **III დივიზიონი** | |
| კოუდენბითი-ბერუიკი | 2:0 |
| **შოტლანდიის თასი** | |
| ბრეჩინი-სტ. მირენი | 1:3 |
| ფორფარი-ფორესი | 6:1 |
| სტ. ჯონსტონი-რეინჯერსი | 0:2 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| ვერია-პანიონიოსი | 0:0 |

| ავსტრია | |
|---|---|
| ალბა-აკრონი | 5:1 |
| გრაცი-ვენა | 5:2 |
| ინსბრუკი-ზალცბურგი | 3:5 |
| კლაგენფიურტი-ლინცი | 0:0 |
| ოლიმპია-ვილახი | 4:3 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-იზერლონი | 2:2 |
| ჰამბურგი-მანჰაიმი | 3:1 |
| ჰანოვერი-კასელი | 2:2 |
| ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 1:3 |
| **დანია** | |
| ოდენსე-როდოვრე | 2:4 |
| ტოტემპო-ნორდსილანდი | 3:5 |
| ფრედერიკსჰავნი-ჰერლევი | 2:5 |
| ჰერნინგი-სენდერიისკი | 3:2 |
| ესბერგი-ოლბორგი | 1:1 |
| **ნორვეგია** | |
| კომეტი-სპარტა | 1:7 |
| ლილეჰამერი-ფრისკ ასკერი | 4:0 |
| სტავანგერი-ვოლერენგა | 4:1 |
| სტორჰამარი-ლორენსკოგი | 2:5 |
| ფურუსეტი-სტიორნენი | 4:8 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-ჟილინა | 2:1 |
| კეჟმაროკი-ტრენჩინი | 2:5 |
| მიკულაში-მარტინი | 4:4 |
| ნიტრა-სლოვანი | 4:4 |
| პოპრადი-ბისტრიცა | 2:2 |
| სკალიცა-კოშიცე | 3:1 |
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-ილვესი | 3:3 |
| კალპა-ჰიფკ | 3:2 |
| კიეკო-ტპს | 3:1 |
| პელიკანსი-ლუკო | 4:0 |
| სეიპა-კერპეტი | 1:5 |
| ტაპარა-ჰპკ | 3:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-ბუდეიოვიცე | 1:3 |
| ზნოიმო-კლადნო | 4:1 |
| ლიტვინოვი-ტრშინეცი | 5:0 |
| პლზენი-ბოლესლავი | 0:3 |
| კარლოვი ვარი-ულინი | 1:1 |
| სლავია-პარდუბიცე | 2:0 |
| ლიბერეცი-სპარტა | 7:1 |
| **შვეიცარია** | |
| ბერნი-ჟენევა | 1:5 |
| ციურიხი-კლოტენი | 5:1 |
| **შვედეთი** | |
| ფრიოლუნდა-ლულეო | 1:2 |

**კალათბურთი**

| ევროპის თასი | |
|---|---|
| აკადემიკი-დინამო (მ) | 62:86 |
| ბარონსი-უნიქსი | 81:86 |
| ბეშიქთაში-პავრი | 96:91 |
| ბნეი ჰაშარონი-არისი | 89:86 |
| ზადარი-ასკ რიგა | 83:68 |
| პანელინიოსი-ტურკ ტელეკომი | 82:74 |
| რუანი-მარუსი | 72:83 |
| ხიმკი-ბენეტონი | 80:71 |
| აზოვმაში-ვილერბანი | 87:74 |
| ბამბერგი-ცრ. ზვეზდა | 53:67 |
| ბილბაო-ბუდუჩნოსტი | 69:66 |
| ვალენსია-ფორტიტუდო | 80:74 |
| ლ. რიტასი-გრან კანარია | 74:64 |
| ნიმბურკი-ჰემოფარმი | 80:82 |
| შარლრუა-ტუროვი | 89:69 |
| ერტლანდი-ჟელეზნიკი | 73:62 |
| **ევროჩელენჯერი** | |
| ლოკომოტივი-ფრიბურგი | 66:65 |
| ცსკა ვვს-ვირტუსი | 72:70 |
| შიაულაი-ეიფელ ტაუერსი | 82:80 |
| ენერგა-ლიეჟი | 91:93 |
| კერაკნოსი-ურალ გრეიტი | 81:94 |
| კიევი-სკაილაინერსი | 78:46 |
| გალათასარაი-ხიმიკი | 94:51 |
| გმუნდენი-აელ | 77:85 |
| ამსტერდამი-ოლიმპია | 68:64 |
| მონს-ზაგრები | 99:69 |
| ოლდენბურგი-პაპოელი (ი) | 79:70 |
| კალევი-ტრიუმფი | 81:87 (ო) |
| კახასოლი-ვენტსპილსი | 98:51 |
| ოსტ ენდე-ტარტუ | 92:82 |
| ტულონ-ტელეკომი | 72:86 |
| შოლე-სუმიხიმპრომი | 100:77 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| ამური-მვდ | 3:0 |
| ს. იულაევი-ტრაქტორი | 4:1 |
| დინამო (მ)-აკ ბარსი | 4:3 |
| სევერსტალი-სკა | 1:4 |
| ცსკა-მეტალურგი (მ) | 0:3 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ოკლენდი | |
|---|---|
| გულბისი-გრანოლერსი | 6:4, 6:7, 6:1 |
| ერნანდესი-რეინოლდსი | 6:7, 7:6, 2:6 |
| ისნერი-მონტანიესი | 7:6, 7:5 |
| ჟიკელი-კალერი | 3:6, 6:4, 6:4 |
| ჰანესკუ-მონაკო | 3:6, 4:6 |
| **ATP. სიდნეი** | |
| სეპი-მატიო | 2:6, 6:2, 3:6 |
| ფიში-ტიპსარევიჩი | 4:6, 6:3, 4:6 |
| ბენეტო-ჰიუიტი | 7:5, 2:6, 4:6 |
| გუჩიონე-ბერდიჩი | 6:3, 6:4 |
| შარდი-შტეპანეკი | 6:4 უარი |
| ტურსუნოვი-გასკე | 6:7, 4:6 |
| **WTA. ჰობარტი** | |
| პავლიუჩენკოვა-ს. ნავარო | 6:4, 6:1 |
| დულკო-ჟენგი | 6:3, 6:3 |
| ა. ბონდარენკო-კვიტოვა | 2:6, 1:6 |
| კლოტავონგი-რაზანო | 6:4, 0:6, 5:7 |
| ბენეშოვა-სანტანჯელო | 6:3, 6:1 |
| პენეტა-რიბარიკოვა | 5:7, 3:6 |
| ჩინკი-უ. რადვანსკა | უარი |
| გოვორცოვა-პირონკოვა | 1:6, 2:6 |
| **WTA. სიდნეი** | |
| დემენტიევა-გაიდოშოვა | 6:2, 6:4 |
| ჰანტუხოვა-ა. რადვანსკა | 3:6, 5:7 |
| საუთი-ვოზნიაჩკი | 2:6, 0:6 |
| საფინა-დუშევინა | 6:3, 6:0 |
| სუგიამა-მედინა გარიგესი | 2:6, 6:1, 6:2 |
| კუზნეცოვა-კნაპი | 6:2, 2:6, 7:6 |
| ს. უილიამსი-ერანი | 6:1, 6:2 |
| კორნე-კლეიბანოვა | 7:6, 6:1 |

## ფორმულა 1

## ფედერაციის სია

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ფორმულა 1-ში 2009 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეთა ოფიციალური სია გამოაქვეყნა. მასში ძველი სახელწოდებით "ჰონდა რეისინგიც" არის შესული, რომელიც ახალ მფლობელს ეძებს. თუმცა იაპონური საჯინიბოს პილოტთა ვინაობაც უცნობია. ერთი პილოტის ვინაობა აქვს გასარკვევი "ტორო როსოს"...

1. ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, მაკლარენი)
2. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, მაკლარენი)
3. კიმი რაიკონენი (ფინეთი, ფერარი)
4. ფელიპე მასა (ბრაზილია, ფერარი)
5. რობერტ კუბიცა (პოლონეთი, BMW-ზაუბერი)
6. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, BMW-ზაუბერი)
7. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, რენო)
8. ნელსონ პიკე (ბრაზილია, რენო)
9. იარნო ტრული (იტალია, ტოიოტა)
10. ტიმო გლოკი (გერმანია, ტოიოტა)
11. სებასტიან ბუემი (შვეიცარია, ტორო როსო)
12. უცნობია (ტორო როსო)
14. მარკ უებერი (ავსტრალია, რედ ბული)
15. სებასტიან ფეტელი (გერმანია, რედ ბული)
16. ნიკო როსბერგი (გერმანია, უილიამსი)
17. კაზუკი ნაკაჯიმა (იაპონია, უილიამსი)
18. უცნობია (ჰონდა)
19. უცნობია (ჰონდა)
20. ადრიან სუტილი (გერმანია, ფორს ინდია)
21. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, ფორს ინდია)

## TV სპორტი

**14 იანვარი. ოთხშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

08:40 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
09:10 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
10:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ოსერი-მარსელი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰაილაითები.
15:10 გასული კვირის ჰაილაითები.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
17:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:50 გასული კვირის ჰაილაითები.
20:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:05 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ჩელსი.
22:55 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვალენსია-რასინგი (LIVE).
00:55 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-ატლეტიკო (LIVE).
02:55 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-უიგანი.
04:40 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
05:40 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვალენსია-რასინგი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ჩელსი.
10:15 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:20 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:15 ფეხბურთი. საფრანგეთის ლიგის თასი. 1/4 ფინალი. ნიცა-პავრი.
13:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-სიენა.
14:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. III წრე. ახალი ზელანდია.
15:30 სპორტის სამყარო.
16:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
17:15 ჩოგბურთი. ATP-ის მასტერსის თასი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-ჟილ სიმონი. შანხაი. ჩინეთი.
18:35 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-ნეშვილი.
20:20 ფეხბურთი.
20:30 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
21:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:05 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
21:30 ფეხბურთი. საფრანგეთის ლიგის თასი. 1/4 ფინალი. ბორდო-მარტიგი (LIVE).
23:20 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-უიგანი (LIVE).
02:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
02:05 ფეხბურთი. საფრანგეთის ლიგის თასი. 1/4 ფინალი. პსჟ-ლანსი.
03:50 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-სიენა.
05:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ბაფალო (LIVE).

**EUROSPORT**

11:30 რალი-რეიდი. დაკარი. X ეტაპი.
12:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
13:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. სიდნეი. ავსტრალია.
15:00 რალი-რეიდი. დაკარი. X ეტაპი.
15:45 სნუკერი. ბრიტანეთის მასტერსი. III დღე. ლონდონი.
18:00 სნუკერი. ბრიტანეთის მასტერსი. IV დღე. ლონდონი (LIVE).
20:[illegible] ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ესტაფეტა. ქალები. რუჰპოლდინგი. გერმანია (LIVE).
22:15 რალი-რეიდი. დაკარი. XI ეტაპი (LIVE).
22:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:45 სნუკერი. ბრიტანეთის მასტერსი. IV დღე. ლონდონი (LIVE).
02:[illegible]0 რალი-რეიდი. დაკარი. XI ეტაპი (LIVE).
02:45 სნუკერი. ბრიტანეთის მასტერსი. IV დღე. ლონდონი (LIVE).
03:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ესტაფეტა. ქალები. რუჰპოლდინგი. გერმანია.
03:45 რალი-რეიდი. დაკარი. XI ეტაპი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ფინალი. ანტალია. თურქეთი.
14:00 ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. საფრანგეთი (LIVE).
15:[illegible]0 ახალი ამბები.
16:00 ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. საფრანგეთი.
16:30 ახალი ამბები.
17:00 ექსტრემალური სპორტი.
18:30 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ფინალი. ანტალია. თურქეთი.
19:45 ახალი ამბები.
20:00 კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ხიმკი (რუსეთი)-ბენეტონი (იტალია).
21:00 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 პროფესიული კრივი. ევროპის ჩემპიონატი. ნახევრადმძიმე წონა. ა. ბრანკალიონი (იტალია)-დ. ჩიბელო (იტალია). იტალია.
01:[illegible]0 ექსტრემალური სპორტი.
02:00 ახალი ამბები.

კალათბურთი

# ნიქსში ცისფერი რასისტი თამაშობს



გასული დღის მთავარ საკალათბურთო მოვლენას არასათამაშო ხასიათი აქვს. "ნიუ იორკ ნიქსის" ცენტრი **ედი კარი** თავისი ყოფილი მძღოლის - **დევიდ კუჩინსკის** წინაალმდეგ სექსუალური ძალადობის მცდელობაშია ექვმიტანილი. არადა, "ნიქსის" კალათბურთელს მეუღლე და სამი შვილი ჰყავს.

როგორც მძღოლი აცხადებს, ედი სახლში შიშველი დასდევდა და მის საწოლში შეტყუებას ცდილობდა. მაგრამ კალათბურთელი მხოლოდ ამით არ დაკმაყოფილებულა. ის საცოდავ კუჩინსკის იმ საქმის კეთებასაც აიძულებდა, რაც მძღოლის პირდაპირ მოვალეობებში არ შედიოდა: სახლის დალაგება, ჭუჭყიანი პირსახოცების რეცხვა... ამასთან, რასისტულ ფრაზებს ისროდა, რითაც მუდმივად ახსენებდა მძღოლს, რომ ის ებრაელი იყო. ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ კარის კუჩინსკისთვის ჯამაგირის სახით 93 ათასი დოლარი არ გადაუხდია.

სხვათა შორის, თავად კუჩინსკი ორჯერ სამ-სამი წლით იჯდა ციხეში ხულიგნობისა და პოლიციელზე თავდასხმისთვის, თუმცა მისი ადვოკატის სიტყვებით, დევიდი უკვე დიდი ხანია სხვა ადამიანი გახდა.

# ტი-მაკი ორ კვირას გამოტოვებს, არენასი... მთელ სეზონს?

"ჰიუსტონ როკეტსის" ერთ-ერთ ლიდერს **ტრეისი მაკგრეიდის** ამ სეზონში ძალიან არ უმართლებს. კალათბურთელმა უკვე გამოტოვა რეგულარული ჩემპიონატის 11 მატჩი და ახლა გაირკვა, რომ კიდევ ორი კვირა ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას. ტი-მაკს მარცხენა მუხლის ტრავმა აწუხებს. ჰიუსტონელი ვეტერანი სავარაუდოდ 28 იანვარს, "ფილადელფიასთან" მატჩში დაუბრუნდება გუნდს.

როგორც ჩანს, ტრავმებმა სერიოზული დალი დაასვეს მაკგრეიდის თამაშს. მცველს ასე ცუდად 1999-2000 წლების სეზონის შემდეგ არ უთამაშია. წელს მისი საშუალო მონაგარი 15.4 ქულას, 4.6 მოხსნასა და 5.0 შედეგიან პასს შეადგენს.

■ ■ ■

სახარბიელო მდგომარეობა არც "ვაშინგტონ უიზარდსის" მცველ **გილბერტ არენასს** აქვს, რომელმაც 17 სექტემბერს მარცხენა მუხლზე ოპერაცია გაიკეთა და წელს არც ერთ მატჩში არ მიუღია მონაწილეობა.

როგორც კალათბურთელი აცხადებს, ის საერთოდ არ არის მზად მოედანზე დასაბრუნებლად. არადა, არენასის თამაში დეკემბერში იგეგმებოდა, შემდეგ სეზონში დებიუტი იანვრისთვის გადადეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ის პარკეტზე არც ამ თვეში გამოჩნდება. უფრო მეტიც, არენასი არ გამორიცხავს, რომ სეზონის მთლიანად გამოტოვება მოუწევს.

*"არ ვიცი, როდის დავბრუნდები. ან რისთვის დავბრუნდე - შვიდი მოგებისთვის? თქვენ ამაზე ნახვიდოდით? დარწმუნებით ვიცი, რომ საზაფხულო ლიგაში ვითამაშებ და იქ შევეცდები ფორმის აღდგენას"*, - ამბობს კალათბურთელი, რომელმაც გასულ ზაფხულს დედაქალაქურ კლუბთან 6-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და ამის სანაცვლოდ 111 მილიონ დოლარს მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ "ყველა ვარსკვლავის მატჩის" სამგზის მონაწილემ ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში სამი ოპერაცია გადაიტანა.



## NBA რეგულარული ჩემპიონატი

**ვაშინგტონი-მილუოკი 91:97**

19:25, 33:16, 22:28, 17:28

ვ: ნ. იანგი (30), ჯეიმისონი (25+3 ჩაჭრა), ბლეტჩი (10), მაკგუაიერი (2+10 მოხსნა).

მ: რედი (29), ბოგუტი (18+10 მოხსნა), ვილანუევა (16), რიდნური (14+10 პასი), მბა ა მუტე (8+10 მოხსნა).

**ბოსტონი-ტორონტო 115:109**

19:23, 26:31, 29:24, 19:15, 22:16

ბ: პირსი (39+9 მოხსნა), გარნეტი (20+12 მოხსნა), რ. ალენი (12), სკალაბრინი (11), პოუ (10+7 მოხსნა), რონდო (9+8 პასი+3 ჩაჭრა).

ტ: ბარნიანი (23+8 მოხსნა), ბოში (18+11 მოხსნა), უკიჩი (16), ე. პარკერი (11), სოლომონი (10).

**ნ. ჯერსი-ოკლაჰომა 103:99**

25:25, 19:26, 23:14, 21:23, 15:11

ნ-ჯ: ბ. ლოპესი (31+13 მოხსნა), ვ. კარტერი (21+6 ჩაჭრა), დ. ჰარისი (17+8 პასი), დულინგი (14).

ო-ს: დურანტი (26+9 მოხსნა), უესტბრუკი (19), ჯ. გრინი (15+10 მოხსნა+3 დაფარება), კრსტიჩი (12), ე. უოტსონი (11+9 პასი).

**ნ. ორლეანი-ნ. იორკი 95:101**

23:23, 17:24, 23:22, 32:32

ნ-ო: დ. უესტი (25+14 მოხსნა), პოლი (23+7 პასი), რ. ბატლერი (18+7 მოხსნა), ტ. ჩენდლერი (10+12 მოხსნა).

ნ-ი: დ. ლი (24+9 მოხსნა), ელ ჰარინგტონი (20+10 მოხსნა), ჩენდლერი (19), დუპონი (10+9 პასი), კ. რიჩარდსონი (9+7 მოხსნა+8 პასი).

**ჩიკაგო-პორტლენდი 95:109**

28:21, 17:28, 21:28, 29:32

ჩ: გუდენი (22+9 მოხსნა), ბ. გორდონი (17), დენგი (14+3 ჩაჭრა), დ. როუზი (13+10 პასი).

პ: აუთლო (33+7 მოხსნა+3 დაფარება), ოდენი (17+13 მოხსნა), ბლეიკი (16+10 პასი+3 ჩაჭრა), როი (11+8 მოხსნა).

**იუტა-ინდიანა 120:113**

36:32, 34:31, 26:24, 24:26

იუტ: ოქური (43+9 მოხსნა), დ. უილიამსი (23+11 პასი), კირილენკო (23+12 მოხსნა), რ. ბრიუერი (12+4 ჩაჭრა), პრაისი (10).

ინ: გრეინჯერი (30+7 პასი), დანლივი (20+7 მოხსნა), ჯეკი (13), მერფი (12+10 მოხსნა), ნესტეროვიჩი (12), ფოსტერი (11+8 მოხსნა).

### კვირის მოთამაშეები

"ორლანდო მეჯიქის" ცენტრი **დუაიტ ჰოვარდი** და "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მცველი **კობი ბრაიანტი** გასულის კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ. აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატმა ჰოვარდმა საშუალოდ მატჩში 19.5 ქულა და 14.7 მოხსნა დააგროვა, "ორლანდომ" კი ოთხიდან ოთხ მატჩში გაიმარჯვა.

ბრაიანტი გასულ კვირას საუკეთესო ბომბარდირი იყო - მან საშუალოდ 28.8 ქულა მიითვალა. კობიმ განსაკუთრებით "ინდიანასთან" მატჩში გამოიჩინა თავი, როცა 36 ქულა და 13 შედეგიანი პასი დააგროვა.

კვირის მოთამაშის ტიტულზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ლებრონ ჯეიმსი** ("კლივლენდი"), **ვონ ვაფერი** ("ჰიუსტონი"), **ვინს კარტერი** ("ნიუ ჯერსი"), **ანდრე იგუოდალა** ("ფილადელფია"), **ანდრე მილერი** ("ფილადელფია"), **პოლ მილსეპი** ("იუტა"), **ლამარკუს ოლდრიჯი** ("პორტლენდი") და **დუეინ უეიდი** ("მაიამი").

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. კლივლენდი | 35 | 29 | 6 | 82.9 |
| 2. ორლანდო | 38 | 30 | 8 | 78.9 |
| 3. ბოსტონი | 40 | 31 | 9 | 77.5 |
| 4. დეტროიტი | 35 | 22 | 13 | 62.9 |
| 5. ატლანტა | 36 | 22 | 14 | 61.1 |
| 6. მაიამი | 36 | 19 | 17 | 52.8 |
| 7. ნიუ ჯერსი | 38 | 19 | 19 | 50.0 |
| 8. მილუოკი | 40 | 19 | 21 | 47.5 |
| 9. ფილადელფია | 37 | 17 | 20 | 45.9 |
| 10. ჩიკაგო | 38 | 16 | 22 | 42.1 |
| 11. ტორონტო | 39 | 16 | 23 | 41.0 |
| 12. ნიუ იორკი | 36 | 14 | 22 | 38.9 |
| 13. შარლოტი | 38 | 14 | 24 | 36.8 |
| 14. ინდიანა | 38 | 13 | 25 | 34.2 |
| 15. ვაშინგტონი | 37 | 7 | 30 | 18.9 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ლეიკერსი | 36 | 30 | 6 | 83.3 |
| 2. სან ანტონიო | 36 | 24 | 12 | 66.7 |
| 3. დენვერი | 38 | 25 | 13 | 65.8 |
| 4. ნიუ ორლეანი | 34 | 22 | 12 | 64.7 |
| 5. პორტლენდი | 37 | 23 | 14 | 62.2 |
| 6. ფინიქსი | 34 | 21 | 13 | 61.8 |
| 7. ჰიუსტონი | 39 | 24 | 15 | 61.5 |
| 8. იუტა | 38 | 23 | 15 | 60.5 |
| 9. დალასი | 37 | 22 | 15 | 59.5 |
| 10. მინესოტა | 36 | 11 | 25 | 30.6 |
| 11. მემფისი | 37 | 11 | 26 | 29.7 |
| 12. გ. სტეიტი | 39 | 11 | 28 | 28.2 |
| 13. საკრამენტო | 38 | 9 | 29 | 23.7 |
| 14. კლიპერსი | 37 | 8 | 29 | 21.6 |
| 15. ოკლაჰომა | 39 | 6 | 33 | 15.4 |

**ქულები**

| | |
|---|---|
| დუეინ უეიდი (მაი) | 29.0 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლი) | 27.7 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 27.0 |
| დენი გრეინჯერი (ინდ) | 26.5 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 25.3 |

**მოხსნები**

| | |
|---|---|
| მარკუს კემბი (კლიპ) | 13.8 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 13.8 |
| ანდრის ბიედრინში (გ-სტე) | 12.0 |
| ტრო მერფი (ინდ) | 11.2 |
| დევიდ ლი (ნ-იორკ) | 11.1 |

**პასები**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 11.2 |
| დერონ უილიამსი (ნ-ორლ) | 10.0 |
| სტივ ნეში (ფინ) | 8.7 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 8.5 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 8.3 |

**ჩაჭრები**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 2.8 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 2.3 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 2.3 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 2.2 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლი) | 2.0 |

**დაფარებები**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 3.3 |
| მარკუს კემბი (კლიპ) | 2.6 |
| რონი ტურიაფი (გ-სტე) | 2.0 |
| ბრუკ ლოპესი (ბოს) | 2.0 |
| კრის ანდერსენი (დენ) | 1.9 |

ფორმულა 1




# ფორს ინდია ინდოეთის ფერებში

ინდურ საჯინიბო "ფორს ინდიას" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა 2009 წლის საფირმო კალენდრის რამდენიმე ფურცელი. მათზე გამოსახულია უცნობი ფოტომოდელი და "ფორს ინდიას" იტალიელი ვეტერანი **ჯანკარლო ფიზიკელა**.

მაგრამ ამ კალენდარში მთავარი ის არის, რომ მის ყოველ გვერდზე ფორმულა 1-ის ბოლიდის ფოტოა დაბეჭდილი. წინა წლისგან განსხვავებით, მანქანა ახალ ფერებშია შეღებილი, რომელიც ინდოეთის ეროვნული დროშის ფერებს შეესაბამება.

შესაძლოა, სწორედ ასეთი იყოს 2009 წელს "ფორს ინდიას" ახალი მანქანის - VJM02-ის შეფერილობა. ჩვენ ამას მარტის პირველ რიცხვებში გავიგებთ, როცა ინდური საჯინიბო პრეზენტაციას გამართავს.

■ ■ ■

"ტოიოტას" ახალი ბოლიდის პრეზენტაცია კი ინტერნეტში შედგება. გუნდის ხელმძღვანელობა ბლოკბასტერის ჟანრში შექმნილი კლიპით გეგმავს გულშემატკივრების გაოცებას.

იაპონური კონცერნის სპორტული განყოფილების პრეზიდენტი **ჯონ ჰოუეტი** TF109-ის მომავალ პრემიერაზე საუბრობს: *"ეს ფორმულა 1-ისთვის საეტაპო მომენტია და მიმაჩნია, რომ 2009 წლის სეზონის ლამაზად დაწყებას www.tf109-premiere.com-ის ვებგვერდზე TF109-ის პრეზენტაციაც შეუწყობს ხელს"*.

ოლიმპიზმი

# ვანკუვერი სოფელს ვერ აშენებს

2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი ვანკუვერი კანადის მთავრობას ოლიმპიური სოფლის მშენებლობისთვის დამატებითი თანხების მოძიებას სთხოვს.

მსოფლიოს ფინანსური კრიზისის გამო, ერთ-ერთმა ინვესტორმა ვალდებულებების შესრულება ვერ შეძლო და პრობლემაც ამის შემდეგ შეიქმნა.

მთავრობამ ოლიმპიური სოფლის მშენებლობისთვის ერთხელ უკვე გამოყო ფული, მაგრამ იმ 82 მილიონი დოლარიდან, რომლითაც სოფლის 1100 ობიექტი შენდება, თებერვალში ცენტიც არ დარჩება.

სახელმწიფო ჯერ მზად არ არის საქალაქო საბჭოსთვის პასუხის გასაცემად, მიზეზად კი ის მოჰყავს, რომ არ შეუძლია მსხვილ გადამხდელთა ფულის მათი თანხმობის გარეშე დახარჯვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

